



K 246.528  
3

ანბონ ხინთიბიძე

# გურული ფირსლეზი

თბილისი

1938



ანბონ ხინთიბიძე

# გურული ჟიჯალები



Handwritten text in the top left corner, possibly a library or collection number.

Труды грузинского краеведческого о-ва

А. Хинтибидзе

ГУРИЙСКИЕ ПИРАЛЫ

Тбилиси

პასუხისმგ. რედაქტორი: სერგი მაკალათია

Handwritten number: K 246. 528  
3

სპეგ-2000  
საქართველოს  
პარლამენტის  
ბროშურები

საქართველოს  
პარლამენტის  
ბროშურები

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . . . . .	V
-------------------------	---

I

ფირალობის წარმოშობის სოციალ-ეკონომიური პირობები გუბიაში . . . . .	1
--	---

II

გურული ფირალები და მათი თავგადასავალი . . . . .	23
---	----

1. კოწია ცეცხლადე . . . . .	25
2. პროკოპი ჭყონია . . . . .	25
3. გოგია ლომჯარი . . . . .	26
4. დათულია სურგულადე . . . . .	36
5. გიორგი ჭყონია . . . . .	38
6. ნიკოლოზ მეხუზლა . . . . .	39
7. ტარიელ დათუნაიშვილი . . . . .	52
8. სისონა დარჩია . . . . .	55
9. დათა მიქელაიშვილი . . . . .	70
10. ხუსეინ ბაჯელიძე . . . . .	82
11. ილარიონ დათუნაიშვილი . . . . .	84
12. მიხეილ ღლონტი . . . . .	88
13. სალუქვაძე . . . . .	90
14. დათიკო შვეარდნაძე . . . . .	91
15. სიმონ დოლიძე . . . . .	108
16. კიკია მამულაიშვილი . . . . .	113
17. ერასტი ჯორბენაძე . . . . .	117

ტექნოდ.-გამომშვები: ა. სიხარულიძე  
კორექტორი: მ. კორძია

მთავლიტი № 1145 შეკვ. № 330 ტირაჟი 4.000  
გადაეცა წარმ. 31.5.38. ხელმ. დასაბ. 19.7.38  
სსრკ მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის სტამბა,  
აკ. წერეთლის ქუჩა № 7.


## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში გურია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და მისი მშრომელი ხალხი აქტიურად მონაწილეობდა თავისუფლებისათვის ბრძოლებში. მართალია, გურიას არა ერთხელ განუცდია დამპყრობელთა საშინელი აწიოკება და სისხლიანი ბრძოლები, მაგრამ მისთვის უფრო მძიმე ბატონყმური უღელი და კლასობრივი ჩაგვრა იყო. გურული ფეოდალები შეუბრალებლად ჰყიდდნენ თავიანთ ყმებს შორეულ ქვეყნებში. ისტორია გადმოგვცემს ისეთ აღმაშფოთებელ ამბებს, როგორცაა გურულ თავად-აზნაურთა მიერ ყმა-გლეხების ერთი-მეორეზე თოკით გადაბმა და პირუტყვივით ჩარეკა ბათომში, ქობულეთში თუ სხვა სავაჭრო ადგილებში, გასასყიდად. გურიის ისტორიას ასხოვს პერიოდები, როცა „დიდგვაროვანი“ თავიანთ ყმებს მონადირე ძალებზე სცვლიდნენ. საუკუნეთა მანძილზე სტანჯავდნენ მშრომელთა მოსახლეობას გურიის ექსპლოატატორები. ვინ იცის რამდენი მშრომელის სისხლი დაქცეულა მათგან, რამდენი გურული გლეხის დედა ატირებულა ცხელი ცრემლებით.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა თვითმპყრობელური რუსეთის გურიაში დამკვიდრების შემდეგ. შინაური კლასობრივი მტრების—თავად-აზნაურთა და სამღვდელოების ექსპლოატაციას ახლა დაემატა რუსეთის ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური აპარატის მოხელეების აღვირახსნილობა და ნაციონალური ჩაგვრა, მშობლიური ენის შებლაღვა და სხვა. ამ შინაგანმა კლასობრივმა წინააღმდეგობამ გურიის მშრომელი ხალხი შეურიგებელი მტერი გახადა გაბატონებულ კლასების.

„სიცოცხლე ტკბილია, არის რაღაცა ძალა, რომელიც ვიალერსებსთ, გიზიდავსთ და რაღაც სიმსუბუქით და ნეტარებით გასუნთქებთ“-ო, ამბობს ალექსანდრე ყაზბეგი, და ამ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ გურიის მშრომელები. გურიაში, სხვა მოძმე ხალხთა შორის, ისტორიაში მრავალი საინტერესო და გმირული ამბები ჩაწერა. ამიტომაც ჩვენთვის საინტერესო ვიცოდეთ მისი ისტორიული თავგადასავალი და ის სოციალური ხასიათის ბრძოლები, რომელსაც გურიის მშრომელი ხალხი აწარმოებდა.

ჩვენი სოციალისტური ეპოქის ადამიანი თავისუფალი ყოველგვარი ჩაგვრისაგან. ჩვენი შრომა თავისუფალია. სტალინური კონს-



ტიტუციის საფუძველზე, ჩვენ გვაქვს განათლების უფლება. ცხოვრება სტალინური მეგობრობითა და სიყვარულითაა გამთავრებული. მაგრამ აწმყო სწორი ვაგებისათვის უნდა ვიცოდეთ წარსული, ვიცნობდეთ იმ საფირალო მოძრაობასაც, რომელსაც ისტორიულად ადგილი ჰქონდა გურიის სინამდვილეში. საფირალო მოძრაობას ჰქონდა თავისი როლი ისტორიაში და ფირალები მემამბოხური გზით ხალხის ინტერესებს გამოხატავდნენ. იყო სიმართლე რუსეთის დიდი მემამბოხის, სტენკა რაზინის განცხადებაში: „უკვე ჩემამდი ტრიალებდა ხალხში ჯანყი, მე კი არ ავტეხე ის, მან ამტეხა მე“-ო. და რამდენადაც ფირალობა ხალხის ტკივილების გამომხატველი იყო, მას ჰქონდა ღრმა სოციალ-კლასობრივი საფუძველი. ამიტომ გვასწავლის ხალხთა დიდი ბელადი, მშობლიური სტალინი, რომ: „ჩვენ, ბოლშევიკებს, ყოველთვის გვაინტერესებდა ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორცაა ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვ. ამ ხალხის გამოსვლებში ჩვენ ვხედავდით ჩაგრულ კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ჩვენთვის ყოველთვის წარმოადგენდა ინტერესს გლეხობის ამგვარ აჯანყებათა პირველი ცდების ისტორიის შესწავლა“-ო, („ამხანაგ სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან“, ქართ. გამოცემა, 1932 წ. გვ. 12).

გურული ფირალებიც ისეთივე მოწამულ ატმოსფეროში სუნთქავდნენ, როგორშიც რაზინისა და პუგაჩოვის რუსეთის მშრომელი მოსახლეობა. ვაფირალებული და დაჩაგრული გლეხი შურს ძიობდა ხალხის მტარვალზე. მაგრამ გლეხობას ჯერ კიდევ არ ჰყავდა ხელმძღვანელად პროლეტარიატი, რომლის გარეშე გამარჯვება შეუძლებელი იყო. ფირალებიც ასეთ პირობებში იმ მეზღვაურს ემსგავსებოდნენ, რომელნიც ტალღის პირველი მოქნევისთანავე ილუპებინ, მაგრამ ილუპება პიროვნება და არა საქმე. მათ დაწყებულ ბრძოლას უფრო შეგნებულად აგრძელებდა ახალი თაობა, რომელიც ითვალისწინებდა რა წინათაობის შეცდომებს, მომავალ ბრძოლებს უფრო მომხადებულად ხედებოდა. საფირალო მოძრაობამ გურული ხალხის ისტორიაში სოციალური ბრძოლების საინტერესო ფურცლები გადაშალა. მშრომელი ხალხის ცნობიერება კიდევ დიდხანს შეინახავს მტარვალთა განადგურებისა და მშრომელთა ჭირვარამის მოსპობისათვის თავგამეტებულ ფირალებს: სისანა დარჩიას, დათა მიქელიაშვილს, დათიკო შევარდნაძეს და სხვ.

ხალხს უყვარს ეს გმირები და შთაგონებით, დიდი ექსპრესიითა და სიყვარულით მოგვითხრობენ მათ თავგადასავალს, ბრძოლის ეპიზოდებს, გადმოცემებსა და ლექსებს. ამ მხრივ მდიდარია გურული ხალხური შემოქმედება. მიუხედავად ამისა, გურული ფირალები დღემდის არ გამხდარან სპეციალური კვლევის ობიექტად. შეიძლება ითქვას, რომ საფირალო მოძრაობა ჯერ-ჯერობით დაუმუშავე-

ბელი და ხელუხლებელია. ეს არა მარტო გურიაზე, არამედ მთელ საქართველოზე ითქმის. რამდენი ათეული ფირალები იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ არსენას ვიცნობთ და იმასაც ხალხური ლექსებით.

არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ არსენას საკითხიც კი, ჯერ-ჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის და რაღა უნდა ითქვას სხვებზე, რომელთა დასახელებაც კი არ შეგვიძლია.

ფირალობის შესასწავლად აწ-განსვენებულმა პროფ. სიმონ ხუნდაძემ გადადგა ნაბიჯი. მან ამ საკითხს უძღვნა წერილი ჟურ. „დროშა“-ში (1933 წ. № 17—„არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში“). მაგრამ პროფ. სიმონ ხუნდაძეს არ დასცალდა ეს თემა დაემთავრებინა. მანვე ეგ. ნინოშვილის „სიმონას“—თან დაკავშირებით გაკრით შეეხო რამდენიმე გურულ ფირალს და ვარკვეული მოსაზრება გამოთქვა კერძოდ სისონა დარჩიას შესახებ, (იხ. „ეგ. ნინოშვილი“—1933 წ. ტ. I, გვ. 362—386). თავის „გლენტა მოძრაობანი საქართველოში“ ვიორგი ხაჭაპურიძემ აღნიშნა რამდენიმე ფირალის შესახებ, (იხ. გ. ხაჭაპურიძე „გლენტა მოძრაობანი საქართველოში“, გვ. 166-170, 1933 წ.).

ლექსები გურული ფირალების შესახებ ჩაწერეს და გამოაქვეყნეს ამბ. ამბ. ი. მეგრელიძემ (იხ. ი. ვ. მეგრელიძე, Революция в грузинском фольклоре, კრებ. Советский фольклор, вып. I, Ленинград, 1934 წ.), მიხ. ჩიქოვანმა (იხ. კრ. „მარქსისტული ენათმეც.“, 1934 წ.), ალ. ლლოტმა (იხ. „გურული ფოლკლორი“, 1937 წ.), აგრეთვე რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა „საუნჯემ“.

აი ის ლიტერატურა რაც არსებობს ჯერ-ჯერობით გურული ფირალების შესახებ. ცხადია, ამ ფრაგმენტალური ხასიათის მცირე მასალის საშუალებით ძნელია გურული ფირალობის ისტორიის გაშუქება, რომელიც გლენტა მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა იყო. საჭირო იყო ფირალთა შესახებ ხალხში დარჩენილი ბიოგრაფიული ცნობებისა და მათი ცხოვრების ეპიზოდების ადგილებზე შეკრება, შემოწმება და შესწავლა, რომ წარმოდგენა გვექონოდა, თუ რა სოციალ-პოლიტიკურ გარემოში უხდებოდათ მათ მოქმედება.

ამ მიზნით 1936—7 წწ. ზაფხულში საქ. მხარეთმცოდნეობის საზ. დავალებითა და დახმარებით მე მივლინებული ვიყავი გურიაში საფირალო მოძრაობის მასალების შესაკრებად და შესასწავლად. ორი ზაფხულის განმავლობაში ვაგროვებდი ხალხური შემოქმედების მასალებს. მოხუცები სიძულვილით იგონებდნენ შავ და ნისლიან წარსულს. მათ მეხსიერებაში გაცოცხლდნენ საფირალო მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა შესახებ ჩვენ შევსძელით საკმაოდ დიდი მასალის შეგროვება. ამასთანავე საჭირო შეიქნა გაცნობილი იმ დროინდელ პრესასაც. ამისათვის გადავსინჯეთ 50 წლის მანძილზე თითქმის ყველა ქართული, თუ რუსული პერიოდიკა და სხვა გამოცემანი.





როგორც ხალხური მასალების, ისე ჟურნალ-გაზეთებიდან კრებული ცნობების გამოყენებისას ჩვენ ვიცავთ იმ სტილს, როგორც დედანშია მოცემული. კორექტურული შეცდომებიც კი, განზრახ არ შევასწორეთ, რომ არ შელახულიყო დედნის „პირველყოფილობა“. წიგნში გამოყენებული გურული ხალხური ლექსები გარდა ორისა (მის. ჩიქოვანის ჩაწ. ლექსები ს. დარჩიასა და მესხულაზე, იხ. გვ. 40 და 58), ჩვენი ჩაწერილია.

ეს მცირე შრომა ორ ნაწილს შეიცავს: საფირალო მოძრაობის სოციალურ-ეკონომიური პირობებისა და გურული ფირალების თავ-გადასავლის განხილვას<sup>1</sup>.

დანარჩენი მასალები, რომელიც ჩვენს მიერ ორი ზატხულის გან-მავლობაში იქნა შეკრებილი (ლექსები, მოგონებები), ამ წიგნში ვერ თავსდება. იგი დამუშავების პროცესშია და განზრახულია ცალკე წიგნად გამოიცეს გურულ სიტყვათა ლექსიკონის თანდართვით.

რასაკვირველია ეს შრომა არც სრულია და არც უნაკლო, მაგრამ ვფიქრობთ, შემდეგი მუშაობით ეს დეფექტები თავიდან აცილებული იქნება.

ავტორი იმედოვნებს, რომ წარმოდგენილი სახითაც იგი ერთ-ვევარ დახმარებას გაუწევს როგორც მკითხველებს, ისე ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართ.

დასასრულ, ამ მუშაობაში ხელის შეწყობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ საქ. მშრომელთა „უხუცეს დეპუტატს“, საქ. მხარეთმცოდნეობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, ამხ. ფილიპე მახარაძეს. აგრეთვე, ამავე საზოგადოების სწავლულ მდივანს—სერგი მაკალათიას, რომლის ხელმძღვანელობითა და დახმარებით შევსძელით წინამდებარე შრომის გამოცემა და დაბეჭდვა.

ა. ბ.

თბილისი, 1938 წ., 12 ივლისი.

<sup>1</sup> იგი მოხსენების სახით პირველად წაკითხული იქნა საქ. მხ. მც. საზ.-ბის საჯარო სხდომაზე. მეორედ—ქ. მახარაძეში. მესამედ კი—რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის სხდომაზე.

ზიკალღბის წარმღზღბის სოციალ-  
ეკონომიური პირობები ზურიანი

ფირალობის წარმოშობის შესახებ გურული ხალხური პოეზია იძლევა მეტად მდიდარ და საინტერესო მასალას, რომელშიაც გამოხატულია ღარიბი, ექსპლოატაციქმნილი გლეხობის სიძულვილი თვითმპყრობელობისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. უქვევლია ფირალობა გლეხური მოძრაობის ერთი ფორმათაგანი იყო, წარმოშობილი გურიის გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიურ სინამდვილეში. მაგრამ ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა პირველყოვლისა იმის დადგენა, თუ რა პოლიტიკურ და ეკონომიურმა პირობებმა შეუწყვეს ხელი საფირალო მოძრაობის წარმოშობას. რა იყო იმის მიზეზები, რომ გასული საუკუნის 70—80 წლებიდან საფირალო მოძრაობამ უაღრესად სერიოზული ხასიათი მიიღო. ამის გასარკვევად საჭიროა გავსინჯოთ ის ნიადაგი, რომელიც გლეხს სახლ-კარზე და საყვარელ ცოლ-შვილზე ხელს აღებინებდა და ტყისკენ უკრავდა თავს. აი, ამ ნიადაგის ანალიზი მოგვცემს საფირალო მოძრაობის კვშიარიტ გასაღებს.

თუ როგორი იყო გლეხთა დამოკიდებულება გაბატონებულ კლასებთან, კლასობრივ და ნაციონალურ ჩაგვრასთან, მეფის ბიუროკრატიულ აპარატთან და სხვა, აი ამ საკითხებზეა პასუხის გაცემა საჭირო, რომ გაირკვეს ფირალობის, როგორც სოციალური მოძრაობის, გენეზისი. ლაპარაკია ცარიზმზე, ამ „ხალხთა საპყრობილეზე“. ლაპარაკია იმპერიალისტურ რუსეთზე, რომლის ვრცელი მინდვრები სავსე იყო გლეხთა ამბოხებებითა და სახრჩობელებით. სწორედ ამ პირობებში მიეცა ნოყიერი ნიადაგი ფირალობას, რომელიც გლეხთა მოძრაობის ფარული, ინსტიქტური და მუხამბოხური ფორმა იყო. კლენი ფირალში თავის ინტერესებისათვის მებრძოლს ხედავდა, ფირალს შენატროდა; გლეხს „არსენობა ენატრებოდა“. ფირალი გურული გლეხის ცნობიერებაში აღნიშნავდა იმას, რაც არსენას ტიპის კაჩალში გვესმის. ფირალი განსხვავდება მძარცველ-აგაზაკისაგან. რეაქციის გამარჯვებისა და გლეხკაცობის მასობრივი მოძრაობის დამარცხების პერიოდში თითო-ოროლა ადამიანი, რომელიც ვერ პერიგებოდა საშინელ ჟანდარმულ პირობებს, ხელს ჰკიდებდა იარაღს და ტყეში გარბოდა. მაგრამ ყველას როდი შეეძლო ფირა-

ლობა. ცხოვრებისაგან თავმოძულებული ნინოშვილის მოთხოვნის  
გმირი—გოგია უიშვილი სასოწარკვეთილებით ამბობს: „თუ გაქცე-  
ვა შემეძლოს, ჩემ თავს გავაქცევდი და გადავრჩებოდი ამ წვალე-  
ბას“-ო. ასეთ ადამიანთა ცხოვრება ხშირად თვითმკვლელობით  
თავდებოდა. რუსეთის მწერალმა სალტიკოვ-შჩედრინმა  
თავის მოთხოვნა „მავრუშა-ნოვოტოროკა“-ში ასახა ამ ყოფაში ჩაგარ-  
დნილი ადამიანის ტრადელია. მისი მოთხოვნის გმირი მავრუშა ვერ-  
ხედავს გამოსავალს ბატონყმური მდგომარეობიდან და თავს იხრჩობს.  
„წინაკაპიტალისტური“ მეურნეობის შინაგანი სტრუქტურა და ტექ-  
ნიკის კაპიტალისტური სისტემა იყო ერთადერთი წყარო ფირალობის  
გაჩენისათვის. კაპიტალიზმს რუსეთში ფართო გასაქანი 60 წლები-  
დან მიეცა. გატარდა საგლეხო რეფორმა, ვითარდებოდა კაპიტა-  
ლიზმი. იმპერიალისტური რუსეთი მიიწევდა განაპირა ქვეყნებისაკენ  
და კოლონიებად აქცევდა მათ. კიდევ უფრო ძლიერდებოდა ნაციო-  
ნალური ჩაგვრა.

„მეფის რუსეთი იყო შავბნელი“ საპყრობილე ხალ-  
ხებისა“. ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა იყო  
კოლონიზაციის, დამონებულ ხალხთა შეუბრალებ-  
ელი ჩაგვრისა და თავაშვებული ექსპლოატაციის  
პოლიტიკა“... „განაპირა მხარეების ხალხები განწი-  
რული იყვნენ სრული უუფლებობისა, სიღატაკისა  
და უმეცრებისათვის, მთელ რიგ შემთხვევებში კი  
პირდაპირი გადაშენებისთვისაც“, (ამხ. ლავრენტი-  
ბერია „ხალხთა ერთიანი ოჯახი“ გვ. 6—7). გამწვავდა  
გლეხთა მდგომარეობა. გურულ გლეხს ყურში ბათომის აგუგუნებულმა  
საყვირმა ჩასძახა. გაძვალტყავებული გლეხი, რომელიც 1861 წლის  
რეფორმამ „გადატაკებული, დამცირებული, უმეცარი,  
მემამულე-ბატონებისადმი დამორჩილებული და-  
ტოვა, როგორც სასამართლოსა და მართვა-გამგე-  
ობაში, ისე სკოლასა და ერობაში“ (ლენინი), მიეშუ-  
რება სამრეწველო ქალაქებისაკენ. მიეშურება, მაგრამ სამუშაოს ვერ  
შოულობს და სიმშლით კვდება. 1898 წლის ჟღრნ. „კვალი“-ს № 10-ში  
ვკითხულობთ: ბათომში „ამ ბოლო დროს მეტად გამრავლებულა  
უსაქმოთ მოხეტიალე, უბინაო და უსახლკარო გოგოების რიცხვი.  
უბედურნი ხშირად დაეხეტებიან, შედიან ბუფეტებში, ანუ ერთი  
სასტუმროდან მეორეში მოგზაურობენ. მომეტებული ნაწილი ამათ-  
განისა გურულებია“-ო. სხვა გაზეთი მწუხარებით აუწყებდა საზო-  
გადოებას ამ უსახლკაროთა საშინელ მდგომარეობას: „როცა დაი-

ნახავთ ამ საცოდავებს, ქუჩაში მოსიარულეთ, ადგილის მადეგროსი  
სიმშოლისაგან ქანცგაწყვეტილთ და ფერმიხდილთ, მაშინ იგრძნობთ,  
თუ რა სიღარიბესა და სიღატაკეს უნდა განიცდიდნენ მათი მშობ-  
ელნი, რომ გულიდან იგლეჯენ ჯერ ისევ ნორჩ ღვიძლ შვილებს  
და გზავნიან ბათომში“ (იხ. „ივერია“ 1904 წ. № 176). მთავარი  
სატკივარი გურული გლეხისათვის მიწის უქონლობა იყო. გლეხო-  
ბის უმრავლესობისათვის ცხოვრება მწარე შეიქნა. მიწა ისე გაძ-  
ვირდა, რომ გურული გლეხები იუმორ-შერეული წუხილით ჩივოდ-  
ნენ: „სალამოს რომ დაეწვებით, თავი ერთ მამულში გვაქვს და ფე-  
ხები კიდევ მეორესაში“-ო. კაპიტალიზმის განვითარებამ მოახდინა  
გლეხკაცობის დაშლა, მისი დიფერენციაცია. გლეხობის უმრავლე-  
სობა მოექცა გამოუავალ მდგომარეობაში. გლეხი დაემსგავსა იმ  
ადამიანს, რომელსაც წინა და უკანა ხიდები ერთდროულად აუფეთ-  
ქეს და გასავალი აღარ მისცეს. გაჩნდნენ ჩარჩი ვაჭრები. ასეთი  
მდგომარეობა არა მარტო გურიაში, არამედ მთელ მაშინდელ რუ-  
სეთის სინამდვილეში ხდებოდა. „ვაჭრების წყალობით მრავალი გლეხი  
გალატაკდა... როცა მოუსავლობით ხალხს გაუჭირდება, სიღნაღის  
ვაჭრებს უხარია... ოთხ აბაზს აძლევს (გლეხი) თუმანზე თვეში...  
მკათათვეში პური უნდა მისცეს ფულის პატრონს კოდი მანეთად“.  
(ვსარგებლობ სერგი მაკალათიას წიგნით „საზოგადოებრივი  
ფორმათა განვითარების ისტორია“ 1926 წ., ა. ხ.).

ერთი კორესპოდენტი ვაზ. „დროებაში“ 1861 წლის რეფორმის  
შემდეგ გამწვავებული მდგომარეობის გამო წერდა: „თავისუფალნი  
ხართო, გვეუბნებიან, და თქვენი ბრალიაო—თუ ყველაფრით კარ-  
გად არა ხართო“. თავისუფლობა კაია, ძამია, მარა, იგი მარტო  
სახელითაა და სახრავით კი არა, და რაღაი ამფერ თავისუფლე-  
ბას?! მამასახლისებიც კი ჩვენის სურვილისამებრ ვერ ამოგვიჩვენია...  
გურიის პირველი განყოფილების მომრიგებელ-შუამავლის მაზრაში  
სულ-ცოტა რომ ვსთქვათ, ვალდებულნი გლეხნი 20.000 კომლზე  
ნაკლები არ იქნება. ამათგან თავი დაიხსნა ათას ას ოთხმოცდაათმა  
(1190) კომლმა (ხაზინის დაუხმარებლად). ამათგან საკუთრებად შე-  
ძენილი მიწები არის რვაათასორას ორმოცდა რვა (8248) ქცევა,  
ას ორმოცდა სამი ათას ცხრაას ოთხმოც და ცამეტ (143,993)  
მანეთად მიღებული. მაშასადამე, თავდახსნილთ რიცხვი არ აღემა-  
ტება  $1\frac{1}{100}$  პროცენტს“-ო (ვაზ. „დროება“ 1881 წ. № 224,  
ოქტომბრის 27). მეტად მწვავედ იდგა „ხიზნების“ საკითხიც. რე-  
ფორმის შემდეგ გლეხს შეეზღუდა იმ მიწების სარგებლობის უფლე-  
ბაც-კი, რომლითაც ის უწინ სარგებლობდა. „წინედ ჩვენ—გურიანთის

მცხოვრებლებს, ნება გეკონდა ზღვის პირას თავის სარჩოდ, მიწები  
გვესარგებლა... ახლა რაოდენიმე მებატონეთ ხელჭირულობით ჩიგ-  
დეს ბევრი მამულები და დაისაკუთრეს მოსავალი მიწებისა... მცხოვ-  
რებლები თავის მამაპაპისეულ მიწაზე შეიქმნენ „ხიზნებად“... ახლა  
გასაჯეთ, კაცი ცხოვრობს სოფელში—რაოდენიმე მამობას გაუვლია  
მას აქეთ, და ეტყვიან მას, „შენ აქ ხიზანი ხარ, ხიზნად სწერიხარ  
და ამდენი გადასახადი გადავია მებატონისაო“ („დროება“ 1883 წ.  
მარტის 1, № 43). „ცარიზმი ეყრდნობოდა ქართველ  
თავადებს, აზნაურებსა და მემამულეებს, ხელს უწყ-  
ობდა მათ მასების ექსპლოატაციასა და ძარცვა-  
ში“... „გლახობის მშრომელი მასების ამ ექსპლოატა-  
ციას ემატებოდა აზნაურების, თავადების, მოხე-  
ლეებისა და პოლიციის თვითნებობა“. „ურციცხვ დამს-  
ჯელ ექსპედიციებსა და ეგზეკუციებს თან სდევდა  
მხეცობა და სისასტიკე“. (ამხ. ლავრენტი ბერია  
„ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“—  
„კომუნისტი“, 1936 წ., 27 თებერვალი).

თავისუფლებას მოკლებული ხალხი კენესოდა: „მამასახლისებიც-  
კი, ჩვენის სურვილისამებრ ვერ ამოგვირჩევია: გამგეობის მოხელეებს  
ვინც უნდათ—და ვინ ენდომებათ თქვენ მიხვდებით—იმას ნიშნავენო“.

„დროების მკითხველებმა იციან, თუ როგორ უწინდელმა პოლი-  
ციამ იმდენზედ მიიყვანა საქმე, რომ მოთმინებიდამ გამოსული  
საზოგადოება კინალამ ააჯანყა... დღეს ვხედავთ, რომ პოლიციაში  
იგივე ჩინოვნიკებია (ერთის მეტი), იგივე გაიძვერა პირებს დაუკავე-  
ბიათ უპირველესი ადგილი ბ. ვირუბოვის თვალში, რომელთაც ბ. და-  
დიანის დროს დიდი პატივი ჰქონდათ და რომელთა წყალობითაც გუ-  
რულებმა ავაზაკების სახელი დაიმსახურეს... უნდა იცოდეს (ვირუ-  
ბოვმა, ა. ხ.), რომ საზოგადოებას არა მისი პოლიციის ჩინოვნიკები  
და ორი-სამი გაიძვერა კაცები შეადგენენ“ (გაზ. „დროება“ 1883 წ.  
№ 167). 1882 წ. კავკასიის მთავარმართველს, გენერალ-ადიუტანტ  
ალექსანდრე მიხეილის-ძე დონდუკოვ-კორსაკოვს, ოზურგეთის მაზ-  
რის „კეთილშობილნი“ თხოვნას აძლევენ, სადაც აღნიშნულია, რომ  
„ანგარების მოყვარე პირების ხელში, რომელნიც ხალხის საზარალოდ  
და თავის საკუთარი სარგებლობისათვის მოქმედებენ... ხალხი საშინ-  
ლად დაეცა ზნეობით და ისე გამრავლდნენ ქურდნი და ავაზაკნი,  
რომ, თუ მართველობამ არ მიიღო მათ წინააღმდეგ რაიმე ღონის-  
ძიება, ჩვენ აღარ შეგვიძლია დგომა და ცხოვრება მაზრაში... რაც  
რომ მაზრის მართველობას განაგებს ახლანდელი მაზრის უფროსი

თ. დადიანი, ყოველგვარი მოძრაობა ხალხის კეთილდღეობისათვის დაემხო“ („დროება“ № 162, 1882 წ.). ასეთ გამწვავებულ მდგომარეობას ემატებოდა სამღვდელოების აღვირახსნილობა და ხალხზე ძალადობა. ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიყვან.

„13 სექტემბერს—წერდა „ივერიის“ კორესპოდენტი— ბლ. ი. ცინცაძე მრევლიდან ბრუნდებოდა შინ. დახვედრია გზაში მისივე მრევლი და მეზობელი ბეს. სიხარულიძე, რომელიც განსვენებულს ერთის წლის წინად მოჯამაგირედ სდგომია...

— მაძლევ ჩემს რვა მანეთს ნაჯამაგირევს, თუ შეგისრულო დანაპირებიო?—ეუბნება სიხარულიძე მღვდელს.

— თავს ნუ იგდებ ბიჭო, გამეცალე იქითაო, უპასუხებს ბლადონინი, გადაუქნევს მათრახს და გასცილდება.

სიხარულიძე აღელვებული თვალს გააყოლებს ცხენოსანს, გადმოიღებს გატენილს თოფს, დაუმიზნებს და იტყვის თავისთვის: ღმერთო, შენ იყავ მოსამართლე მე და ამ კაცს შორის: თუ უმართლოდ მართმევდეს ჩემს ნაოფლარს, ტყვიას ნუ ააცდენ, და თუ არა, დაიფარეო და გამოუშალა ჩახმახს ფეხი. იგრიალა თოფმა და კვიმსა და ბოლში მკვლელსაცა და აგრეთვე მახლობელს მეზობლებსაც შემოესმათ შემზარავი ყვირილი“-ო. ეს ის, რაც სამღვდელოებას ასეთი მტაცებლური გზით მიჰქონდა საწყალი ხალხიდან. ამას დაუმატეთ ეკლესიის ათასგვარი გადასახადები: დრამის, წირვის, ნათვლის, ჯვრის წერის, დასაფლავების და ნახავთ, როგორი უნდა ყოფილიყო მშრომელთა ბედი. მაშინდელი გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ბოროტმოქმედებათა „გავრცელების მიზეზი არის სიღარიბე და ამ უკანასკნელის დასაბამი კი ერის პოლიტიკურს და სოციალურს მდგომარეობაში უნდა იძებნებოდეს“-ო. გურიაში ფირალობა განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარდა. ამ დროს დიდი ხნიდან დამარცხებული იყო გურიის 1841 წლის აჯანყება. მეფის მოხელეებმა აჯანყების სისხლში ჩახრჩობის შემდეგ, ხალხი ისე მაგრად ჩაიჭირეს ხელში, რომ გასაქანი აღარ მისცეს. რეფორმის შემდეგ, ჯერ კიდევ რევოლუციური კლასი არ არსებობდა, რომელსაც ეს მთავარი მასა უნდა გაჰყოლოდა.

დიდი ლენინი თავის „1905 წელში“ წერდა: „1861 წლამდე თებერვალი იყო მებატონური რეფორმის წინ რუსეთში რევოლუციური სიბრძნის შორის აღიარებული სხვაგანაც იყო გავრცელებული: „ნუხის მახ-“ „1905 წელს „დროება“—გამოჩენილა ავაზაკთა ბრბო, რომელთა დაოთავედაც ციმბირიდან გამოქცეული ისრაფილიაო“ (ხაზი ჩე-

მოთქმით „ყველა საწარმოო იარაღთაგან უდიდეს პროდუქტიულ ძალას წარმოადგენდა“ („ფილოსოფიის სილატაკე“, გვ. 255, ქართ. გამოცემა). ამ პირობებში ცხადია გლახს, რომელსაც ცხოვრება გაუმწარეს ფირალად გავარდნის გარდა არაფერი დარჩენოდა. ბელეტრისტი ნინოშვილი, როგორც თავის მხატვრულ ნაწერებში („სიმონა“), ისე პუბლიცისტურ წერილებში საფუძვლიანად შეეხო გურიის ფირალობის საკითხს. ფსევდონიმის ქვეშ ის „ივერიაში“ წერდა: „რა მიზეზი ალებინებს კაცს ხელს საყვარელ ცოლსა და შვილზედ, მეზობელსა და ნათესაობაზედ, მშობლიურს მიწა-წყალზედ, მამა-პაპეულს ზნე-ჩვეულებაზედ და გაუყენებს განსაცდელითა და სატანჯველით სავსე გზას? არ გვეგონოთ-კი, რომ ყაჩაღს თავისი ცხოვრება ტკბილ ცხოვრებად ჰქონდეს მიჩნეული, პირიქით, ჰგონობს სატანჯველსა და ხშირად ნანობს თავის აკაცობას, იქნება, როცა დაფიქრდება, მაგრამ რა ჰქნას?“ (გაზ. „ივერია“). „დროება“ სამართლიანად აღნიშნავდა თავის მოწინავეში, რომ: „პირველი და ძირითადი საშუალება ამგვარი ცუდ-კაცობის მოსპობისა, რასაკვირველია, არის მოსპობა სიმშობისა“-ო. („დრ.“ 1879 წ. № 186, ენკენისთვის 8). ცხადია, რომ ბატონყმურ-კაპიტალისტური სისტემის შედეგად წარმოშობილ საფირალო მოძრაობას ვერ ჩააქრობდა ვერავითარი ეგზეკუციები და რეპრესიები. პირიქით: ეს იძულებანი უფროდაუფრო ზრდიდა ფირალთა რიცხვს, რასაც ქვემოდ ნათლად დავინახავთ. ფირალობის მოსპობისათვის, ისე როგორც სხვა უბედურების ლიკვიდაციისათვის, ერთად-ერთი გზა იყო თვით იმ წყობილების დანგრევა, იმ საფუძველისა და სისტემის მოსპობა, რომელსაც მშრომელი ხალხი რკინის ხუნდებში ჰყავდა და ამწყვდევდა. გურიაში ფირალობამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ოზურგეთის მთავრობის ინფორმაციაში მეფის მოხელეები სიტყვა „გურულს“, „ყაჩაღს“ უთანაბრებდნენ—„ეთიმოლოგიურად სიტყვა გურული, რუსულად გადათარგმნილი ნიშნავს „მუდმივ ყაჩაღს“ (იხ. ფ. მახარაძე, „1905 წ. ამიერ-კავკასიაში“ 1926 წ., გვ. 327).

და თანამედროვედ „ხსნიდნენ“ მეფის ჩინოვნიკები საფირალო მოძლად დაეცა და არ აღიარებდა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადრომ, თუ მართველობამ არ მიიღო... პირობები მსგავს შედიება, ჩვენ აღარ შეგვიძლია დგომა და ცხოვრება და განვითარებრომ მაზრის მართველობას განაგებს ახლანდელი მაზრის უფრო... და



სხვა, უხვად ათავსებენ ფრაგმენტალურ ცნობებს საქ. სხვადასხვა კუთხეებში ყაჩაღობის გავრცელების შესახებ.

დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით: 1879 წლის 19 ნოემბერს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს აღმოსავლეთ საქართველოში განთქმულ ყაჩაღს—ტატო წულუკიძეს. გაზეთი „დროება“ რამდენიმე ნომერში ათავსებს წულუკიძის გასამართლებისა და ჩამოხრჩობის ამბავს. „დღეს 28 იანვარს,—წერდა „დროება“—დილის 11 საათზე, ხოჯევანის სომხის სასაფლაოს იქით გორაზე ჩამოახრჩეს მთელს კავკასიაში განთქმული ავაზაკი ტატო წულუკიძე“-ო. კორესპოდენტი აწერს იმ სულიერ განწყობილებას, რომელშიაც ჩააგდო დამსწრე ხალხი ტატოს ჩამოხრჩობამ. ტატო ყველასათვის საყვარელი ყოფილა. „აფსუს ბიჭო, დაიძახა ერთმა. სხვებიც გააფუჭა, თვითონაც გაფუჭდა, სთქვა მეორემ...“

— გაფუჭდეს ის, ვინც ეგ მაგისტანა ბიჭი გააფუჭა... საზოგადოთ ხალხში სიბრაღულისა და შეწყნარების ხმა ისმოდა... ეს ჩვენი საზოგადო წყობილების ნაწარმოებია, ჩვენი შვილია, ჩვენ მივიყვანეთ ეშაფოტამდი“-ო. („დროება“ 1880 წ., № 22, იანვრის 29), „დროება“-ს შემდეგი ნომერი მოწინავე წერილს უთმობს წულუკიძის დასჯას. „ვინ არის დამნაშავე—კითხულობს გაზეთი,—რომ ახლანდელ დროში, ჩვენს საზოგადოებაში ამისთანა მკენებელი და ბოროტმომქმედი პირები იბადებიან?.. ვინ იყო ტატო წულუკიძე და რა გარემოებათ მიაღწევინეს ის, სახრჩობელამდის? იმასაც მთელი ქვეყანა იცნობს და იმის დედმამასაც. დედმამა პატიოსანი, მშრომელი, მშვიდობიანი ხალხია... თვითონ ტატომ თქვა, რომ „ტყუილუმბრალოთ ჩამსვეს პირველად ციხეშიო, რო გამოვედი იქიდან, მთელს ქვეყანაზე გაჯავრებული ვიყავიო“. ტატო წულუკიძე, ისე, როგორც საერთოდ ფირალები, უსამართლობის მსხვერპლი იყო. წულუკიძის დამცველმა სხვათა შორის სიტყვაში თქვა: „ტატო წულუკიძემ, ვთქვათ, მოიპარა... მერე პეტერბურგში ცხოვრების ნაცვლად ტყე-ტყე დაძვრებოდა და ამისათვის საზოგადოებამ უნდა სიკვდილით დასაჯოს ეს კაცი?“-ო. წულუკიძის პროცესი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წულუკიძე ისე დიდი ყაჩაღი ყოფილა, რომ მისი გასამართლების დროს ექსპერტებად მოუწვევიათ ისეთი საზოგადოებრივი მოღვაწენი, როგორნიც იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი და სხვ. (იხ. „დროების“ 1880, № 22-23, 79 წ. წ. 240, 241, 242—43—44—45 და სხვა ნომრები).

მაგრამ ყაჩაღობა სხვაგანაც იყო გავრცელებული: „ნუხის მახრაში—წერდა „დროება“—გამოჩენილა ავაზაკთა ბრბო, რომელთა მოთავედაც ციხიბირიდან გამოქცეული ისრაფილიაო“ (ხაზი ჩე-



მია, ა. ხ. იხ. „ივერია“ № 165, 1886 წ.). ყაჩაღთა რაზმები, ვინც  
 დებდნენ სოხუმშიც. გაზ. „ივერიის“ ცნობით, „პოლიციას ვერა გაუწყ-  
 ყვია რა და ვერ მოუსპია ესენი“. (იხ. „ივერია“ 1887 წ. № 5). „ივე-  
 რიის“ ცნობითვე, ასეთივე ჯგუფი სომხეთშიც ყოფილა, რომელთა  
 გასანადგურებლად „სომეხმა ჯალალიანმა, მართებლობის ნება-  
 რთვით ოცდახუთი კაცი შეჰკრა და დასდევნ უკან ამ ავაზაკთო“.  
 „სამეგრელოდან იწერებინ, რომ ქურდობა და ავაზაკობა ჩვენში  
 და სამურზაყანო-ათხაზეთში... თანდათან მატულობსო... აღმინის-  
 ტრაცია ხმარობს... ღონისძიებას... მაგრამ ვერას არიგებსო... თვი-  
 თონ ხალხი ჰფარავს და მალავს მათო“ („კავკაზი“, „დროება“ 1879 წ.  
 № 190). „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ზუგდიდიდან გვწერენ: ჩვენს  
 ქალაქში ჯერ კიდევ არ მოისპო ქურდობა და ავაზაკობაო. ამას წი-  
 ნად, მაგალითებრ, ზუგდიდში, ნაშუადღევის პირველ საათზე ყაჩაღმა  
 ლაკრიბაიამ შუაქალაქიდან მოიტაცა შეიარაღებული ცხენი და გაიქ-  
 ცაო“ („ივერია“ № 189, 1886 წ.).

„ახალქალაქის მაზრაში გამოჩენილა მთელი დასი ავაზაკებისა.  
 ხალხი ამბობსო, რომ უთუოდ ქიარიმა ამ ახლად შედგენილის დასის  
 მოთავეო“ („ნოვ. ობოზრენ.“ 1886 წ.). ეს ქიარიმა სახელმძღვანელო  
 ყაჩაღი ყოფილა. გაზეთები ხშირად აღნიშნავენ: ქიარიმა ამაღაამ  
 რიცხვში ახალ ქალაქიდან გადავიდა ოსმალეთში, ან სხვა კუთხეშიო.  
 აქვე სახელგანთქმული ყოფილა ვინმე ჰურიშან-მოლა-ოღლი  
 და სხვა.

მაგალათების მოყვანა კიდევ ბევრის შეიძლებოდა, მაგრამ საი-  
 ლუსტრაციოდ ესეც კმარა.

რა ირკვევა?

ირკვევა, რომ ფირალობა არ იყო და არც შეიძლე-  
 ბოდა ყოფილიყო თანდაყოლილი თვისება რომე-  
 ლიმე ხალხის და კერძოდ გურული ხალხის; რომ  
 ფირალობა არ აიხსნება ტემპერამენტული თვისე-  
 ბებით. არა, ის იყო გარკვეული წესწყობილების  
 შედეგი. ის იყო გამოვლენა ფეოდალურ-ბურჟუაზი-  
 ული წყობილების არსების და ისეთ წყობილე-  
 ბას, სადაც ხალხი მონურ მდგომარეობაში იყო,  
 ფირალობა უნდა წარმოეშვა. აქვე არის იმ ბურჟუაზიული  
 „მეცნიერების“ პასუხიც, რომელნიც ფირალობის მიზეზებს კერძო  
 ადამიანების ტემპერამენტში ეძებენ და ამ სოციალური მოძრაობის  
 მიზეზად ცალკეული ხასიათის შემთხვევებს ასახელებენ. ყველგან,  
 სადაც ფეოდალიზმის ნგრევასთან ერთად ვითარდებოდა კაპიტა-  
 ლიზმი, წარმოშობილა გლეხთა მოძრაობა; ხოლო ამ მოძრაობის შე-  
 ფერხების პერიოდში ფირალობას უჩენია თავი. ასეთი ეპოქის შეი-

ლია პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, შილერის — „ყაჩაღები“  
პროსპერ მერიმეს „ჟაკერია“ — ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ და სხვა.  
ათეული და ასეული ნაწარმოებნი. ცნობილია, როგორი ინტერესით  
ეკიდებოდა პუშკინი, ეს „რუსეთის პოეზიის მზე“ პუგაჩოვის აჯან-  
ყების შესწავლის საქმეს. პუშკინი თითონ მიდის აღმოსავლეთ რუ-  
სეთში, სადაც გლეხთა მოძრაობის სულის ჩამდგმელი, მემბოხე ემე-  
ლიან პუგაჩოვი მოქმედებდა. პუშკინმა ფეხით მოიარა ორენბურგი,  
ურალი და ყაზანი. იგი აწარმოებდა ხალხური გადმოცემების ჩაწე-  
რას. ამის შემდეგ ის პუგაჩოვის სატახტო ქალაქში „ბერდის სტან-  
ციაში“ მოექცა. მოხუცს, 75 წლის დედაბერს მან ბევრი ლექსები  
და მოგონებები ათქმევინა პუგაჩოვზე და საერთოდ აჯანყების შესა-  
ხებ. ეს დედაკაცი პუგაჩოვს ახლოს იცნობდა. პოეტმა მას ერთი  
ოქრო აჩუქა. მცხოვრებნი კვირობდნენ, რომ ამ კაცმა ისეთ საკით-  
ხზე, როგორიც ყაჩაღის საკითხია, მთელი დღე დაჰკარგა და ერთი  
ოქროც ზედ მიაყოლაო. ხალხმა ის ანტიქრისტიდ მონათლა. და ამის  
შედგეგია ისეთი ლამაზი რომანი, როგორიც „კაპიტანის ქალიშვი-  
ლია“. პუშკინს მშვენივრად ესმოდა პუგაჩოვის გამოსვლების სოცია-  
ლური არსი.

დაახლოვებით ასეთ საპურობილისებურ მდგომარეობაში იმყოფე-  
ბოდა გერმანიის მშრომელნი, როცა უკვდავმა ფრიდრიხ ში-  
ლერმა (18 საუკ. მეორე ნახევარი) დაწერა გენიალური „ყაჩაღები“. ამ  
დროს გერმანიაში ფეოდალური ტირანია ბატონობდა. როგორც პუშ-  
კინის პუგაჩოვი, ისე შილერის კარლ მოორი არსებული დიქტატურის  
წინააღმდეგ მებრძოლი მემბოხე-რაინდებია. კარლ მოორის  
იდეალი ამომავალი ბურჟუაზიის იდეალია: „მომეცით მე ისეთი ვაჟ-  
კაცების არმია, როგორიც მე ვარ და გერმანიას ისეთ რესპუბლიკად  
გადავაქცევ, რომ რომი და სპარტა მათთან დედათა მონასტრად  
გამოჩნდებოა“ (მოორი). მოორი ბოჰემიის ტყიდან უპირდაპირებს  
თავის ძალას ყაჩაღად გაეარდნილ მეგობრების დახმარებით ტირა-  
ნიას. თავდასხმა, ცეცხლი, კვლა, მემამულეებისა და მოხელეების გა-  
ნადგურება, აი მათი საქმე. ის მართლაც „კაცთა მკვლელობის გზით  
ფეხით თელავდა კანონს“ (მოორი). „ყაჩაღები“ მოწოდება იყო უკულ-  
მართობის დასანგრევად.

ასევე გვიხასიათებს საფრანგეთის გლეხურ მოძრაობას პროსპერ  
მერიმეს დრამა „ჟაკერია“. საფრანგეთიც მე-14—15 საუკუნეში, რო-  
მელსაც ეხება მერიმეს „ჟაკერია“ ასეთ მდგომარეობაში იყო. ფუ-  
ლადი მეურნეობის გაჩაღებამ შექმნა ექსპლოატაციამნილი კლასის  
კიდევ უფრო მეტი გაჭივრება. იურიდიული უფლება, რომელიც  
გლეხს მოპოვებულ ჰქონდა, ფორმალურ თავისუფლებას წარ-



მოადგენდა. ფაქტიურად გლეხი ისევ მებატონის ხელში რჩებოდა. ეს პირობები იყო მიზეზი საფრანგეთშიც გლეხთა მძლავრი მოძრაობის. ტკივილი ყველგან ერთი იყო, რომელიც მშვენივრად გამოთქვა ცნობილმა ტომას მორმა ფორმულაში: „ცხვრებმა ადამიანები შეჭამა“. ასევე აგვისახა ყაჩაღობის სოციალური ფონი მე-19-ე საუკუნის ქართული აზროვნებისა და შემოქმედების მნათობმა ილია ჭავჭავაძემ. მან თავისი უკედავი „კაკო ყაჩაღით“ მოგვცა ის პირობები, რომლებიც ფირალობას (ყაჩაღობას) წარმოშობდნენ.

გურული ფირალის გოგია ლომჯარიას შესახებ ერთმა მთქმელმა გადმოგვცა, რომ: ვინ იფიქრებდა ისეთი საწყალი კაცი, როგორიც გოგია იყო, ფირალობას შესძლებდაო. ეს ასეა, მაგრამ მერიმეს მოხდენილი თქმისა არ იყევს: „უქიდურესობამდე მიყვანილი ლაჩარც გმირად ხდება“.

გერმანიის გლეხური მოძრაობის ბელადი მიუნცერი აშკარად გამოდის ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მას სწამს, რომ ყოველი ბოროტების მიზეზი ბატონყმობაა, რომ ავაზაკები თვით მეპატრონეები არიან. მარქსიზმის ფუძემდებელს ფრიდრიხ ენგელსს თავის გენიალურ ნაშრომში „გლეხთა ომი გერმანიაში“ მიუნცერის დასახასიათებლად მოჰყავს მისივე სიტყვები: „თავიდათავი მევაზეები, ქურდები და ავაზაკები, მთავრები და მეპატრონეები არიან; ისინი ისაკუთრებენ ყოველივე ქმნილებას, თევზებს წყალში, ფრინველებს ჰაერში, მცენარეებს დედამიწაზეო. და შემდეგ, ისინი ღარიბებს უქადაგებენ: არა იპაროთო; თვით კი ყოველივეს ითვისებენ, სადაც კი რაიმე შეიძლება; ტყავს აძრობენ გლეხსა და ხელოსანს; ხოლო თუ ამ უკანასკნელთ ცოტაოდენი რამ შესცოდეს, მათ სახრჩობელაზე გაგზავნიან და სიცრუის დოქტორი იტყვის „ამინ“-ო. (ენგელსი: „გლეხთა ომი გერმანიაში“ გვ. 65, ქართ. გამოცემა). ყველაფერი ეს მხოლოდ ერთს ამტკიცებს: გლეხთა მოძრაობა და მისი ბრძოლის ცალკეული ფორმები ფეოდალური ურთიერთობიდან, კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შედეგი იყო. რომ ყველგან ამ წყობილებას ერთი და იგივე შედეგი ჰყვებოდა: გლეხთა ბრძოლები, ზოგჯერ მასობრივი სახით (გლეხთა აჯანყებები), ზოგჯერ კი ცალკეული გამოსვლებით (ფირალობა, ყაჩაღობა).

„აგერ ოთხმოცდა თუთხმეტი წლის კაცი ვარ, და არ მახსოვს არც „ბუნტობის“ დროს და არც განსვენებული მამია გურიელის“ დროს ასეთი ავაზაკობა-ო, წერდა ერთი გლეხი („დრ.“ 1880 წ. № 190).

სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ბატონყმურ-კაპიტალისტური საზოგადოების არსი ყველგან ერთი იყო და ერთნაირ საფუძველს ერთნაირი შედეგები ჰყვებოდა. „ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფორმები—წერდა კარლ მარქსი ფრიდრიხ ენგელსს—მეტისმეტად სხვადასხვანაირია, მაგრამ მათი არსება ერთნაირია; ყველა ეს სახელმწიფო ასე თუ ისე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უეჭველად ბურჟუაზიულ დიქტატურას წარმოადგენენ“ (მარქსის „რჩ. ნაწერები“, გვ. 338, ქართ. გამოცემა). ერთნაირი არსება ერთნაირ მოვლენებს წარმოშობენ, რადგან არსება მოვლენის ძირია, მოვლენა არსების გამოვლენაა. მთავარი და გადაწყვეტი ეკონომიური პირობები იყო: „პოლიტიკური პირობები და სხვ. და თვით ის ტრადიციებიც კი, რომელნიც ადამიანთა თავებში ბინადრობენ, ერთგვარ როლს, თუმცა არა გადამწყვეტს, ასრულებენ“ (მარქსი „რჩეული ნაწერები“, ქართ. გამოცემა 1935 წ. გვ. 341). ასე: ეკონომიურად უმწეო მდგომარეობას ემატებოდა პოლიტიკური შევიწროვებანი და ხალხის ტრადიციები. ნამდვილი ბერკეტი არსებული წყობილების წინააღმდეგ იყო სილატაკე, რომელიც „დაამხობს ძველ საზოგადოებას“-ო, წერდა მარქსი.

როცა ცნობებს ვაგროვებდით ფირალების შესახებ დავრწმუნდით, რომ გლეხებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამ სილატაკეზე. სოფ. წითელმთის მცხოვრებმა 60 წლის მინახინთიბიძემ გადმოგვცა, რომ „ფირალს ტყეში ყოფნა სახლში ყოფნას რაღა ერჩია, მარა შუუჩედბოდენ და გააქცევდენ ფირალათო“.

გურიაში ფირალობის წინააღმდეგ მთავრობამ ათასნაირ საშუალებას მიმართა. ოტია დადიანმა (ოზურგეთის მაზრის უფროსმა) ეგზეკუცია ჩამოაყენა: „ავაზაკების დაჭერა ვერც ღონით და ვერც ხერხით ვერ შესძლო ბ. დადიანმა და მისმა პოლიციამ. ამის გამო მან... ჩააყენა სხვადასხვა გლეხების ოჯახებში, ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით, რამოდენიმე მილიციონერი, რომელნიც ყოველნაირად ავიწროვებდნენ მოსახლეობასო“, კვითხულობთ გაზ. „დროებაში“ (1881 წ. № 192). ეგზეკუციამ ვერ გამოიღო შედეგი და მაზრის უფროსმა სხვა ხერხი გამონახა. „გურია... აქ იყო ეგზეკუცია, დაწესდა სათემო დარაჯთა რაზმი „ზემსკაია სტრაჟა“... ხმარებული იქმნა სხვადასხვა სასჯელი ზომა და ბოლოს არჩეულ იქნენ თითოეულის საზოგადოებაში ცალკე ხევის თავები“ („ივერია“ 1889 წ. 13 დეკემბერი, № 265). ე. წ. „ზემსკაია სტრაჟა“, როგორც „ივერიის“ ცნობიდან ჩანს, დაარსებულა 1889 წ. ექუცია უკვე წავიდა. ას-ოც კაცამდე საერო დარაჯი (ზემსკაია სტრაჟა) ადგილობრივი მცხოვრებლებიდგანვე შედგენილი დაწესდა“ („ივერია“ 1889 წ. № 46). „ხევისთაობა“ 1887 წ. მაისში („ივერია“ № 101) დაწყებულა, რად-

გან წერილი ამ სათაურითაა: „შენიშვნა ხევისთავეების არჩევნებზე“  
ე. წ. „ხევისთავეებმა“ თვითმპყრობელობის უკანასკნელ ხანებამდე იარსება. 1891 წელს ცნობილი ფირალის, მეხუზლას მოკვლის დროს ხევისთავეები გარკვეულ როლს თამაშობენ. დ. შევარდნაძის ერთ ლექსშიც ხევისთავეები არიან დასახელებულნი. ვერც ამ ზომებმა გასჭრა. ერთი კორესპოდენტის შენიშვნით „ფირალები სოკოსავით მრავლდებოდნენ“. „ყაჩაღებს ხო მაინც შეიპყრობენო? იკითხავს ვინმე. შეპყრობით—კი არ შეუპყრიათ, პირიქით, ყაჩაღების რიცხვს თითო ორ-ორი ყოველ კვირაში ემატებოდა“—ო. სხვა კორესპოდენტი მოსწრებულად ამბობდა, რომ: ახლა ჩვენში ორი სენია—ყვაგილი და ფირალობაო. ამ ზომებმა არ გასჭრა. მთავრობა ახალ ხერხს მიმართავდა. მან შემოიღო ე. წ. სათემო დარაჯობა. „ივერიაში“ ვკითხულობთ, რომ გურიანთის წარჩინებულნი შეიყარნენ ბოქაულთან და მამასახლისებთან ერთად და დააწესეს სოფლებიდან ჯარის შედგენაო. სათემო დარაჯობამაც ვერ მოიტანა შედეგი. მაშინდელ პრესაში ზშირად იმართებოდა სჯა-ბაასი ფირალობის მოსპობის საშუალებათა შესახებ. ერთი კორესპოდენტი—ის კ ა ნ დ ე რ ი ს ფსევდონიმით ლაპარაკობდა რა შემოჩამოთვლილი ზომების უეარგისობაზე, იძლეოდა რჩევას შემოეღოთ საზოგადოებებში „ურთიერთ თავდებობა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ: „რა ზარალიც უნდა შეემთხვას იმ სოფლის მკვიდრს, მოპარვა იქნება, თუ გაძარცვა, დაწვა, თუ სხვა, სრულიად მიეზღოს დაზარალებულს: სოფლის ყველა მკვიდრს ცალკედ და საერთოდ მთელს საზოგადოებას უნდა გადახდეს ზარალი“—ო... („ივ.“ 1889 წ. № 265). ფირალობა თვით ცხოვრების მოუწყობლობის შედეგი იყო და ცხადია ის კანონებით ვერ გაუქმდებოდა. ამ მდგომარეობით გამოწვეული ხარჯები „თითო სოფელს უჯდება ორმოცდარვა თუმანი“—ო, წერდა კორესპოდენტი. ხალხი წყდებოდა წელში ათასგვარი გადასახადებით, მაგრამ ფირალებს მაინც მფარველობდა. ყოველგვარი ზომები ფირალობის წინააღმდეგ ამაო იყო. ხალხმა ცნობილი ფირალის, სისონა ესეს-ძე დარჩიას ერთ-ერთ ლექსში დასცინა ფირალობის წინააღმდეგ მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს:

„მცველებს დაათქვეს სტრაჟია,  
ღმერთმა დასწყევლოს იგინი,  
რა უთავბოლო ხარჯია“—ო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე, მახარაძის რ., შემოქმედი.




კალამის ფსევდონიმით „ივერიაში“ ერთი კორესპოდენტი წერდა: „ვსთქვათ, ახლანდელის ფირალებისაგან ასე თუ ისე დაგვის-სნა... მერე რა გამოვა აქედან? ხვალ თუ ზეგ გავიგონებთ, რომ ესა და ეს გაქცეულა საპრუობილიდან და გაფირალებულა, იმას ის გაპყოლია, იმას ის შეუერთებია, იმას ის შეამხანაგებია და ამნაირად ავაზაკთა ახალი ბრბო შემდგარა“-ო.

მთავრობას თვით გლახეცხეები გაჰყავდა ფირალების წინააღმდეგ. ფირალობა ისე მასიური შეიქნა, რომ მარტო მაკვანეთმა „35 ავაზაკი წარუდგინა მთავრობას“-ო („დრ.“ 1882 წ. № 185). „ლამის მთელი მაზრა ავაზაკთა ბუდედ გადაიქცეს“-ო წერდა კალამი „ივერიაში“. „სოფლიდგან ბევრი გლახეცხეობაა გამოყვანილი საყარაულოდ და ამ მოკლე ხანში ოზურგეთის მაზრაში ოთხი საგანგებო საქმეთა მინდობილობის მოხელე და ბოქაული მოღუმატეს. იმათ ახლავთ 32 ყაზახი-რუსი და ამდენივე ჯარისკაცი... შეუძლიანთ მოითხოვონ ასობით ცხენოსანი ჯარი, ჩააყენონ იმ სოფელში, სადაც საჭიროდ დაინახავენ და მათი რჩენა-შენახვა სოფლის ხალხს დაავალონ... მამასახლისს ექნება ჯამაგირად წელიწადში 500 მანეთამდის, ხოლო მამასახლისის ხელქვეითებს, ყარაულებსა და იასაულებს, თვითეულს 300 მანეთამდის. ყველა ეს ხარჯი სოფლელებმა უნდა იტვირთონ“-ო („ივერია“, 1892 წ., № 23). „ივერიის“ ცნობით, კავკასიის მთავარმართებლის გოლიცინის ცირკულიარით სოფლელთა ყარაულობა 1890 წ. მოუსპიათ.

გ. ხაჭაპურიძეს თავის ნაშრომში „გლახთა მოძრაობანი საქართველოში“ სულ ათი ფირალი ჰყავს ჩამოთვლილი: „დათუნა სურგულაძე, გიორგი ჭყონია, დიმიტრი ვანიძე<sup>1</sup>, დათუნაიშვილი, ბოლქვაძე, ლომჯარია, ღლონტი, ბაბუნაშვილი, ცეცხლაძე, გიგინეიშვილი“ (გვ. 166). ამათ გარდა, აღსანიშნავია შემდეგი ფირალები: დარჩიები, მიქელაიშვილი, ილარიონ დათუნაიშვილი და სხვები.

საფირალო მოძრაობის ისტორია უნდა გაიყოს ორ პერიოდად: პირველი პერიოდი იქნება 80-ნი წლებიდან 1905 წლამდის. ამ პერიოდის ფირალებს ახასიათებს მემამოხური, განცალკევებული, ინსტიტუტურ-თავდაცვითი ბრძოლა მეფის ცალკეული მოხელეებისა და მემამულეების წინააღმდეგ. 1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის პერიოდის ფირალები კი შეგნებულ ბრძოლას

<sup>1</sup> დიმიტრი ვანიძის ფირალობის შესახებ ჯერჯერობით ცნობას ხალხში ვერ წავაწყდით. ა. ხ.



აწარმოებენ არსებული რეჟიმის დასანგრევად. ისინი უფრო დარბაზში მული გამოდიან. მათი თვალსაჩინო წარმომადგენლის დანაშაულის ერდიშელის - ძე შევარდნაძის ავტორობის ქვეშ დაწერილ ლექსში რევოლუციონური ენტუზიაზმია მოცემული:

„მტარვალების ტლანქმა ძალამ  
გამომავდო მინდორ ველათ;  
მოდით ძმებო და ვიბრძოლოთ  
აწმყო დროის შესაცვლელად.  
ხალხს უსურვოთ, რომ შეიგნონ,  
რომ არვინ ყავს მას დამცველათ;  
გარდა ერთი თავის თავის  
გამომსვლელი ბრძოლის ველათ“-ო.

ეს ბრძოლის პროგრამაა. შევარდნაძე ისე გატაცებულია ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლით, რომ თავის ძალასა და ენერჯიას არ ზოგავს. მეორე დიდი წარმომადგენელი ამ პერიოდის ფირალობის, კიკია ნიკოს - ძე მამულაიშვილი გარკვეული პოლიტიკური შეგნებითა და იმედიან პერსპექტივით დაღუპულ მეგობრის, შევარდნაძის შესახებ სამგლოვიარო ლექსს წერს, სადაც აღნიშნავს, რომ:

„დუხპირ ცხოვრების პირობამ  
ტალღა ბევრჯელ დაგაჯახა;  
მაგრამ შენი წმინდა რწმენა  
ერთხელაც ვერ შეაფერხა“-ო.


საყვარლისადმი მიწერილ წერილში, რომელიც მან ლექსად დაწერა, ამბობს:

„ისიც ნუ შეგაშინებს,  
დღეს, რომ მტრები მდევნიან;  
მოვა დრო და ისინი  
სოროში ჩაძვრებიან“-ო<sup>1</sup>.

პერსპექტივის ასეთი სიცხადე არ ქონდათ (და ვერც ექნებოდათ) 80—90 წლების ფირალებს. ამიტომ შეცდომა იქნებოდა ამ ორი თა-

<sup>1</sup> მთქმელი მარუსია კილაძე, მახარაძის რ. სოფ. დვავზუ.





ობის ფირალები ერთი მეორეში აგვერია. 900-ნი წლებიდან <sup>ცხოველები</sup> რება შეტყვალა. ხალხთა გენიალური ბელადის, მსოფლიო მშრომელთა უსაყვარლესი ადამიანის, ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის პროლეტარიატმა ბრძოლისა და გამარჯვების დროშა აღმართა.

„მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი—ს. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი“, (ამხ. ლავრენტი ბერიძე „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გვ. 14, 1938 წ. გამოცემა).

უკვე „1901 წლის 31 დეკემბერს მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“... „კონფერენციამ გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით“. (ამხ. ლავრენტი ბერიძის დასახ. წიგნი გვ. 24).


მშრომელთა ბელადი, ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა მშრომელებს, რომ მათ ებრძოლათ „რევოლუციურ გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის მეთაურობით“ (გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი“ № 1, 1907 წ. 20 ივნისი. იხ. ამხ. ლავრენტი ბერიძის დასახ. წიგნის 144 გვ.).


„უკვე 1902 წ. იანვარში ამხანაგი სტალინი მოწინავე მუშებთან ერთად პირველად აწყობს ბათუმში მანთაშევის ქარხნის მუშათა დიდ გაფიცვას, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა“.

ამავე წლის თებერვალში როტმილდის ქარხანაში იფეთქა მუშათა გაფიცვამ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. (ამხ. ლავრენტი ბერიძის დასახ. წიგნის 25 გვ.).

ეს მოძრაობანი გურიაში ელექტრონის ჩქერავით შეიჭრა და ექსპლოატაციაქმნილი მასა აამოძრავა.

1905 წლის დიდი ამბების გამომწვევი იგივე ეკონომიური პირობები იყო, რომელიც საბოლოო ანგარიშში ყველაფრის საფუძვე-





ლია. ამის საბუთად უთვალავი დოკუმენტები არსებობს. დავკმაყოფილდებით მხოლოდ რამდენიმეთი. „დღევანდელი მოძრაობა“ რიაში—სიტყვის ფსევდონიმით წერდა კორესპოდენტი—დაიბადა პირდაპირ ეკონომიურ ნიადაგზე, რასაც ნათლად გვიმტკიცებს მოძრაობის მოკლე ისტორიული განხილვა: მიწის სიცოტავე, დიდი იჯარის ფასი, მძიმე გადასახადები, დრამის ფული—აი რაზე აღორძინდა უკმაყოფილება. მოძრაობა დაიწყო მოუსავლობის დროს და უპირველესად იმ ადგილებში, სადაც ხალხი ყველაზე უფრო გაჭირვებული იყო. მეტად მოუსავლიანი იყო 1901—1902 წლები... მოუსავლიანობას სრულიად არ მიაქციეს ყურადღება და გლეხებისაგან თხოულობდნენ წინანდელ დალას... მოძრაობა დაიწყო ერთსა და იმავე დროს 1902 წ. ხიდისთავსა, ნიგოეთსა, ჩოჩხათსა და გურიანთის სოფლებში... გურიანთაში მომხდარა ამისთანა ამბავი: მიწა ყანთანად წაიღო წყალმა და მემამულემ პოლიციის შემწევობით მაინც წაიღო საიჯარო ფასი... 1903 წელს მთელი გურიის გლეხობა გაიფიცა და არავინ არ აიღო იჯარით თავად-აზნაურობის მიწები“. მაგრამ ეკონომიურ სიდუხჭირეს ადმინისტრაციული შევიწროვებანიც ემატებოდა: „გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ სასამართლოსი, რომელიც სწარმოებდა გაუგებარ ენაზე... მოძრაობის დროს გლეხობას თანდათან დაეკარგა პოლიციის და სასამართლოს პატივისცემა და ნდობა“ („ცნობის ფურცელი“ 1905 წ. № 2753).


1902 წ. დახურეს ყველა ბიბლიოთეკა-სამკითხველო—„გურულები წიგნის კითხვამ გადარიაო“. განვითარდა ტერორი. მოკლეს მომრიგებელი შუამავალი თ. ტიფო ნაკაშიძე. გურიანთაში: აზნ. დ. ქარცივაძე, გლეხი თ. აროშიძე, მიხ. მ. მოქია, მახარაძე; ნატანებში: გ. მესხია; ნიგოეთში: ჩეჩელაშვილი; ლანჩხუთში—მამასახლისი ირ. მენაღარიშვილი, გ. არაგვენიძე; ხიდისთავში—მწერალი მიხ. ლომაძე, ქართველიშვილი, მამასახლისი თავართქილაძე, გერ. ლომაძე; სურებში: დეკანოზი ნიკო რამიშვილი; ჯუმათში—მღ. გაბრიელ დარჩია; ოზურგეთში—ი. სარიშვილი; შემოქმედში—აზნ. ალ. ბებურიშვილი, ალექსი კირკელიძე (ჟურ. „მოგზაური“ 1905 წ. № 5). გურულებმა განდევნეს მთავრობა და რესპუბლიკა შექმნეს. მთავრობის მიერ გაგზავნილ სულ-კრიმ-გირეის შემოქმედის მიტინგი უყენებს მოთხოვნილებებს; 1. გაუქმდეს დროებით ვალდებულნი გლეხები; 2. მოისპოს განსაკუთრებული გადასახადები, ეს გზების კეთება, დარაჯობა. თუ საჭიროა მათი დატოვება, ყველასათვის უნდა იყოს სავალდებულო. 3. მოისპოს არა-პირდაპირი და პირდაპირი გადასახადები; შემოღე-

შულ იქნეს გადასახადი შემოსავალზე, ხოლო 500 მანეთის ნაკლები შემოსავალზე არავითარი გადასახადი არ უნდა დაწესდეს; 4. უნდა დაგვიბრუნდეს ფული, რომელიც გადავიხადეთ თავის დასახსნელად; 5. ჩამონაჭერი მიწები დაუბრუნდეს გლეხებს; 6. ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი და ხელშეუხებელი. თავისუფლება კრების, სიტყვის, ბეჭდვის; 7. უნდა დაწესდეს ადგილობრივი თვითმართებლობა, ჩვენ ვთხოულობთ იმას, რასაც მთელი რუსეთი... ჩვენი მოთხოვნილება საერთოა, საზოგადოა, უნდა შეიცვალოს დღევანდელი წესწყობილება და დაწესდეს ახალი, რისთვისაც უნდა მოწვეული იქმნას მთელი ხალხის წარმომადგენელი დამფუძნებელი კრება („ცნ. ფურცელი“ 1905 წ. № 2756 წ. ავტორი—სიტყვა).

აკად. ნიკო მარი გურიის მოძრაობასაც შეეხო. „გურიაში რომ ჩავედი—წერდა მარი—იქ არც პოლიცია დამიხვდა, არც სტრაჟნიკები, არც კაზაკები და არც ჯარისკაცები... საზოგადოებას შეუძლია არჩეულ მსაჯულების გადაწყვეტილება უარჰყოს და თვითონ მის წინააღმდეგ გადაწყვეტილებას დაადგეს... ყველა კრებაზე ხალხი ახალ თავმჯდომარეს ირჩევს... კრებებს ქალები მამაკაცებთან ესწრებიან“. („ცნ. ფურცელი“ 1905 წ. № 2911). მარისვე ცნობით ერთმა ორატორმა ნამესტნიკობის დაარსება იმით ახსნა, რომ „მათრახი პეტერბურგიდან ვერ გადაწვდა კავკასიელთ“—ო. მთავრობა რეპრესიებზე გადავიდა, მობილიზაცია უყო თავის ძალებს და „გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნა რამდენიმე ათასი ჯარის-კაცი არტილერია და სამგზავრო სამხედრო ლაზარეთი“ („ცნობის ფურცელი“ 1905 წ. 17 თებერვალი). იმპერიალისტური რუსეთის დაბნელებულ ცაზე ვარსკვლავმა გაანათა და მთელი შებლალული მასა—პროლეტარიატი და გლეხკაცობა თვითმპყრობელური მანქანის დასამსხვრევად ადგა. კავკასიის კავშირის კომიტეტი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თავის მოწოდებაში აღნიშნავდა, რომ „ამ რევოლუციის მთავარ ძალას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი“—ო. (იხ. ამხ. ლავრენტი ბერიას დასახ. წიგნის გვ. 68).

„ამხანაგ სტალინის ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყოფილი ქუთაისის გუბერნიის პარტიულ ორგანიზაციებს“. (ამხ. ლავრენტი ბერიას დასახ. წიგ. გვ. 52).

„საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, დუშეთის, თბილისისა და თელავის მაზრები), განსაკუთ-



რებით გურიაში (ოზურგეთის მაზრა), გლახთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლახთა რევოლუციური კომიტეტები—რევოლუციური გლახობის შეიარაღებული აჯანყების ორგანოები—ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადების გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდლოების და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს“. (ამხ. ლავრენტი ბერიას დას. წიგ. გვ. 54).

გურიაში რევოლუციურმა გამოსვლებმა ისე მწვავე ხასიათი მიიღო, რომ რ.ს.დ.მ.პ. (ბოლშევიკების) III ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: „თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარსა და არტილერიას გურიაში და ამხადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად შეუბრალებლად განადგურებას“. (ამხ. ლავრენტი ბერიას წერილი „ლენინური-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“, გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 27 თებ.).

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. ეს დამარცხება არ იყო საბოლოო. „ბოლშევიკები დაუღალავად განუმარტავდნენ მუშებსა და გლახებს რევოლუციის დამარცხების დროებითს ხასიათს და ახალი რევოლუციის გარდუვალობას“. (ამხ. ლავრენტი ბერიას დასახ. წიგნი გვ. 134). რეაქციის პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ამ მოწოდებას მხარს უჭერს მშრომელთა მოსახლეობის შეგნებული ნაწილი და ბრძოლას აგრძელებს—ფირალად გადის. მათი პირადი ინტერესები მიღმა რჩებიან. ქვეყანა ბრძოლის ანთებაშია. ფირალები „მაშვრალთა“ დაცვის ორგანიზატორებად გამოდიან. ერთი მემამულის ბორის პოდკოლზინის (რომელიც გურიაში, იანეთში ცხოვრობდა) გაცარკვის დროს ფირალები მას ეუბნებიან: „ჩვენ ფული ძლიერ გვეჭირვება, რადგან ჩინოვნიკისაგან ძლიერ შევიწროვებულნი ვართ. 10 ჩვენი ამხანაგი ციხეში ზის, იმათი ცოლშვილი სიმშვილით იხოცება, ამიტომ ნურას უკაცრავად, რომ შენ ქონებას დავეპატრონოთ“ (ჟურ. „კვალი“ 1903 წ. № 9).

ამრიგად, საფირალო მოძრაობის ორი პერიოდი ადსანიშნავი: I. 1905 წლამდის, და, II—1905 წლ. შემდეგ, რეაქციის პერიოდი. მეორე პერიოდში იმერეთში მოქმედებს ს. მერკვილაძის რაზმი; ხოლო კავკასიაში აფთარივით დანავარდობს მთელ რუსეთში სახელგავარდნილი ყაჩაღი ზელიმხან გუშმაზაკაევი, რომელიც მეფის რუსეთს თავზარს სცემდა თავისი რაზმით. გურიაში კი, შევარდნაძე მამულაიშვილი და სხვები.

პირველი პერიოდის ფირალებს შორის აღსანიშნავია: სისონა და ვასილა დარჩიები, ნ. მეხუზლა, ი. დათუნაიშვილი, კ. ცეცხლაძე, დ. სურგულაძე, ტარ. დათუნაიშვილი, გ. ლომიჯარია, პროკ. ჭყონია, გ. ჭყონია, მამულაიშვილი, მიხ. ლლონტი, სალუქვაძე, ამაღლობელი, ზუსეინ ბაჯელიძე (რომელიც ახლაც ცოცხალია—ბრმა მეჩონგურე. 1937 წელს რესპუბლიკის ოლიმპიადაზე ჯილდო მიიღო).

მეორე პერიოდის ფირალთა შორის—დ. შევარდნაძე, კიკია მამულაიშვილი, სიმონ დოლიძე, ერასტი ჯორბენაძე და სხვები.

ჩამოთვლილ ფირალებს გარდა გურიაში კიდევ სხვა რამდენიმე ფირალი მოქმედებდა, მაგრამ სამწუხაროდ ჯერჯერობით მათ შესახებ მასალები ან ცოტა, ან თითქმის სრულრად არ მოიპოება.

---

გურული ფიკალეზი და მათი თავგადასავალი

## ფირალი კოწია ცეცხლაძე

კოწია ცეცხლაძე გადმოცემის მიხედვით, ჩვენს მიერ აღნიშნულ ფირალებს შორის ყველაზე უძველესი ფირალია. ის იყო ოზურგეთის მაზრის, სოფ. გოგიეთის მცხოვრები გლეხი. გადმოცემით იგი:— „ნახევარჯერ ტყეში მუშავობდა ხეზე.... ცოლშვილს მუშავობით არჩენდა ფირალობის დროსაც“. განსაკუთრებული ღონის და მოხერხების ვაჟაკი ყოფილა. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავი ფირალის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მაშინდელ პრესაში არ აღმოჩნდა. ჩვენ რამდენიმე მოგონება ჩავიწერეთ მის შესახებ. ამ მოგონებათა თანახმად, ის რამდენიმე წლის ფირალად ყოფნის შემდეგ, შერიგებია მეფის მთავრობას და ოჯახში დაუწყია მუშაობა.

ცეცხლაძის შესახებ ლექსი არ შენახულა. რომ მომკვდარა, ყოფილა დაახლოებით 70 წლის. მისი ფირალად გასვლა 80-ან წლებს უკავშირდება.

## ფირალი პროკოპი ჭყონია

პროკოპი ჭყონიას შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ გავაჩნია. ვიცით მხოლოდ, რომ ის მოუკლავთ 1886 წ. 13 მარტს. ამ ცნობას გვაწვდის ვაზ. „კავკაზი“, იგი წერდა: „13-го марта убит... известный разбойник Прокофий Чкониия“ („Кавказ“ 19-го марта 1886 г. № 74).


მის შესახებ ხალხური ლექსი გამოაქვეყნა ამხ. აღ. ლლონტმა (იხ. მისი „გურული ფოლკლორი“). ამ ლექსის მიხედვით ის მოუკლავს ილაკრე დუმბაძეს, რომელიც ცნობილი იყო გურიაში, როგორც უსასტიკესი ჟანდარმი.

## ფირალი გოგია ლომჯარია

„გურიილამ ტელეგრამა მოგვივიდა, რომ გუმინწინ, შაბათს ერთს აქაურს ავაზაკს ქ. ოზურგეთში მოუკლავს თოფით ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ანტონ ნაკაშიძე“-ო. წერდა ვაზ. „დროება“ (1881 წ. 24 ნოემბ. № 245).

„დროების“ შემდეგი ნომერი კი აღნიშნავდა: „თ. ანტონ ნაკაშიძე მოჰკლეს 19 ნოემბერს, სალამოს მეექვსე საათზე, თავის სახლიდან ორას საყენის სიშორეზე, იმ დროს, როდესაც ის ქუთაისში მიემგზავრებოდა.... მკვლელი დღესაც გაქცეულია. ის არის სოფ. შემოქმედის მცხოვრები გლეხი ლომჯარია... ეს მეოთხე დღეა, რაც ქუთაისის ლუბერნატორიც ჩამოვიდა და აქ არის“-ო. („დრ.“ 1881 წ. დეკ. 2, № 252). ლომჯარიას შესახებ ჩვენს ხელთ არის მრავალი გადმოცემა-მოგონებანი, რომელნიც სრული სახით წარმოგვიდგენენ მის, როგორც სოციალურ, ისე მორალურ პროფილს. ლომჯარია ეკუთვნის 80-90-ანი წლების ფირალთა პირველ თაობას. იგი ნაკაშიძის ყმა-გლეხი იყო. ფირალად გავარდნისთანავე მის შესახებ მთელი მაშინდელი პრესა ალაპარაკდა. ვხვდებით ცნობებს „დროებაში“, „ივერიაში“, „კავკაზში“ და სხვ. გოგია ლომჯარიას ცხოვრების გასაცნობად და მის მიერ ჩადენილი მკვლელობის სამზადისის შესახებ, მოვეუსმინოთ მის შვილს—მიხაკო ლომჯარიას: „მამაჩემი—გადმოგვცემს ის—იყო ხელობით უსტა. სეზონობის დროს ჩალანდრობდა შეკვეთილის გზაზე... ნაბახჩეარში ყანაც ქონდა. ამ დროში ერთ აქაურ უმუშევარ აზნაურიშვილს მუუპარავს ხარი და მამაჩემიზა უთქვამს, აი ხარი ამა და ამ პოდრაჩიკთან მიმიყვანეო... მამაჩემს ველარ გუუწპილებია. აგი გეიგო მთავრობამ და მამაჩემი დეიჭირეს და ჩააგდეს ნიობახში... თავდებობაში გამუუყვანიენ მამაჩემი იმ პირობით, რომე სუდი მაინც უნდა ყოფილიყო ამ საქმეზე. მამაჩემს დუუწყია სახში მუშავობა ისთეველ... ჩვენ ნაკაშიძეების ყმები ვიყავით... ანტონ ნაკაშიძე მაზრის უფროსის მოადგილე იყო. სუდი უნდა დანიშნულიყო ამ ხარის თავობაზე და მამამ შეეხვეწა ანტონს: ბუღუა, არ ვარ მტყუანი და მომეხმარეო.





„შენი მოხმარება მე ვიცი, ხვალ გუბერნატორთან მივალ და ასთე გიზამო... მამაჩემი ყოველნაირათ შეწუხთა: სუდში უნდა ეგო ტყუილათ, ნაკაშიძე ქე ვადიემტერა. იმ ხანეთში ერთი შვილი ხავდა და იგიც ქე მუჟუტა მურებლობით და იფიქრა ჩემი ცხოვრება აღარაა, წავალ ფირალათო... მამამ კილო იფიქრა შივე-ხვეწები ანტონ ნაკაშიძეს და ეგება დამეხმაროსო, მარა ნაკაშიძემ რაც გითხარი იგივე უპასუხა. მასთე თუა მაიო, იფიქრა გამწარებულმა მამაჩემმა და იმ დღეს წევიდა ბაზარში და იყიდა თოფის ტყვია-წამალი. ყაფაღლა თოფი ქე ქონდა... ვადუჟუჯდა ანტონ ნაკაშიძეს ვაკირულ ბოგას იქით, როცხა ანტონ ტროიკით გუბერნატორთან მივიდოდა ქუთაისში... ესროლა ყაფაღლა და მოკლა. ხო, ქე დამავიწყტა: ანტონს ხავდა ძმაი მელიტონ... მას ნაჩანიკის მოადგილობა უნდაოდა და უთხრა გიორგის ჩუმათაჲ: მეიცილე მაი ძაღლი, ხომ ხედავ, რას გიშობაეო. ამანაც ვაბებდვია მამაჩემს ნაკაშიძის სიკვტილი“-ო. აქ წარმოდგენილ ცნობებს ადასტურებენ სხვა ვადმომცემელნიც (ფელიპე ხინტიბიძე, კოწია ცისკარაძე და სხვები). ეს ვადმოცემანი მაშინდელი ვაზეთების ცნობებიდანაც მტკიცდება. მაგ. „დროების“ ერთ ნომერში ვკითხულობთ: „მოკლული ნაკაშიძის თაობაზედ კიდევ ახალი პირი, ნათესავი მოკლულისა, დაიჭირეს, რადგანაც მკვლელმა ვანაცხადა, რომ იმისი მოსყიდული ვიყავიო“ (1882 წ. № 191). ეს „ნათესავი მოკლულისა“ უნდა იყოს ანტონ ნაკაშიძის ძმა, მელიტონი, რომლის შესახებ მ. ლომჯარია ვადმოგვცემდა. ცხადია, ხარის ქურდობის შეწამებას იქით, უფრო ღრმა სოციალური მიზეზები იმაღებოდნენ, რომელთაც ვარდა პირადი შეურაცყოფისა (ცილის შეწამების სახით), კიდევ ემატებოდა სხვა წვრილმანი მიზეზები... „საქმის მსვლელობიდან ნათლად არ ჩანდნენ აქომამდის ის პატივცემული პირები, რომელთაც იკისრეს საზიზლარი საქმე და აიძულეს ლომჯარია... ამგვარ წრეს ვარდასულ ხელობაზედ, და არც ის მოტივები, რომლითაც იხელმძღვანელა ლომჯარიამ ამგვარ საქმეში... უბრალო მიზეზის ვამო, ესე იგი ხარის ქურდობის შეწამების ვამო, ტყეთ ვავარდნა შეუძლებელია“ („დრ.“ 1882 წ. № 75). მკვლელობის მიზეზი ბიუროკრატიული რუსეთის მართველობაში, ცხოვრების მოუწესრიგებლობაში და იმ უღელის სიმძიმეში უნდა ვეძიოთ, რომელიც საწყალ გლეხკაცს ცხოვრებაზე ვულს უცრუებდა. ცილის შეწამება კი, ამ მიზეზის ვარეგანი ვამოხატულებების ერთ-ერთი ფორმათაგანი იყო.



გ. ლომჯარიას გადმომცემელნი ახასიათებენ უაღრეს პატიოსანად. ადამიანად. ერთი მათგანი გვიამბობს: „საცოდავი კაცი იყო გოგოე. ქურდობა დაედვა ტყუილა და ტანჯავდენ. უენო კაცი იყო. მაგი თუ ფირალობას იზამდა ვინ იცოდა“-ო. გოგოე „სოფელს არათერზე არ აწუხებდა და ამ სოფელში გლახა კაცი სხვაიც ვერ ჩამევიდოდა, ცავდა სოფელს“-ო. (გადმოგვცემენ სოფ. წითელმთის მცხოვრებნი ფილიპე ხინთიბიძე და კოწია ცისკარაძე). ამ შეფასებას კიდევ უფრო ასაბუთებს ოფიციალური პრესის ცნობა—გაზ. „დროება“ წერდა: „ლომჯარია, მკვლელი თ. ანტონ ნაკაშიძისა, არის ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ბევრი იმედები ქონებია ცხოვრებაში. იმას ჰყავს ცოლშვილი, მოხუცებული დედა. უმეტესი ნაწილი თავის ცხოვრებისა გაუტარებია გარეთ ვაჭრობაში, ქალაქებში, მაშასადამე მას არ უნდა ჰქონოდა ის მოდრეკილობა... იმ სოფელს ახალგაზრდებს შორის, რომელნიც ჯერ კიდევ არ შესულან ოჯახობის წრეში და რომელთაც ოცნება არის რომელიმე ვაჭკაცური საქმე, გმირული მოქმედება. ვამბობ, ლომჯარია იმ წრეს არ ეკუთვნოდა, ის იყო ერთობ წინდახედული ახალგაზრდა სოფლის გლეხი. ამ გვარი კაცის ისე გატაცება, რომ მან დასტოვოს ცოლშვილი, ოჯახი, ვაჭრობა და კეთილი განწყობილება მეზობლებისა... შეუძლებელია „უბრალო მიზეზის გამო“ („დროება“ 1882 წ. № 75).

თავი რომ დაეანებოთ მის თანამედროვეთა გადმოცემებს, მაშინდელი ცენზურით შეზღუდული პრესაც კი ლაპარაკობს ლომჯარიაზე, როგორც პატიოსან და მშრომელ ადამიანზე.

ჩვენ ვხედავთ 20-21 წლის ახალგაზრდას, რომელსაც ჯერ კიდევ მებატონის უღელი ამძიმებს; რომელიც ლუკმა-პურის შოვნის მიზნით რამდენიმე ხელობას გამოიცვლის, მაგრამ ყველგან დამარცხებული რჩება. მიუხედავად ამისა, რომ სირცხვილი არ ჰქამოს, ცოლშვილი და მოხუცი დედა გამოკვებოს, დღესა და ღამეს ასწორებს. სამუშაოდან სახლში მოსულს მტირალი ცოლშვილი ხედება—საჭმელსასმელი აკლიათ, ტანზე არა აქვთ, ლუკმა-პურს თხოულობენ. საწყალი გლეხი ამათ ზრუნვაშია და ამ დროს ხედავს, რომ დაკანონებული ქურდობის ორგანიზატორები კიდევ ახალ უღელს ადებენ კისერზე: ქურდობას აბრალებენ და თავს საქვეყნოდ სჭრიან. სად უნდა ეძია სამართალი საწყალ გლეხს, რომელსაც შესწევდა უნარი, ჰქონდა სიცოცხლის ხალისი, მაგრამ მოკლებული იყო თავდაცვის ყოველგვარ საშუალებას? სად უნდა ეძია სამართალი, მას: მღვდლების, ბერების, ბლალოჩინების, თავად-აზნაურობის, მემამულეებისა და ჩინოვნიკ-მოხელეების ხელში? ი. ჭავჭავაძის „ივერია“ ერთ მო-

წინავე წერილში წერდა: ჩვენს დროში „არის ხოლმე ისეთი გარემოება, რომლის გამო არც სახელმწიფო მართლმსაჯულებაში ხერხებელია ლაპარაკის აღძვრა და არც სამედიატორო წესით... მაშინ ღონე აღარა რჩება პატიოსანს კაცს და უნდა მიანდოს თავისი სიცოცხლე ხმალსა და დამბახასა“-ო. და მართლაც სამართალი დამბახამ გადაჭრა. ქუთაისის გუბერნატორთან მიმავალ ბატონს ნაკაშიძეს გლეხი ლომჯარია დახვდა, მისამართი შეუცვალა და „საიქიოს“ გაამგზავრა.

ლომჯარიას ფირალბა 1882—86 წ. ისახლვრება. გაქცევისთანავე ის უერთდება გურიაში სახელგანთქმულ ფირალს, დათულია სურგულაძეს... „ლომჯარიამ, ამ საქმის მოხდენისთანავე გასწია და შეუერთდა განთქმულ ავაზაკს, დიდი ხნიდგან ტყეთ-გავარდნილს, დათულია სურგულაძეს“-ო. („დროება“ 1882 წ. № 66).

1882 წლის 18 მარტს, როცა ის გადმოდიოდა, დათულია სურგულაძესთან ერთად, ერთი გლეხის ოჯახიდან, თავს დაესხა შტაბსკაპიტანი, ივანე ღუმბაძე მილიციონრებით. ამ თავდასხმის შესახებ გადმოცემა ამბობს, რომ: ლომჯარია და სურგულაძე მივიდნენ წითელმთაში ერთ მოსახლისას და მასპინძელი გააგზავნეს ბათომში ჩაქურების სასყიდლად, რომლის საშუალებით ი. ღუმბაძემ გაიგო, რომ ფირალები თვით ამ გლეხისას იყო და წამოვიდა ჯარით. შეტაკების დროს დათულიამ და ღუმბაძემ ერთ და იმავე დროს ესროლეს ერთი მეორეს. ისე, რომ ორივე წაიქცა. დათულიე მოკვდა, ხოლო ღუმბაძე დაიჭრაო. გ. ლომჯარიას თოფი გაფუჭებულია სროლაში, წასულა ვიღაც მეზობლისას, გაუკეთებია გაფუჭებული თოფი და დაბრუნებულია იმ დროს, როცა დაჭრილი ღუმბაძე მიჰყავდათ. ღუმბაძესთან ყოფილა მოლაღატე ს. ვ.—ძეც. ლომჯარიას უსვრია და ვ—ძე დაუჭრია.

ამის შესახებ ოფიციალური ცნობაც არსებობს, „დრ.“ წერდა: „...18-ს ამ მარტს, ღამით, საიდუმლოდ მომავალს გზაზედ სოფელ შემოქმედში... შეხვედრია ივანე ღუმბაძეს—დათულია სურგულაძე და ლომჯარია.

ღუმბაძეს ხლებია თან სამი მილიციონერი, როდესაც ივანე ღუმბაძემ შესძახა ავაზაკებს, დათულიამ იმავე წამს ესროლა თოფი. იმავე წამს მოისმა თურმე მეორე თოფის ხმაც ღუმბაძისა და ერთი ერთის მხრით წაიქცა და მეორე მეორეს მხრით...

საკვირველი ღონის და სიმარჯვის მქონმა გველივით გაათრია დაკოდილი მუცელი და მოაჯდა ერთს მახლობლად მდგომს ხეს და

იქიდან იმან და მის ამხანაგმა ლომჯარიამ აუტეხეს ღუმბაძეს და მის მსლებელთ საშინელი თოფის სროლა. შვიდი ტყვია მოარტყეს სურგულაძეს, მაგრამ სანამ სრულებით სული არ დალია, მანამ არავის დანებდა... ღუმბაძისგან ნასროლის ტყვიით დაჭრა აგრეთვე ავაზაკი ლომჯარიაც, მაგრამ თვითონ იქ მისულმა ხალხმა... გადამალეს დაჭრილი ლომჯარია...“ („დრ.“ 1882 წ. № 66).

გაზ. „კავკაზი“ ამ აქტს რამდენჯერმე შეეხო. გაზ. ერთ ნომერში წერდა: „...18-го марта в Озургетском уезде секретно появился командир 3-й сотни Гурийской дружины, штабс-капитан Думбадзе, командированный сюда по распоряжению Батумского губернатора из города Батума, с тремя милиционерами. Встретившись с неустрашимыми разбойниками Ломиджария и Сургуладзе. ... в 9 часов ночи Думбадзе завязал с ними рукопашную схватку, причем Сургуладзе убит на месте, а другой, раненный Ломиджария, доставлен Кутаисскому губернатору. Во время этой схватки, к сожалению, смелый штабс-капитан Думбадзе сам тяжело ранен и контужен“ („Кавказ“ 1882 г. 12-го апреля № 95).

„კავკაზი“ ცდება, როცა წერს, ღუმბაძემ დაჭრილი ლომჯარია ხელით შეიპყრო და ქუთაისის გუბერნატორს გადასცაო. ლომჯარია არავის შეუპყრია, თვით მშობელმა ხალხმა უპატრონა, გადამალა და ქრილობა მოურჩინა.

ამაზე ქვემოდ, მხოლოდ ახლა გავეცნოთ „კავკაზის“ სხვა ცნობას, ამავე თავდასხმის შესახებ. გაზეთი ჯერ ლაპარაკობს ივანე ღუმბაძის მამის, ანტონ ღუმბაძისა და ლომჯარია-სურგულაძის მტრობაზე: თითქოს, ლომჯარიას ანტონ ღუმბაძისაგან მოეთხოვოს 500 მან. და თუ ფულს არ მისცემდნენ, ემუქრებოდა სიკვდილით. თითქოს სურგულაძეც ასე მოქცეულა, და დაჰპირებია ივანე ღუმბაძის ცოლს მხევლად წყაყანას. შემდეგ გაზეთი განაგრძობს: „Капитан Думбадзе встречается в Чурук-су с соседом своим, крестьянином из Шемокмедского общества... Гогия Читай-швили, которого разными обещаниями довел до сознания, что он ходил в Батум по поручению разбойников для покупки им платья, и что эти разбойники должны притти к нему за платьем дня через два по возвращении его, Читай-швили“.

ი. ღუმბაძეს ორხელ უყარაულებია ფირალებისათვის, მაგრამ ამოოდ. ხოლო მესამედ, 18 მარტს სურგულაძე მოუკლავენ, ღუმბაძე დაჭრილა, ლომჯარია კი, გაქცეულა—„Думбадзе получив

весьма тяжелую рану от убежавшего Ломиджария, которому  
этот раз удалось скрываться“... საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

გაზ. „დროება“ გამოეკამათა „კავკაზ“-ს და ამტკიცებდა, რომ მართალი არ არის, თითქოს ღუმბაძისაგან ფირალებს 500 მან. ეთხოვოსო.

ღუმბაძისა და სურგულაძის ურთიერთშორის მტრობის შესახებ ქ. მახარაძის, სოფ. დვავზუს მცხოვრებმა გლეხმა იპოლიტე გუჯაბიძემ გადმოგვცა: ივანე ღუმბაძეს მოტაცებით წაუყვანია გურიაში ცნობილი თავადის ესე გურიელის ქალიშვილი. თავად გურიელს უსირცხვილებია აზნაურ ღუმბაძის სიძეობა და ფირალ სურგულაძისათვის დაუვალებია ივანე ღუმბაძის მოკვლა. ეს გაუგია ი. ღუმბაძეს და სურგულაძეს გადამტერებია. მიუხედავად ამისა, სურგულაძეს არ მოუკლავს ღუმბაძე. „დათულიე ძალიანი პატიოსანი იყო, უდანაშაულო კაცს არ აწუხებდა, ფირალი დათულიასანა უნდა იყოს ყველაყავო, ჩივოდენ ხალხი“.

ჩანს, არ შეუსრულებია გურიელის თხოვნა სურგულაძეს და მით უმეტეს, იგი არ დაიწყებდა ტრაბახით ღუმბაძის დაშინებას, რადგან მას ყოველთვის შეეძლო ღუმბაძის მოკვლა, თუ მოისურვებდა. ღუმბაძის მოკვლას მთელი ხალხის აწიოკება მოჰყვებოდა, ეს იცოდა სურგულაძემ და ალბათ ამიტომ ერიდებოდა სისხლის ღვრას. მით უფრო დაუჯერებელია ლომჯარიას მიერ 500 მან. მოთხოვნა ღუმბაძისაგან. ლომჯარიას შესახებ ჩვენ ასეთი საქციელის საწინააღმდეგო საბუთები გვაქვს. ამიტომ მართალი იყო „დროება“, როცა „კავკაზს“ შენიშვნას აძლევდა.

„კავკაზის“ სხვადასხვა ნომრები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებინა ლომჯარიას შეპყრობის საკითხშიც. თუ „კავკაზის“ № 95-ს აზრით ლომჯარია გაიქცა, ამავე გაზეთის № 101 ცნობით, ლომჯარია არ გაქცეულა, და ის ღუმბაძემ დაჭერილი მიუყვანა ქუთაისის გუბერნატორს.

„კავკაზის“ № 101 განავრძობს: „После убийства разбойника Сургуладзе, 20 марта прибыл в Шемокмеды помощник Озургетского уездного начальника г. Юнаша с двумя ротами Черноморского полка, и осмотревши все мало-мальски подозрительные места, где мог скрываться Ломиджария, расположился бивуаком, потребовав от жителей немедленной выдачи Ломиджария, скрывавшегося у них. Жители дали обещание в 5-ти дневный срок исполнить требование г. Юноши.“

Узнав об этом, дворяне, братья Ч<sup>1</sup>, на поручительство которых с ответственностью в 2 т. руб. находился Ломиджария, уговорили его не являться к местной администрации, а вместе с одним из поручителей отправиться в Кутаис, где и явиться к губернатору, под тем предлогом, будто поручители сами доставили его, Ломиджария, на что последний и согласился. Действительно, вечером 26 марта, вынужденный экзекуцией и населением, Ломиджария явился к Кутаисскому губернатору, по телеграмме которого и были выведены войска из селения Шемокмеды“ („Кавказ“ 1882 г. № 101 18 апреля).

გაზეთ „დროების“ აზრით არ არის სწორი, თითქოს ჩხატარაშვილებს ჩაეყვანოთ ლომჯარია პირდაპირ ქუთაისში. (იხ. „დროება“ 1882 წ. № 90).

თუ პირველ შემთხვევაში სწორი იყო „დროება“, როცა „კავკაზს“ ეკამათებოდა, ახლა თითონ უღალატა სიმართლეს და თეთრი შავად მოგვაჩვენა. ჩვენთვის მზესავით ნათელია, რომ ლომჯარიას თავის ნებით გამოცხადება მთავრობაში სწორედ იმ პირობებში მოხდა, როგორც ამას გაზ. „Кавказ“-იც აღნიშნავს. ამის შესახებ ჩვენს ხელთ არის მრავალი მოგონება-გადმოცემანი. საილუსტრაციოდ მივმართოდ ერთს მათგანს.

ლომჯარიას დამალვის შემდეგ, მთავრობა სასტიკ რეპრესიებზე გადავიდა—სოფ. წითელმთაში ეგზეკუცია ჩამოაყენა. მიხაკო ლომჯარიას გადმოცემის თანახმად: „თავრობამ... ეგზეკუცია ჩამოაყენა ჩვენ სოფელში... ჯარი მუხიკით ამოსულა წითელმთაში. ხალხიზა მუუთხოვნიან ფირალი ლომჯარია... ხალხს გუუნადგურდა ზროხა, ხარი, ქათამი და ყოლიფერი, მარა რა ექნა. ძალიანი რომ შეწუხთა ხალხი, მაშინ ჩამოდგენ ჩხატარაშვილები და წეიყვანეს მამა ქუთაისში გუბერნატორთან შესარიგებლათ. ევიდენ თუ არა გუბერნატორთან, გუბერნატორს ტელეგრამა გამუუგზანია ვოზურგეთში წითელმთაში მოხსენით ეგზეკუცია, ლომჯარია ჩვენ ხელშიავო. იმავე დღეს მუუხსნიან ჯარი“-ო.

ამ გადმოცემითაც მტკიცდება „კავკაზის“ № 95-ში მოთავსებულ ცნობის სიყალბე, თითქოს ლომჯარია დუმბაძეს დაეპიროს. მეორე მხრით კი, ეს გადმოცემა აბათილებს „დროების“ უსაბუთო ეჭვს, თითქოს ლომჯარია ჩხატარაშვილებს არ ჩაეყვანოთ შესარიგებლად ქუთაისში. ამ მხრივ „კავკაზი“ (№ 101) სავსებით სწორია, როცა აღნიშ-

<sup>1</sup> „ჩ“-ს ქვეშ იგულისხმება ჩხატარაშვილები, ა. ხ.


ნავს: ლომჯარია ჩხატარაშვილებმა შეარიგესო. ეგზეკუციამ უდიდესი ზარალი მიაყენა სოფ. წითელმთას. გაზ. „დროება“ აღშფოთებული წერდა: „ლომჯარიას დასაქერად, გურიის მაზრის უფროსის განკარგულებით, სოფ. შემოქმედში სამი სოტნა რუსის ყაზახები ჩაუყენებიათ... მთელს შემოქმედის სოფელს რა ბრალი აქვს, რადუნდა ჰლუპავდეს იმას სამი სოტნა ყაზახები, როდესაც ეს ლომჯარია ვილაც ერთ კაცთან იქნება დამალული და ისიც ამ სოფელში კი არა, სხვაგან სადმე“-ო. („დრ.“ 1882 წ. 3 აპრილი № 66). მაგრამ ხალხი გადარჩა სავსებით აწიოკებას, ლომჯარია, მიზეზი ეგზეკუციისა, თავის ნებით გამოცხადდა სამსჯავროს წინაშე. ამით მან უზრუნველყო მშრომელი ხალხის დროებითი დაწყნარება, ააცდინა რა ოკუპანტებს, რომლებმაც „სრულებით გააწყალეს სოფელი, საცა კარგი ძროხა, ხბო, ინდაური და თუ სხვა მოეწონებოდათ, დაავლებდნენ ხელს, დაჰკლავდნენ და მიირთმევდნენ. ქვევრები სულ დაამტკრიეს და ისე დალიეს ღვინო“. („დრ.“ 1882 წ. № 77).

ლომჯარიას ციხეში ორწელიწადნახევარი დაუყვია. მისთვის მიუსჯიათ: „К каторжным работам, но благодаря каким-то случаям, ему удалось бежать из тюрьмы“ („Кавк.“ 1886 г. № 81).

ის ქუთაისის პოლიციას 1882 წ. აპრილის პირველ რიცხვებში შეურიგდა, ხოლო ციხიდან გაქცეულა 1884 წ. მიწურულში. ამის შემდეგ იგი ერთხანს გურიაში იმალებოდა, მაგრამ პოლიციამ საშინელ რეპრესიებს მიმართა ხალხის წინააღმდეგ, რის შედეგად, ლომჯარია ტოვებს გურიას და აჭარაში გადადის. ამის შესახებ მისი შვილი გადმოგვცემს:

„გომში იყო ერთი შპიონი, მამასთან დაახლოვებული იყო ძველათ და ივანე ღუმბაძემ უთუკვეთა: გოგიე მაშონიევო... გიშონიო, დაპირებია. შეხთა მამას იგი და უთხრა: შენი მოცთა აქანაჲ არ ვარგა, მე ვაგათათრეფ, მეინათლები თათრულათ და ქე იქნები, არიკაცი არ დაგიწყებს დევნასო. მამამ იფიქრა..... როვა მიღალატებსო და დაეთანხმა. წეიყვანა იმ შპიონმა ხინოში და მიიყვანა ტაკიძის ვოჯახში და აშვილა“-ო. ის ხინოში გასული უნდა იყოს 1885 წ. დეკემბერში. ამის შესახებ „კავკაზი“ წერდა: „Остается еще один — Гогия Ломиджария, скрывающийся, как говорят в Аджарском участке. С поймкой его, надо полагать водворится полное спокойствие в уезде“ („Кавк.“ 1886 г. 19-го марта № 74).

აჭარაში გასვლის შემდეგ, ლომჯარია ეწეოდა სოფლის მეურნეობას და იყო გულდამშვიდებით. გაიგო თუ არა ღუმბაძემ მისი



ხინოში ყოფნა, ღამით გაგზავნა რვა კაცი მის შესაპყრობად. მისი შვილი გადმოგვცემს: „მამაჩემს ეძინა, რომ მოსულა რვაი მუუნდომებიან ბაწრით შეკვრა. მამას ყაფაღლა (თოფია, ა. ხ.) კედელზე ქონებია დაკიდული, უფლია აი რვაი კაცი და თოფი გუუსრია, მარა ვინცხას ხელი თოფში უკრავს, მერე მიხმარებიენ ვინცხეები და მამა გუუკოქავენ ბაწრით... წუუყვანიან, მარა ხელი გუუხსნია გზაში, ვინცხაზა ამუურთმოვია სატევარი და ერთიზა კლავი მუუქრია. თათრებს უთქვამს: ამას ასთე ვერ ჩევიყვანთ ქობლეთში, ჩასლამდი დაგვხოცავსო და ქე მუუკლავენ გზაში ხინოში... იქინეა დგანებულა... დადიანოღლები. რომ გეიგო ღუმბაძემ ლომჯარია მუუკლავენო, წამუუყვანია რაზმი ხინოში, უუყუდებია ხეზე აი მკტარი კაცი და უსრია თოფი. მერე მიმბტარა დადიანოღლებისას და ღუუძახია: რომ იძახოდით ფირალი არ გეყავსო, აი რაა, თქვენ ეძოში მე მოვკალი ფირალი, ყველას გადაგასახლებთ“-ო. ამ ცნობას ასაბუთებს ფილიპე ხინთიბიძის მოგონებაც.

ღუმბაძემ მოახერხა დროებით მაინც დაეფარა სიმართლე და ჩინ-ორდენის მოლოდინში ლომჯარია თავის მოკლულად გამოაცხადა. მკვლელობა მომხდარა 21 მარტს. 27 მარტს გაზ. „Кавказ“-ი წერდა: „..Скрывавшийся в деревне Хано (უნდა იყოს ხინო ა. ხ.), Кинтришского участка, беглец Гогия Ломиджария, 21-го марта, в 3 часа по-полудни, убит... Надо надеяться, что с убийством последнего разбойника в уезде водворится полное спокойствие“.

(აგივე ცნობა გადათარგმნილი იყო გაზ. „ივერიაში“ ამავე წლის № 69). დადიანოღლები „დაქადნებია ღუმბაძეს: შენ თუ მოკალი ფირალი ნახავ. ჯერ მაი ფირალი არ იყო ჩვენში და მერე რაფერ მოკალი ამასაც განახვებ ბათომშიო. წასულარიან ბათომში გუბერნატორთან და გუუსაჩივრებიან: მკტარ ლომჯარიას ესროლა ღუმბაძემ თოფიო. დანიშნეს ექსპერტი და გუბერნატორს ღუუმტკიცებია: ლომჯარია ორი დღიდან ადრე მკტარი ყოფილაო... და ღუმბაძე პასუხისგებაში მისცეს, დეიჭირეს და ასახლებდენ. ივანე შეხვეწებია დადიანოღლებს: ფულათ გაქცევთ ყველას და გადამარჩინეთო... მერე ივანე ღუმბაძე კიევიში გაგზავნეს და აქეთ უუკრძაღლეს სამსახური... ჯ-ს ყბაი მიენგრა და ყველა ხალხი ჩივოდა: „გოგია ლომჯარიის ღალატმა უქნაო“ (მ. ლომჯარიას და ნ. ხუციშვილის მოგონება). ამ ცნობის სისწორეს ასაბუთებს გაზ. „ივერიდიან“ ამონაწერი... „უყურადღებოთ ვერ დავსტოვებთ ერთ გარემოებას, რომელზედაც დღეს არამც თუ ბათუმელები, მთელი გურია ლაპარაკობს. ეს გარემოება გამოჩენილის ყაჩაღის ლომჯარიას მოკვლამ გამოიწვია... ამ საქმეზე ფი-



ცხელი გამოძიება სწარმოებს. ადმინისტრაციამ რიგისამებრ საქმე გარდასცა ბათუმის ადგილობრივს გამომძიებელს ბატონს მიქელაძეს. გულით და სულით ვინატრებთ, რომ ეს საქმე ტყუილი გამომდგარიყოს, რომ გამომძიებელის იქით აღარ წასულიყოს, რითაც ბოდიში მოეხდებათ საზოგადოების და მთავრობის წინაშე იმ საპატიო პირთ, რომელთაც ეს ბარბაროსობა ჰბრალდებათ“-ო. („ივ.“ 1886 წ. მაისის 1, № 94).

ამ საქმის მსვლელობის შესახებ, გარდა აღნიშნული ცნობისა, არაფერი მოიპოვება. ამიტომ სწორად მიგვაჩნია ფილიპე ხინთიბიძის გადმოცემა, რომ „დუმბაძე იმდენს კი მუახერხებდა, რომ თავს ციმბირში არ გააგზავნიებდა“-ო. ჩანს რომ დუმბაძეს ქრთამით თუ სხვაგვარი გავლენით შეუჩერებია საქმის მსვლელობა.


მიუხედავად ამისა ი. დუმბაძეს ამის შემდეგ ჩვენ გურიაში ვერ ვხვდებით.

გ. ლომჯარიას დაბადების თარიღი დაახლოვებით შეგვიძლია აღვადგინოთ. მისი შვილის, მიხაკო ლომჯარიას გადმოცემით იგი „ფირალათ რომ გასულა, ვოცი წლის იყო... მე, იგი რომ მუუკლავენ, სამი წლის ვყოფილვარ, ახლა ვორმოზდაცამეტი წლის ვარ“-ო.

ფირალობაში გ. ლომჯარიამ ექვსი წელი გაატარა (1881-1886 წ.) ამ ანგარიშით ის დაბადებული უნდა იყოს 1860 წელს.

ფიზიკურად ყოფილა საშუალო ტანის და სქელი. იარაღად ატარებდა „ყათაღლა თოფს, ფიშტოს და ყამას“. დაუსაფლავებიათ ხინოში მას ჰყავდა ერთი ძმა ლაზარე. მის ცოლს გაიანე ერქვა.

გიორგი ლომჯარიას შესახებ ხალხური ლექსები არ დარჩენილა.



## ფიჩალი დათულია სურგულაძე


80—90-ანი წლების გურულ ფირალთა შორის დათულია სურგულაძე ერთ-ერთი უძველესი ფირალია. დაიბადა ოზ. მაზრაში სოფ. მაკვანეთში. სულ მალე გაუვარდა სახელი. მთელ მოსახლეობაში სარგებლობდა განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით. 96 წლის მოხუცი, ნიტიფო ხუციშვილი გადმოგვცემს: „დათულიე ხალხს აფერს არ უშავებდა და ამიზა ხალხის ღალატის არ ეშინოდა. ერჯელ მის მეზობლისას რაცხა შემთხოვა იყო, ხალხი ქუხნაში იყო და რაცხეებს ლაპარაკობდენ. დათულიეც გარეულიყო ხალხში და ლაპარაკობდა. თოფი ეგერ კუთხეში მიეყუდებია და დამქდარიყო ცეხლის პირში. ხალხი ისთე იყო მასთან, რომ რუმარ უღალატებდა იცოდა, თვარა ფირალი ისთე როვა ენდობოდა. დათულიას დაჭირვაზე მაშენ თავრობას ფული ქონდა გადადობილი. ერთი ნიგუხალი, რომ ერეხეებია ვინმეს თავში მეტი არ უნდოდა, მარა ამისანა გლახა საქმე რომ გეფიქრა, კაცი არ მოგეხმარებოდა, დათულიასკენ იყო ყველა და ცოცხალს როვა გაგიშობდენ... ნამეტარი ღარიბი იყო. ერთი პაწა სახლი ქონდა მაამის, ვოძდაათი წლის იქნებოდა რუმ მოკლეს“-ო. სურგულაძე მოჰკლა 1882 წ. 18 მარტს წითელმთაში შტაბს-კაპიტ ნმა ი. დუმბაძემ. მას იხსენიებენ გ. ლომჯარიასთან ერთად „კავკაზში“, „დროებაში“, „ივერიაში“ და სხვ. „დროება“ წერდა: „ამ ორი წლის წინად ახლადმოკლულ ავაზაკის სურგულაძის დასაქერად სოფ. ლიხაურში ერთს წელიწადზე მეტი იყო ერთი სოტნა ყაზახები ეგზეკუციად ჩაყენებული, მაგრამ ვერა გაარიგეს რა, ესენი, რომ აქ იყვნენ და სოფელს სჭამდნენ, სურგულაძე სულ სხვა სოფელში იყო და ერთს თავადთან იმალებოდა გულდამშვიდებით. შემდეგ ოზურგეთშიც ჩამობრძანდაო და კაცმა ხელი ვერ მოჰკიდაო... ყველგან მზათ ჰქონდათ დათულია სურგულაძეს და მის ამქრებს ღამის გასათევი სახლი, საქმელი და ყოველივე, რაც დასჭირდებოდათ... ყველა ოჯახის პატრონი საღამო ჟამს ორი კაცის ულუფას, ანუ კერძს დაამზადებდა და შეინახავდა ხოლმე, რომ იქნება დათულია სურგულაძემ ინებოს გამოვლა და ზაკუსკის

მირთმევა“-ო. („დროება“ 1882 წ. № 66). მის ვაქეკაცობას ხალხი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს: შვიდი ტყვია მოარტყეს და მაინც არ ჩაბარდა ღუმბაძეს, სანამ სული არ განუტევაო. მისადმი სახელი, პატივისცემა და ერთგულება ისე ძლიერი ყოფილა, რომ, როცა მოკლეს, ერთერთ დამსწრეთაგანს დაუსვრია ხელი დათულის სისხლში, სისხლიანი ხელით დაუსველებია სახლის კედელი და უთქვამს: „მოღალატის სახლდე ეს სისხლი დარჩეს მის სამახსოვროთ და შესარცხვენათ“-ო.

მის შესახებ მხოლოდ ერთ პატარა ლექსს წავაწყდით, ჩოხატაურის რაიონში 80 წლის გლებ—ფილიმონ სიხარულიძესთან:

„წითელფთაში მიღალატეს  
სული ამომადრეს წამზე;  
ჩემს თავსა ვიღან ჩივოდა  
თუ გადამირჩა ღუმბაძე“-ო.

მთქმელის გადმოცემით ეს ლექსი უფრო დიდი ყოფილა, მაგრამ დაკარგულა. ამ პატარა ნაწყვეტში ხალხი დასცინის შტაბს-კაპიტან ღუმბაძეს.



## ფირალი გიორგი ჭყონია

გიორგი ჭყონია გ. ლომჯარიას თაობას ეკუთვნის. პირველად ის ქუთაისის ციხიდან 1882 წ. 18 ივლის გაიქცა (იხ. „დროება“ № 149). 1882 წ. 1 დეკ. (იხ. „დროება“ 1882 წ. № 257) ჭყონია დაიჭირეს, მაგრამ ციხიდან ისევ გაიქცა. 1884 წ. 20 მარტს ის მოკვდა. „დროება“ წერდა: „ბ. ჩი-ძეს და მასთან მყოფს სამს თუ ოთხს დარაჯებს მოუკლავთ გამოჩენილი ავაზაკი გიორგი ჭყონია“-ო. („დროება“ 1884 წ. 29 მარტი, № 70). ეს ამბავი მომხდარა 20 მარტს. ამ ცნობით ჭყონია ბოქაულს ჩიგოგიძეს მოუკლავს, მაგრამ იგივე გაზ. ქვემოდ ათავსებს წერილს, სადაც ირკვევა, რომ ჭყონია თავის დღით მომკვდარა და ჩიგოგიძეს ჯილდოს გულისათვის ის თავის მოკლულად გამოუცხადებია. „დროების“ კორესპოდენტი კ. ჯ. გოგუაძე წერდა: „...ამ მოკლეს ხანში, ჯუმათს ერთის მცხოვრების სახლში წოლილა ძლიერ ავადმყოფი გავარდნილი და განთქმული ავაზაკი გიორგი ჭყონია, რომელიც იქვე მომკვდარიყო. სახლის პატრონმა შეატყობინა ეს ამბავი იმათ, ვისიც ჯერ არს. მოვიდნენ, თუ არა იქ, სადაც ესვენა ჭყონია, მაშინვე უიმისოდაც მკვდარს ორი თოფი ესროლეს, გადაიტანეს გვამი მახლობელ ღელის პირზე, იქ დააგდეს და შეჭქნეს სროლა“... (იხ. „დროების“ იგივე ნომერი).

ამავე გაზეთის მორიგი ნომერი (73) დაწვრილებით ცნობებს იძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ ჭყონია მართლაც თავის დღით მკვდარი იყო.

ამრიგად, გიორგი ჭყონია თავის დღით მომკვდარა, ხოლო ბოქაულ ჩიგოგიძეს ის თავის მოკლულად გამოუცხადებია, მაგრამ სიმართლე გამოაშკარავებულა. გ. ჭყონიას შესახებ ლექსი არ შენახულა.

## ზიკალი ნიკოლოზ მესხულა

„წუხელ, ღამის 9 საათზე, შემდეგი დეპეშა მივიღეთ ოზურგეთი-  
დგან: „დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე, სოფელ უჩხუბში პოლი-  
ციამ მოჰკლა გავარდნილი ყაჩაღები დათუნაიშვილი და მესხულა,  
რომელთაც თავისის მხრით მოჰკლეს ოთხი და დასჭრეს ორი კაცი  
მღევართაგანი“. („ივერია“ 1892 წ. 16 იანვარი, № 10).

ასე წერდა გაზ. „ივერია“ 90-ნი წლების გურულ ფირალთა  
ერთი უძლიერესი წარმომადგენლის—ნიკოლოზ ნიკოსძე მესხულას  
მოკვლის შესახებ.

მესხულა დაიბადა ყოფ. ოზურგეთის მახლობლად, სოფელ გუ-  
რიანთაში, ყმა-გლეხის ოჯახში. ცხოვრების სახსარმოკლებული იძუ-  
ლებული ხდება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელობას მიმართოს:  
იყო ვაჭართან „პრიკაშიკად“, მაგრამ იძულებული გახდა თავი დაე-  
ნებებინა, რადგან ვალების მეტი არაფერი რჩებოდა. მანთაშევის  
ქარხანაშიც მუშაობდა<sup>1</sup>, მაგრამ კაპიტალისტური ქარხნის პირობებს  
ვერ ეგუება და თავს ანებებს. ბოლოს კოტრაბანდისტობასაც ჰკი-  
დებს ხელს, მაგრამ ვერც აქ იპოვნა თავშესაფარი. სოფელში და-  
ბრუნდა და ყანის მუშაობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ თავი მაინც ვერ  
დაირჩინა და ცოლშვილი სიმშვილს ვერ ააცდინა. მესხულას ლექსის  
ერთ ვარიანტში მოცემულია მისი ბიოგრაფიის ნაწყვეტი:

„პირველ შეკვეთილს ვივაჭრე  
იმან არ მომცა ხელია,  
კონტრაპანტობას ვეჩვიე,  
ცოტ-ცოტა გიახელია;  
იმასაც მალე მოვსცილდი  
ცოლშვილს მოვკიდე ხელია;  
ენით არ გამეითქმება,  
თავზე რაც გადამხთენია;

<sup>1</sup> მანთაშევის ქარხანა ბათომში გაიხსნა 1886 წ. ა. ნ.

ყანის თოხნა, რომ დავიწყე,  
ოფლი დამასხა ცხელია.  
ვიმუშავე და ვეცადე,  
ვერ მოვიწვიე საყოფათ“-ო<sup>1</sup>.

ნიკოლოზ მეხუზლას ძმამ, 100 წლის სიკო მეხუზლამ ამის შესახებ გადმომცა: „ჩვენი მამა და ჩვენ ყმები ვიყავით. ნიკოლოზაჲ ბათუმში მანთაშევის ზავოდში იყო მუშათ. მერე თათართან იყო პრიკაშკათ ბათუმში. თათრული ლაპარაკი ძალიანი ისტავლა. იარეზობდა სამზღვარგარეთ და კონტრაპანდი მოქონდა. წევიდა ტრაპიზონში კონტრაპანდიზა. საქონლის გამოტანაზე დეიქირეს. გეიქვა და სახელი შეიცვალა—ნიკოლოზა გუჯაბიძე ვარო... უწინ ყანაში დიდი ნადურობა იცოდენ. ერჯელ ნიკოლოზაჲ დაფაიჯეს ნადზე და უთხრეს: ნიკოლოზაჲ, ჩვენ დევიწყებთ და შენ გუუხმეგო. გუუხმო ნიკოლოზამ... მერე, რუმ ისვენებდენ, ნიკოლოზამ დახედა თოხს და თქვა: ამის ნამუშიერმა რა უნდა მიქნასო, საპონს არ მიყიდისო. იგი, რუმ ჩივიან თოხი გეიქნია და გადააგდოვო, არაა მართალი. თოხი არ გადუუგდია, მარტო აგი თქვა და მერე ყანაში არც ჩასულაო“. მეორე მთქმელი, [70 წლის კოწია ცისკარიძე გვიამბობს: ჩევიდა ყანაში, შეხედა მის თოხს, დაზომა, თოხი ერთი ტკაველი იყო. მერე ყანას შეხედა და თქვა: ამ ერთი ტკაველა თოხით ამხელა ყანა ვუნდა ვთოხნო და იგიც ჩემი არ იყოს“-ო.]

ხალხმა თავის შემოქმედებაში ასახა მეხუზლას გაფირალების მიზეზები:

„ცოლშვილი სარჩენი დამჩა  
სხვაც ბეურ გადასახადი;  
ვეცადე და ვიმუშავე  
ვერ მოვიწვიე საყოფი:  
უბრალო ცილის წამებით  
ციხე მიჩინეს სამყოფი.  
ვოთხ წელიწადს ისთე მარჩვეს  
სიკეტილს ვნატრობდი სულ ოხვრით.  
რადგან კატორღას მიჩენდენ,  
მისთვის შევიქენ ფირალი;  
გადმევიარე უჩხუბი,  
დავტიე ნასაკირალი“-ო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ჩაწერა მიხ. ჩიქოვანმა, იხ. „მარქს. ენათ-ვის“.

<sup>2</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე, მახარაძის რ. შემოქმედი.

„ერთ საღამოს „პროვერკის“ დროს—წერს გ. ლასხიშვილი—დაჯჯობა შორის ხმაურობა ასტყდა, აქეთ-იქით სირბილი, ალიაქობა; უცბად კამერებშიაც პატიმრებმა ასტეხეს ყვირილი: „მეხუზლამ უქუსლა, მეხუზლამ უქუსლა!“ თურმე გაქცეულიყო ტუსადი გვარად მეხუზლა, რასაც მოჰყვა დროებით სისასტიკის გამეფება“ (გ. ლასხიშვილი „მემუარები“, 1934 წ; გვ. 45).

ეს მომხდარა 1888 წელს თებერვალში, თუ მარტში, ლასხიშვილის პატიმრობის დროს. ამის შემდეგ მეხუზლა სახელკანთქმული ფირალი შეიქნა.

ნ. მეხუზლას დაპატიმრების შესახებ, მისი კარგი ნაცნობი, ვლადიმერ ჟღენტი გვიამბობს:

„დათაე მიქელიაშვილი და თედორე ასკურავა გეიქცენ ბათომის ციხიდან. იგენის გულიზა დეიჭირეს დათაეს მამა როსტომი, ვლადიმე ჟღენტი (ე. ი. თვით მოამბე ა. ხ.), სისონაჲ დარჩია და ნიკოლოზა მეხუზლა... სისონაჲ და მეხუზლაჲ არ გაათავისუფლეს და ჯერ ბათომში დატიეს ციხეში და მერე ვოზურგეთში გადმეიყვანეს. მეხუზლა წეიყვანეს მერე ქუთაისის ციხეში და ერთწელიწად ნახევარი ამყოფეს იქინეჲ, მარა მეხუზლაჲ გეიქცა ქუთაისის ციხიდან“—ო.

ამნაირად, მეხუზლა მართლაც „უბრალო ცილისწამების“ მსხვერპლი გამხდარა. ყოველმხრივად გამწარებულმა ცხოვრებამ მეხუზლა ფირალობის გზაზე დააყენა. გასული საუკუნის დიდი საზოგადოებრივი მოღვაწე, სერგეი მესხი ფირალობის შესახებ ჯერ კიდევ 1875 წ. წერდა: „ღარიბი, უსახლკარო, ულუკმა-პურო ხალხი, რომელსაც საზოგადოება საზრდოსა და თავშესაფარს არ აძლევს, ქურდობს, ავაზაკობს და ცუდ საქმეებს იწყობს... გაუჩინეთ ხალხს საქმე... თავის ოფლით ნაშოვნ ლუკმას ნუ წაართმევთ... და თუ ამ ხალხში ქურდები და ავაზაკები გამრავლდებიან, მაშინ შეგიძლიათ თქვათ, ადამიანი ბუნებით ბოროტი ყოფილა“—ო (გაზ. „დროება“, 1875 წ. № 22, წერილი—„რა მოსპობს ქურდობას“).

ს. მესხი სწორად აღნიშნავდა, რომ ხალხს ლუკმა-პურს ართმევენ და ფირალობის მიზეზიც ეს არისო.

## თავდასხმა და სიკვდილი

მეხუზლას მოკვლის შესახებ საინტერესო მასალებს იძლევიან ამ შეტაკების დამსწრე პირები. სიკო მეხუზლა გვიამბობს: „სამი პრისთავი წვეიდა მაგის მოკლაზე. მეხუზლა გარეთ გამუარდა.

გაცეცხლებული მეხუზლა  
ფიცხლავ გამუარდა კარში;  
ერთი ისთე შეტრიალდა,  
როგორც შევარდენი ცაში.

დვაბზუას გახვა. იქინედ მენაბდე მოკლა. მექვაბიშვილი იყო სტრაჟნიკი და კლავი მოსტეხა... ნაჩანიკი დადიშქელიანი სროლის დროს სტრაჟას, ბერიძეს აქეზებდა—მიდიო.

—ნაჩანიკო, ჯერ თქვენ მიდით და მე მოგყობითო. მაშვინ კი-ლო ნიკოლოზას მადეგარი იყო აფიცერი გარდაფხაძე. მისი ხელმძღვანელობით მოკლეს ნიკოლოზა. რუმ მოკლეს მაშვინ მივედით ყველაყა. მისი ცოლი ელცაბედ ვაშკაცი ქალი იყო და შათაქიძის დაი გალანძლა. შათაქიძეს უთხრა ნიკოლოზამ: ბიჭო, დამეთხუე, თავს ნუ მომაკლიეფო. შათაქიძემ არ დიეთხვა, ესროლა ნიკოლოზამ და მიაწვინა. ცხემლისხიღზე დამარხეს, მარა ჩვენ მევიპარეთ და ბაილეთის ეკლესიაზე დავმარხეთ“-ო.

ამ დრამის მეორე თანდამსწრე გადმოგვცემს: „მეხუზლა... რუმ მოკლენ მაშვინ იქინედ ვიყავი .. მაუჭადისას იყვენ თურმე იგი და ტარიელა დათუნაიშვილი. ტარიელაც მაგარი კაძახი იყო. ვოზურგეთიდან ჯარი ამევიდა. სოფლებიდან ხეისთავები იყვენ. შეიქნა სახში სროლა. ტარიელა სახში მოკლეს. ძამასახნისათ ნამყოფი იყო ერთი ივანე შათაქიძე. მამასახნისობიდან გაგდებული იყო და ადგილზე დაბრუნება უნდოდა, და იფიქრა ახლა ვისახელეფ თავსო, ჩინს მომცემნო. მივარდა მეხუზლას ფილთა თოფით და დუუძახა: ბაწრით შეგკრავო,—სოფლის კაცმა მომცილდით, ჯარმა მეჩხუბოსო, დეიძახა მეხუზლამ.. არ დიეთხუა შათაქიძემ, მაშვინ ესროლა მეხუზლამ და ჩააწვინა იქინედ. მიორე თოფით მენაბდე მოკლა... ჯარისკაცს მექვაბიშვილს კლავი მოსტეხა. მექვაბიშვილი ახლაც ცოცხალია“-ო. მეხუზლას ტყვიით დაჭრილმა მექვაბიშვილმა ამის შესახებ გადმომცა: „მე ვოზურგეთში ახოტნი კამანდის ჯარისკაცი ვიყავი. კამანდის აფიცერი გარდაფხაძე იყო. ჯაშუში მევიდა: ნიკოლოზა მეხუზლა ბახვის წყლის გაღმა არის ერ მოსახლისას ამელამო. წამუედით... მოხთა ჩხუბი, მეხუზლამ დეიძახა: კაცის სიკტილი არ მინდა და თავს ნუ შემომაკლავთო. მე პირველ გასროლაზე მომარტყა ტყვია კლავში და წამაქცია (მთქმელი სოფ. შემოქმედში ცხოვრობს, 68 წლისაა, ცალი ხელი შემხმარი აქვს). ნიკოლოზას დროს პენციას ვღებულობდი. პენციას ვღებულოფ რვაას ვოთხმოზდა თორბეტი წლის თუთხმეტი იანვრიდან, ამ კნილაში მიწვრია. მე-



ხუზლასთან ტარიელა დათუნაიშვილი იყო, იგი იქინე მოკლეს...  
ჩხუფში უფროსები იყვენ: გარდაფხაძე, ახოტნი კამანდის აფიციერი  
და დადიშქელიანი—ვოზურგეთის ნაჩანიკი...

ახოტნი კამანდამ ვორ ბანაკათ გეიყო. მეხუზლად, ჩვენ ბახვის  
წყლის გაღმა გვეგულებოდა. ამ კედრით მელექედურზე წვეიდა თე-  
ქვსმეტი კაცი. მევორე კედრით შვიდმა კაცმა წამუედით. გარდაფხა-  
ძე ამ თექვსმეტ კაცს ახდა“-ო.

შიეძლება თუ არა, დაგეყრდნოთ ამ გადმოცემებს?

ვეიქრობთ, რომ შიეძლება.

1892 წ. „ივერიაში“ (№ 16) კალამის ფსევდონიმით ერთი  
კორესპოდენტი წერდა: „...15 ამ თვისას, დილით, პოლიციის ბოქაუ-  
ლის თანაშემწე მგელაძე და აქაურის დრუჟინის აფიციერი ბ-ნი გარ-  
დაფხაძე რამდენისამე ჯარისკაცით გავიდნენ ოზურგეთიდან. პირ-  
ველი მათგანი წავიდა სოფელ უჩხუბს (ბახვის საზოგადოებაშია) და  
მევორე მელექედურს (დვაბზუს საზოგადოება), სადაც ფირალთა  
მომხრეობაში შენიშნული სახლობა უნდა გაეჩხრიკათ. უჩხუბში ბ-ნი  
მგელაძე დათა მათუქაძის სახლში სრულიად მოულოდნელად წააწყდე-  
ბა დათუნაიშვილს და მეხუზლას. ასტყდება სროლა... ორი ჯარის-  
კაცი მოკვდება. სიკვდილის მომასწავებელი საშინელი ხმა კიდავ  
გაისმის ჰაერში. ამ ხმაზე მთელი სოფელი ფეხზე დგება და მათუქაძის  
სახლის სიახლოვეს იყრის თავს. თოფის ხმა ოზურგეთამდისაც სწვდე  
ბა და ამასობაში იქაც მიდის ეს ამბავი... თოფისა და ღრიანცელის  
ხმა ბ-ნს გარდაფხაძესაც ესმის მელექედურში და ისიც თავის ჯა-  
რისკაცებით გაეჩქარება უჩხუბისაკენ, საიდანაც ოზურგეთში ჰგზავ-  
ნიან კაცს ახალის რაზმისათვის... მეხუზლა გამოდის გარედ და გარ-  
ბის... ორი სოფლის კაცი კვდება მეხუზლას თოფით... ყაჩაღი შეამ-  
ჩნევს ერთს მოხერხებულს ალაგს იქვე ღელეში და შეეფარება, მაგ-  
რამ თოფის სროლას მაინც არ სწყვეტს. ყოველის მხრით ივერიებს  
მდევართ... სოფელთაგან მოკლულნი არიან მენაბდე და შაფაქიძე,  
ორივე ცოლშვილისა და ოჯახის პატრონი კაცები. ამას გარდა ორი  
აქაური დრუჟინის ჯარისკაცები გახდა უბედურების მსხვერპლად,  
ორი მძიმედ არის დაჭრილი და ერთი მსუბუქად... ის არის ქვეყნი-  
სათვის საზარალო და დანაკლისი, რომ ჯანითა და ღონით სავსე  
ახალგაზრდანი ცხოვრებას ყაჩაღად და ავაზაკად გაუზრდია“.

გხედავთ, რომ ხალხის მოგონებანი დოკუმენტალურად ემთხვე-  
ვიან ოფიციალურ ცნობებს, სახელდობრ:

1. როგორც ოფიციალური ცნობით, ისე გადმოცემის მიხედვით:  
თავდასხმა მოხდა უჩხუბში მათუქაძისას, 1892 წლის 15 იანვარს.



2. ფირალებს მოუკლავთ შაფაქიძე და მენაბდე, ხოლო დავითიანი, ორი ჯარისკაცი.

3. თავდასხმის ხელმძღვანელი ოფიცერი გარდაფხადე ყოფილა.

4. ოზურგეთიდან წამოსული რაზმი ორ ნაწილად გაყოფილა: ერთი მელექედურში წასულა, მეორე უჩხუბში.


აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხალხი არ სტყუის, ის სწორად გადმოცემს ნახულსა და გაგონილს.

ყველაფერი ის, რაც ჩვენ მოგონებების სახით შევკრიბეთ, ჩაქსოვილია იმ მრავალფეროვან ლექსებში, რომელც ხალხმა მეხუზლას შესახებ შექმნა. მოვიყვანოთ ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი:

„გაცეცხლებული მეხუზლა,  
 არ გაჩერდა, გახტა კარში...  
 მაგრამ აფხანაკის ჯავრით  
 ცრემლი მოსდიოდა თვალში.  
 ერთი ისთე შეტრიალდა,  
 როგორც შევარდენი ცაში;  
 ვორი-სამი იქვე მოკლა  
 მევოთხეს გაარტყა თხარში...  
 თელი სოფელი ეიძრა  
 და უძებნიან კვალსა,  
 ქალებიც იმას უკივა  
 ნუგინდ, დაეთხუეთ მასა.  
 აბა მეხუზლა იძახის:  
 აგართუმთ ყველას სილაღსა;  
 ახირებულათ არ ვხარჯავ,  
 თოფის ტყვიას და წამალსა“ და სხვ.<sup>1</sup>

ახლა დავაყუროთ, თუ როგორი სიმკვეთრით აგვიწერს ხალხი სოფლის დიდფერენციაციას, მის ანტაგონისტურ ნაწილებად დაყოფას. მეხუზლასა და პოლიციას შორის ბრძოლა დიდიდან საღამომდე გაგრძელებულა. სიკო მეხუზლამ გვიამბო: „წინ ღამით სიზმარი ვნახე, ვითამ ნიკოლოზა მოკლეს, რუმ გამომელვოდა სახში ვთქვი: ნიკოლოზას კაი არაფერი არ სჭირს მეთქინ. ამ ხანს თოფების ხმაიც

<sup>1-2</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე.



გვეგონეთ და გვექცეთ. რუმ მოკლეს მაშინ მივედით. მისი ელცაბედ ვაშკაცი ქალი იყო და შაფაქიძის დაა გალანძლა. შაფაქიძეს უთხრა ნიკოლოზამ: ბიჭო დამეთხუე, თავს ნუ მომაკვლიეფო. შაფაქიძემ არ დაეთხუა. ესროლა ნიკოლოზამ და მიაწვინა“-ო.

ხალხური ლექსიც ამას გადმოგვცემს:

„შაფაქიძე თოფს უმიზნებს  
უნდა ჩააწვინოს წყალში,  
შემოხედა, დუუძახა:  
შაფაქიძეგ თავს ნუ მაკლავ,  
ნუ ჩამაგდეფ შენი  
ცოლშვილის ცოდვაში.  
რადგანაც, რომ არ მომშორდი,  
ერთ პატრონას გავცლი შენში.  
გადასწყვიტა და ესროლა  
საკადრისათ არტყა თავში“<sup>1</sup>.

შაფაქიძის და, მეხუზლას ცხედარს დასცინის

„შენ მომიკალ ჩემი ძმაი  
და შენ დამიმწარე სული,  
სამწვალებლათ ის გეყოფა,  
ქე ხარ თოლში ჩაგდებული.  
ჩემი ძმაი ლამაზათ მყავს  
ლოგინზე დასვენებული,  
პატიოსნათ გავასვენებთ,  
თან დაამშვენებს კრებული“-ო<sup>2</sup>.

შაფაქიძეც გლახია, მაგრამ მთავრობასთან ახლომდგომი, გამცემი და მოღალატე. „პატიოსნათ გავასვენებთ, თან დაამშვენებს კრებული“-ო, და მეხუზლას კი ნიშის მოგებით ეუბნება: „ქე ხარ თოლში ჩაგდებული“-ო. მაგრამ დავაყუროთ რას უპასუხებს მეხუზლას ცოლი:

<sup>1,2</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე,

„რასაც, რომ შენ ლაპარაკობ,  
მაგას არ იკადრებს ქალი.  
ჩემთვის რალა საჭიროა,  
მაგფერი ხანჭკის მორება.  
დღეს კი სახლში გისვენია  
მაგი კი დაგეჯერება,  
მარა ნახავ ხვალე დილას,  
რანაირათ გეყოლება.  
ნიკოლოზ მეხუზლაისთვის  
ვერვინ იხმარა ხანჯალი,  
შენი ძმაი იყო მსურვე,  
რომ მიეღოთ ღალატობით  
სისხლის ჯვარი.  
მარა აღარ აღრისა,  
დეილოცა მისი გვარი,  
მას ნუგეშათ ის ეყოფა,  
შეუყენა სისხლის ღვარი“-ო<sup>1</sup>.

ამ პასუხში შექმოფენილია სოფლის ანტაგონისტურად დაყოფა, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. მეხუზლას ცოლი გრძნობს, რომ მეხუზლა ხალხის საყვარელი გმირია— „ნიკოლოზ მეხუზლაისთვის ვერვინ იხმარა ხანჯალიო“. მაგრამ მან აგრეთვე იცის, რომ ხალხში მოღალატეებიც ურევია და მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი შაფაქიძეა, რომელსაც „სურდა რომ მიეღო ღალატობით სისხლის ჯვარი“. შაფაქიძე გლახთა იმ ფენის წარმომადგენელია, რომელიც ახალი ვითარების (კაპიტალიზმის) წყალობით თანდათან სცილდება თავის ყოფილ „ძმებს“. მას ნაწილობრივ გააჩნია გლეხური თვისებანი, მაგრამ იგი მშრომელი ხალხის საკუთრება მაინც არ არის ისე, როგორც ორთქლი წყლის თვისებებსაც შეიცავს, მაგრამ იგი წყალი არ არის. შაფაქიძე ახალი ვითარების ნიადაგზე აღმოცენებული კარიერისტია. მას მამასახლისობის დაბრუნება უნდა და ამიტომ ებრძვის მეხუზლას, მას ჯვარი უნდა და ამიტომ ყიდის თავის სვინდისს.

მეხუზლა მოკლეს 1892 წ. ამ პერიოდში გურული ხალხი იცნობს „არსენას ლექსს“. თითონ გურულ ხალხსაც შეუქმნია არსენას შესახებ ლექსები (იხ. ალ. ღლონტის „გურული ფოლკლორი“ გვ.

<sup>1</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე.



78—80, აგრეთვე „საუნჯის“ 1935 წ. გამოცემა). არსენა მშრომელთა გმირი იყო: მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა. დღევანდლამდე არცერთ ქართულ წიგნს არ ღირსებია ისე დიდი ტირაჟი და გამოცემათა სიმრავლე, როგორც „არსენას ლექსი“. პირველად ის გამოვიდა 1872 წ. 2000 ც. ნ. დ. ყიფიანის რედაქციით. 2000 წიგნი ერთ კვირაში გასალეზულა და ნ. ყიფიანს 6000 ც. კიდევ გამოუცია<sup>1</sup>. ყოველმა გლეხმა ზეპირად იცოდა ეს ლექსი. ყველა არსენას მკლავს შეაქებდა და ადღეგრძელებდა. ღონემიხდილ ხალხს „არსენობა ენატრებოდა“ და აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზოგიერთი ფირალის ლექსზე მას თვალსაჩინო გავლენა მოუხდენია. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს მისი გავლენა მეხუზლას ლექსზე. ეს გავლენა ორი მხრით არის საინტერესო:

პირველი: მეხუზლას ლექსში ხალხი მიბაძავს იმ პოეტურ ფორმებს, რომლითაც „არსენას ლექსია“ შეთხზული.

მეორე — როგორც ჯერ კრეტიენ დეტრუამ, ბურჟუაზი, გოტფრიდმა და საბოლოოდ ჟოზეფ ბედრიემ ერთ მთლიან რომანად—„ტრისტან და იზოლდას“ სახით ჩამოაყალიბეს ძველი კელტების ხალხური შემოქმედების ნიმუშები; ასე არსენას ლექსიც შეადგინა პეტრე უმიკაშვილმა „მესტვირეთა და სახალხო ლექსებისაგან“ („ივერია“ 1887 წ. № 141, 11 ივლისი). მეხუზლას ლექსის ტენდენცია სწორედ ამ მხრით არის მიმართული: დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ ზოგიერთი ვარიანტი რამდენიმე სხვადასხვა ლექსის გაერთიანების ცდას წარმოადგენს. „არსენას ლექსის“ გავლენა მეხუზლას ლექსზე ასე გვესახება:

1. არსენა დაიჭირას, ბორკილი შეჰყარას და ციხეში შეაბღას:

„არსენს ხელები გაუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,  
 იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა,  
 შვიდი კვირა და შვიდი დღე, იმ ციხეში ამყოფესა,  
 საციმბიროდ გაამწესეს, ცალი წვერი მოპარსესა“.

მეხუზლა მოკლავს, ირგვლივ შემოესიენ და ძარცვა დაუწყეს:

„ზოგმა ხანჯალი აართვა, ზოგი უშინჯავს ჯიბესა,  
 წყალიდგან ამოათრიეს უმოწყალოთ დააგდესა,

<sup>1</sup> იხ. ჟურნ. „დროშა“, № 17, 1933 წ. პროფ. სიმ. ხუნდაძის წერილი „არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში“.



ტანზე არ გამოუცვალეს, ახლის ნება არ მისცესა, უკუროთხ მიწაში ჩააგდეს, ნაკუროთხი არ აღირსესა“<sup>1</sup>.

ეს ადგილები ისე არის შეწყობილი ერთმანეთთან, რომ განმასხვავებელი მომენტიც აღარ რჩება. კიდევ მეტი ითქმის: ფორმის მხრივ ისინი ერთიმეორეს სავსებით ემთხვევიან. ეს არა მარტო „არსენას ლექსის“, არამედ იმ კლასობრივი ინტერესების გამარჯვებაც არის, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელთ „ერთბედქვეშ“ ამყოფებდა; რომლითაც გლეხკაცობის მთელი ექსპლოატაციამნილი მასა ერთ საერთო ინტერესების ქვეშ იყო დაყენებული.

2. დაჯიჩხილი არსენა ქალაქში გამოკატარეს, ყველა ერის ხალხი მას აჰმბას და ვაჰკაცობას ულოცავს:

„იმერლები იძახიან „კი-კი-კი-სა და ქვე-ქვესა“  
სომხები გაიძახიან „ლავე ბიჭი არის ესა“;  
ოსები კი იძახოდენ „ხორზუ-ხორზუ არის ესა“;  
რუსები: ოჩენ ხარაშო, ეი ბოლუ მალადეცა“.  
ბებრები გაიძახიან „ახ ნეტავი დედაშენსა“;  
პატარძლები იძახიან „ნეტავი შენს მეუღლესა“.

მხუფლას ვაჰკაცობამ ყველა გააკვირვა და მას არსენასმბურად ჰმბას შმასხამინ:

„დადიშქელიანი ამბობს:  
„ვინ ყოფილა, რა ყოფილა:  
ვინაც შეკითხვა მივეციოთ,  
ყველას დედა დაგვაგინა.  
ყაზახები გავაკიდეთ  
სულყველაყა შეგვაშინა“  
პრისტავებიც გაიძახის:  
„ღმერთს მადლობა,  
რომ არ შეგვხვთა  
სადმე წინა“.

<sup>1</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე.

რუსები გაიძახიან:

„ეი, ბოლუ, მალაჩინა“.

მეგრელები იძახიან:

„მუ ყაზახი ყოფეთენა  
მეხუზლაშა მიმართენა.

თოკი სერშახ წყარც-ამია,

ხოლო თიში გვაკვირენა.

თემზა კოჩი ოყათამუშა,

შკვითი დოღურენა.

თინა ხოლო ცორცხალეს,

წყარც მითო ხენა.

„გარდაფხადეს უძახ:

ქუმოძირი სი სკან სოტნა.

საფარს თხორეს,

გვაკვირენა მეხუზლაი“<sup>1</sup>.

მართალია, მეხუზლას ლექსის ეს ადგილი ფორმით სცილდება არსენას ლექსს, მაგრამ სამაგიეროდ შინაარსობრივად იგი ნათესაობაშია მასთან. ორივე შემთხვევაში სხვადასხვა ერის ხალხი არსენას და მეხუზლას ვაჟკაცობას ქებას ერთნაირად შეასხამენ.

თუ არსენაზე პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა“-ო, მეხუზლაზე ქალები ამბობენ: „ნუგინდ, დაეთხუეთ მასა“-ო, ხოლო, თუ არსენას რუსები ქებით მოიხსენიებენ: „ოჩენ ხარაშო, ეი ბოლუ მალადეცა“-ო, მეხუზლაზეც ამბობენ: „ეი ბოლუ, მალაჩინა“-ო.

ანალოგიები კმარა. გვგონია, რომ ჩვენს წინაშე დასმული საკითხი გადაწყვეტილია:

არსენას ლექსის გავლენა მეხუზლას ლექსზე უდაო არის. ჩვენი აზრით ეს გავლენა სამი მიზეზით უნდა აიხსნას:

<sup>1</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე.

<sup>2</sup> თარგმანი: რა ვაჟკაცი ყოფილა ეს. მეხუზლასთან მივალთ, თუგინდ სალამომდე თოკით წყალში ჩავეკიდოთ. მხოლოდ მისი საქმე გვაკვირვებს: სასროლად ამდენი მოვიდა, შვიდი მოჰკლა და ის კიდევ ცოცხალია. წყალში ჩამალულა და გარდაფხადეს უძახის: მაჩვენე შენ, შენი ჯარი. საფარს თხრის, გვაკვირვებს მეხუზლა.



1. არსენას, როგორც სახალხო გმირის პოპულიარობით; საქართველოს  
საქართველოს  
2. იმ თვისებებით, რომლითაც მეხუზლა, როგორც ფირალი ემ-  
სგავსება არსენას, და

3. იმ სადა და მაღალი ოსტატობით შესრულებული ლექსით, რომელსაც „არსენას ლექსი“ ეწოდება.

მეხუზლას ლექსს „ვეფხის ტყაოსნის“ გავლენაც გადაჰკრავს. შიგ მოხსენებულა ტარიელი და ავთანდილი: „ვთქვი იგი ტარიელია, მე ვიზამ ავთანდილობას“-ო. მაგრამ უფრო ახლო კავშირიც არის. მე-ხუზლა ამბობს: „წავედი დევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მღევარი“. ეს თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებაა „ვეფხის ტყაოსანში“ ტარიელის წერილის ერთი ადგილის:


„წამოვე, წევნა დამიწყეს; დავხოცე ჩემი მღევარი“, (იხ. „ვეფხის ტყაოსანი“, 1937 წ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, გვ. 119, —„ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკვლა“).

ეს კი საყურადღებო მომენტია მწიგნობრული გავლენისა ხალხურ პოეზიაში, რომელიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

ნ. მეხუზლას შესახებ მშრომელმა ხალხმა ლექსების მთელი ციკლი შეჰქმნა. ყველა ისინი თემატიკურად ერთ და იმავე მომენტს—მეხუზლას მოკვლის მომენტს ეხებიან. სულ ცამეტი ლექსია შეგროვებული. შეიძლება ეს ლექსები ორ ჯგუფად დავყოთ მათი ხასიათის მიხედვით. ანალიზმა და შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ ცამეტ ლექსში ძირითადი ლექსი ორია, ერთი მეორის პარალელურად შექმნილი. ხოლო თითოეულ მათგანზე კი, შემდეგ რამდენიმე ვარიანტი წარმოშობილი.


სამწუხაროდ, მეხუზლას დაბადების თარიღი ზუსტად ჯერჯერობით გამოურკვეველია. შეგვიძლია დაახლოვებით აღვადგინოთ მისი დაბადების თარიღი მისი ძმის, სიკო მეხუზლას გადმოცემის მიხედვით. სიკო გადმოგვცემს: „მე მახე შეიდი-რვაჲ წლით ვარ უმფროსი... რუმ მოკლეს მე ვორმოცი წლის ვიქნებოდი მაშინ, ახლა ასი წლის ვარ“-ო. თუ დავეყრდნობით ამ ცნობას, მაშინ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ ნ. მეხუზლას დაბადების წელი: ის 1892 წ. 15 იანვარს მოკლეს. მას შემდეგ 46 წელი არის. სიკო მეხუზლა მაშინ იქნებოდა 43 წლის (მისი გადმოცემით 40 წლის). მაგრამ სიკო ნიკოლოზზე 7—8 წლით უფროსი იყო. ისე, რომ მე-





ხუზლა მოუკლავთ 35—36 წლის. ამ ანგარიშით დაბადებული <sup>აქრისა</sup> იყვეს 1855—56 წლებში. ფიზიკური შეხედულებით ნიკოლოზ მე-  
 ხუზლა ყოფილა საშუალო ტანის და სქელი. იცვამდა „ჩაქურას და  
 წულა-მესტს, იხურავდა კაბალახს, ატარებდა წვერს“.

იარაღად ხმარობდა „ბერდენას, ორბირიან ფიშტოს და სატე-  
 ვარს“. სულ სამი ძმები ყოფილან. ნიკოლოზს დარჩენია ცოლ-შვი-  
 ლი, რომელიც ახლა ქუთაისში ცხოვრობს.



## ფირალი ტარიელ დათუნაიშვილი

ფირალი ტარიელ დათუნაიშვილი ოზურგეთის მაზრის, (სოფ. აკეთის) მცხოვრები, ლარიბი აზნაური იყო. ფირალად გავარდნილა 1891 წ. 21 აგვისტოს. ამის შესახებ გაზ. „ივერიაში“ ვკითხულობთ: „სოფ. აკეთი (ოზურგეთის მაზრა)... 21 ამ თვისას სრულიად მოულოდნელად ჩვენს სოფელში კიდევ ორი ყაჩალი აღმოჩნდა... საღამო ხანს ბ-ნი ბოჭაული ორის ყაზახითა და მამასახლის-მწერალით მივიდა აზ. დათუნაიშვილისას. აქ თურმე კარგა ხანია, რაც ორი ფირალი ინახავდა თავს<sup>1</sup>. იმათ... მოკურცხლეს... სახლი გაჩხრიკეს, რამდენიმე ასი თოფის გულა იპოვნეს, საფირალო ტანისამოსი და სხვა საეჭვო ნივთები... თვით მასპინძელი აზ. ტარიელ დათუნაიშვილი ოზურგეთში იყო, გზაზედ შეიტყო ეს ამბავი... ხალხი დიდს შიშშია ჩავარდნილი, ამბობენ, ტარიელაც თუ გავარდა, უარეს ფირალობას იზამსო... ..მასპინძელი (ტ. დათუნაიშვილი, ა. ხ.) ერთს მათგანს (ფირალს, რომელიც დათუნაიშვილისას აღმოაჩინეს, ა. ხ.) მოჯამაგირეს ეძახდა და მეორის შესახებ ამბობდა, ჩემი ბიძაშვილია დედიდგანაო, მეგრელიო... მამასახლისმა, კარგად იცოდა, რომ ამ კაცების მასპინძელს მოჯამაგირე არ ესაჭიროებოდა. ყანა იმას არა აქვს სამუშაო და ბაღჩა. ცხენი არა ჰყავს მოსავლელი და ძროხა“-ო. (ხაზი ჩემია, ა. ხ.)

ტარიელ დათუნაიშვილის გაფირალებაც აქედან იწყება. „ივერიის“ ცნობითვე მას ამის შემდეგ ხიდისთავში ერთი ვაჭარი გაუძარცვავს. დათუნაიშვილს პირდაპირ განუცხადებია გაძარცვულისათვის, რომ მე დათუნაიშვილი ვარო. (იხ. „ივ.“ 1891, წ. დეკემბრის 17, № 268).

<sup>1</sup> ავტორი ქვემოთ შენიშნავს, რომ: „ერთი მათგანის შესახებ იმას ამბობენ, რომ კახიძეაო, რომელიც ამას წინად ქუთაისის სატუსალოდან გაიქცა და რომელსაც კატორღა თურმე აქვს გადაწყვეტილიო“. კახიძეების შესახებ, ჩვენ ვვაჭვს ცნობა დ. მიქელაიშვილთან დაკავშირებით. მიქელაიშვილი კახიძეებთან ერთად თავს დაესხა ზესტაფონში მღვდელს, რომელსაც 8000 მან. წაართვა (იხ. მიქელაიშვილზე).

ეს მომხდარა დათუნაიშვილის გაფირალების 4 თვის შემდეგ, <sup>9</sup> დეკემბერს.

ტ. დათუნაიშვილმა მხოლოდ ხუთი თვე იფირალა: ის გაიქცა 1891 წ. აგვისტოში, ხოლო მოჰკლეს ცნობილ ფირალ ნ. მეხუზლასთან ერთად, 1892 წ. 15 იანვარს. როცა თავს დაესხნენ, დათუნაიშვილი მოლაღატესთან მივარდნილა და უთქვამს: „შენ რა გინდოდა, წუხელის ჩემთან იყავი და არ გრცხვენიაო?“

— ჩინი მინდოდა ტარიელაო.

— აი შენი ჩინიო, და ჩააწვინა ტყვიით იქინეჲ, მარა იგიც მოკლეს“-ო, (კ. ცისკარიძის მოგონება). გაზეთები მას მეხუზლასთან ერთად იხსენიებენ.

მეხუზლას ლექსებში ტ. დათუნაიშვილი ვაჟკაცური თვისებებითაა წარმოდგენილი:

„დათუნაიშვილმა უპასუხა:  
წინ - წინ მე გამიშვი კარში;  
თოფის ტუნჩი კარზედ არტყა,  
მსწრაფლათ გამუარდა კარში.  
უწინ წილოსანი<sup>1</sup> მოკლა,  
თოფი გასცა თოფის ხმაში“-ო<sup>2</sup>.

ხალხი ტ. დათუნაიშვილს „ვეფხის ტყაოსნის“ გმირს, ტარიელს აღარებს. ლექსში მუხუზლა ამბობს:

„ნაკალანდევი შეიქნა,  
ყოლგან ახდენენ ყრილობას;  
ვთქვი იგი ტარიელია,  
მე ვიზამ ავთანდილობას“-ო<sup>3</sup>.

მუხუზლაზე დებრესიული გავლენა მოუხდენია ამხანაგის მოკვლას:

„ბიჭობაში მევიშალე,  
ტარიელ, რომ გამიგორეს;  
გადმოვხტი და შევეხვეწე  
„ნუ მომკლავთ“ არ გამიგონეს“-ო<sup>4</sup>.

<sup>1</sup> სტრაუნცი. ა. ხ.

<sup>2,3</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე.

<sup>4</sup> მთქმელი ს. ჩიტაიშვილი, მახარაძის რ., სოფ. ბაზვი.

ამგვარად, ტარიელ დათუნაიშვილს მცირე ხანი უფირალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი სახელი ხალხში დღესაც ცოცხლობს. კერძოდ მის სახელზე ლექსი არ არის დარჩენილი, იგი მეზუზლას ლექსში იხსენიება, მაგრამ ისე მკვეთრად, ისე მოხდენილად, ისეთი ენტუზიაზმით აღწერს ხალხი მის სიმამაცეს, რომ შეუძლებელია მას სათანადო ადგილი არ დაეთმოს ფირალებს შორის.

---

## ზიკალი სისონა ღარჩია

საკვირველია ამ პატარა ტანის კაცის მოქმედებანი არა მარტოდღეს, როცა მის შესახებ საგმირო ლექსები დარჩენილა, არამედ საკვირველი იყო მის თანამედროვეთათვისაც.

იგი ჩვეულებრივი, რეალური ადამიანი იყო, მაგრამ მასზე შეთხზული ამბები ლეგენდებივით ვრცელდებოდა. ათ-თუთხმეტ პოლიციელს ხშირად მარტოდ-მარტოსთვის შებრძოლება ვერ გაუბედნია და უკან დაბრუნებულან. ხალხში ხმები იყო გავრცელებული—სისონა ღარჩიას ტყვია ვერაფერს დააკლებსო. ჯაშუშების, მემამულეების და მეფის მოხელეებისათვის ლახვარი იყო, ერთ ჯაშუშს ყური მოსჭრა, ცხვირსახოცში გაუხვია. მისცა და უთხრა: ყური იმიტომ მოგჭარი, რომ ქვეყანამ ვაივოს „შპიონი“ ხარო. თავადები და პოლიციელები ერთიმეორეს ასე სწყევლიდნენ: „სისონა შეგხვდეს გზაშიო“. ეს მართლაც წყევლა იყო: სისონას შეხვედრა მტერს იაფად არ უჯდებოდა. მტრების მიმართ ზიზღი წყაროსავით გამოუღვევლი იყო მასში. მისი გული თითქოს ღვარძლის სანერგე იყო, ან ვულკანი, რომელიც ლავას ამოისვრის, რომ ირგვლივ ყველაფერი დაწვას და გაანადგუროს; მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვულკანი კეთილს ბოროტისაგან ვერ არჩევს; სისონა კი, ამ მხრივაც საკვირველი უნარით იყო დაჯილდოვებული.

„ღარჩია თავის ხერხიანის მოქმედებით ყველას აოცებს და ლაპარაკისთვისაც უხვ მასალას იძლევა. იმდენს მგონი დარზე და ავდარზე არ ლაპარაკობენ. იქნება ზოგი კიდევ შეჰნატროდეს იმის ხერხიანობას—სიმარდით გამსჭვალულს ძალღონეს“—ო, წერდა გაზ. „ივერია“ (1890 წ., № 36, „დაბა და სოფელი“—თეოფანე კალანდარიშვილი).

სისონას დიდ სახელს ზოგი თავის ავაზაკურ მიზნებისათვის იყენებდა: იგივე „ივერია“ წერდა: „მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო, სწორედ ჩვენ მოგვდის ასეთი საქმე. ვისაც არა მგონია წერილი მისდის, ამა და ამა ადგილას ამდენი და ამდენი მანეთი მოიტანე, თორემ დაგწვამ, გაგანადგურებო. გწერს გავარ-

დნილი ავაზაკი დარჩიაო... ამას წინად ოზურგეთის ერთ ვაჭარსა  
მიუვიდა ასეთი წერილი, დარჩიას მიერ ხელმოწერილი. ვაჭარმა შეაქო  
ტყობინა პოლიციას, რომელმაც ფული მიიტანა დანიშნულს ალავას  
და თან უყარაულა დარჩიას, მაგრამ ფულის ასაღებად დარჩია კი  
არ მოვიდა, არამედ სხვა კაცი, ჩვენივე მეზობელი, რომელსაც ყველა  
კარგად ვიცნობდით“ო. („ივ.“, 1889 წ., № 260).

მისი ხერხიანობა, სიმარდე და ძალღონე ყველას აოცებდა. პრე-  
საც კი აღნიშნავს ამას:

„ვინ მოსთვლის რამდენჯერ „საფრთხე უგეს“, თოფი ესროლეს და  
მისი დარჩენა ბეწვზედ ეკიდა, მაგრამ ყველას უვნებლად გადურჩა“ —  
„მისთვის, თვით საგანგებოდ გაკეთებული, მაგარისა და ვიწრო  
ბორკილების გატეხა-წაძრობა ჩხირის გატეხასავით და კალოშების  
წაძრობასავით ადვილი გამოდგა“, („ივ.“, 1890 წ., № 36). მღვდლები  
და „სულიერი მამანი“ მის გახსენებაზე პირჯვარს გადაიწერდნენ და  
„ემმაკს“ მიაფურთხებდნენ. ბოქაულებს და მაზრის უფროსებს შიშის  
ქრუანტელი უვლიდათ. ჯაშუშები მოკატუნებული ქცევით ერთგუ-  
ლებას უმტკიცებდნენ. ღღესაც მოხუცები, როცა მასზე ლაპარაკო-  
ბენ, ხელებს გაშლიან და მხრებს აიჩჩენ.

ს. დარჩია ესე გურიელის ყმა-გლეხი იყო.

მამამის სესიკა ერქვა. დედა ტუსკიას ქალი იყო. ოთხი ძმები  
იყვნენ: კობტა, ვასილა, სისონა და სოლომონი.

1886 წ. ახალწელს სესიკა დარჩიასა და მის მეზობელ ჩხარ-  
ტიშვილს შორის ეკლესიაში ჩხუბი მომხდარა. ჩხუბს რამდენიმე  
კაცის სასიკვდილოდ დაჭრა მოჰყოლია („ივერია“ 1886 წ., № 11,  
აგრეთვე ჩვენი ჩაწერილი მოგონება). დარჩიების მეზობელმა გლეხმა  
გვიამბო: „ამ დროს გურიელებთან მოუვიდენ (დარჩიებს, ა. ხ.) უკ-  
მაყოფილება. მაგინი იყვენ სახელმწიფო გლეხები და ესე გურიელს  
არ ემორჩილებოდენ. ამ დროს დარჩიების ვოჯახი იცნობდა სხვადა-  
სხვა გავარდნილ ფირალებს და ავინიც გვეიდენ ფირალებათ. სისო-  
ნამ ფირალობის დროს მოკლა ესე გურიელის მოურავი, ანდრიე  
ჩიკაშუა. პირველად გურიაში ბატონის მოურავი სისონამ მოკლა.  
ამავე დროს შპიონ რაშტიელა გოგვაძეს ყური მოჭრა, პლატუქში  
გამუხუხვია და გურიელთან გაატანა-“ო. სისონას ფირალად გავარდ-  
ნის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის მისი ამხანაგი, ამჟამად  
76 წლის გლეხი, ვლადიმერ ჟღენტი. ჟღენტის გადმოცემით მიქელაი-  
შვილისა და თედორე ასკურავას ბათომის ციხიდან გაქცევის გამო  
დაუჭერიათ სისონა დარჩია (მასთან მეზუხლა და თვით ვლად. ჟღენ-  
ტი, ა. ხ.) ბათომში, ხოლო შემდეგ ბათომის ციხიდან ოზურგეთის  
ციხეში გადმოუყვანიათ. „სისონამ ვოზურგეთის ციხიდან მუახერხა

გაქცევა: ბორკილი შეიზრო ფეხზე და ფეხისადგილთან მესერა ფუშა. ამის გულიზა სისონას ბიძა დეიბარა ესე გურიელმა. ესე გურიელი სისონას ბატონი იყო და ესეს მცველებმა ქე დეიჭირეს სისონას ბიძა. მერე სისონას ძმაიც, ვასილაც ქე მიაყოლეს ბიძამის. ვასილაც ძალიანი მოხერხებული იყო. ყალბი პეჩატის გაკეთებაც კი იცოდა. გუუკეთებიან ტუნელი ნიობახში (თურმე მთელ ლამეებს მუშავობდენ), შუუჭრიან ბორკილები და ლამე ქე მომადგენ კარზე. გავაღე კარი და ვნახე, რომ დარჩიები იყვენ. ბორკილი ქე ქონდენ ფეხზე ჩამოპწიალებული. სატეხით გავჭარი და მუაცილე ბორკილი“-ო.

ეს გადმოცემა დოკუმენტალურად ემთხვევა გაზ. „ივერიის“ ცნობას, „ივერია“ წერდა:

„...ამ დღეებში აქაურის საპატიმროდან (ოზურგეთის, ა. ხ.), სალამოს ჟამს, გაიქცა ავაზაკი დარჩია. ეს ავაზაკი ცნობილია მრავალის ბოროტმოქმედებით. ამას წინად იგი, ბევრის ძებნის შემდეგ, თითონ დანებდა ლანჩხუთის ბოქაულს, რომელმაც ავაზაკი მაზრის უფროსს წარუდგინა. რასაკვირველია, დარჩიას მაშინვე „ვირის აბანოში“ უკრეს თავი. ამ ბოლოს დროს-კი თავისუფლება მოსწყურდა, გასტეხა ბორკილი და საპატიმროს ფეხის ადგილიდამ გაიპარა (შეადარეთ ჟღენტის ცნობას—„ბორკილი შეიზრო ფეხზე და ფეხისადგილთან მესერა გაფუშა“, ა. ხ.). ყარაულებმა შეუტყვეს თუ არა, ასტეხეს ერთი აურზაური და თოფის სროლა, მაგრამ ტუსალი მაინც შიიმალა თვალიდამ. მეორე დღეს აქეთ-იქით აფრინეს დარჩიას შესაპრობად კაცები. მაშინ, როდესაც ქალაქს გარეთ დაეძებდნენ გაქცეულ ავაზაკს, დარჩია არხეინად იჯდა იქვე, საპატიმროს ახლოს, ერთს თაველაში და ჭრილობას სწამლობდა, მაგრამ დიდს ხანს არ დასცალდა, მეორე დღესვე მიაგნეს უცაბედად და დაიჭირეს“-ო („ივერია“ 1888 წ., № 270, დეკემბრის 22). დარჩიამ დაახლოვებით ციხეში ექვსი თვე დაჰყო. მას 12 წლის კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ თავის ძმასთან, ვასილასთან ერთად გაიქცა და კატორღულ სასჯელს თავი დააღწია. „გურულები გულდამშვიდებულები ვიყავით იმით, რომ მთავარი ყაჩაღები შეპყრობილნი იყვნენ, მაგრამ დღეს-კი ცოტათი მაინც შეგვაფუცხუნა ერთმა ამბავმა. ამ თვის (მაისის ა. ხ.) 23-ს აქაურ საპყრობილიდგან გაიქცნენ ძმები დარჩიები, რომლებსაც ავაზაკობისათვის თორმეტი წლის კატორღა ჰქონდათ გადაწყვეტილი. დარჩიების გაქცევა პირველი არ არის, წინადაც ორჯელ გაქცეულან, ხოლო მთავრობას ორჯელვე შეუპყრია“...

ასე წერდა გაზ. „ივერია“ 1889 წ. მაისში, დარჩიას პირველი გაქცევისა და შეპყრობის ექვსი თვის შემდეგ („ივ.“, № 109, 1889 წ., 28 მაისი).



დარჩიები გაიქცნენ. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს გურიას. მთავრობამ გადამჭრელ ზომებს მიმართა.

იმავე წლის „ივერიის“ შემდეგ ნომერში კვითხულობთ: „დარჩიების გაქცევამ სატუსალოდან... დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია გურიაში. იმათი გაქცევა მით უფრო შესანიშნავია, რომ როგორც გავიგეთ, ორსავე ძმას ბორკილები ჰქონდათ ხელებსა და ფეხებში და სატუსალოს მთავრობასაც თვალყური უნდა ედევნებინა მათთვის, რადგანაც დარჩიები ხშირად ამბობდნენ ხოლმე: თუ რასმე გვიპირებენ, მალე გადაგვახდევინონ, თორემ ჩვენ აქ ვერ დავმავრდებითო“. („ივ.“ 1889 წ., თბათვის 9, № 118). მაგრამ სისონას ძმას, ვასილას დიდხანს არ დასცალდა. დაახლოებით 4 თვის შემდეგ ის მოკლული იქნა, სისონამ კი, გაქცევით უშველა თავს. ტირილზე სისონა ჩასულა ეზოში და ძმა უტირია:

„ვაი, დალოცვილი სისონაჲ,  
 ნაქებია ბიჭობაში;  
 შევიდა და ძმა იტირა,  
 არ შეშინდა იმდენ ჯარში;  
 ცალ ხელში თოფი ეჭირა,  
 ცრემლი მოზდიოდა თვალიჩი—  
 „შენ მკვტარი ხარ, მე ცოცხალი,  
 როგორ გავიარო გზაში.  
 ადი, ბიჯო, შემომხედე,  
 თოფი არ მკრას ვინმემ თავში.  
 მალე შენსა მოლალატეს,  
 გავაგზანი მალლა ცაში“<sup>1</sup>.

განსაკუთრებული გრძნობით არის ხალხის მიერ ეს მომენტი გამოხატული. ხალხი დამაჯერებლად, გულის ამაჩუყებლად იძლევა ძმის მიერ, ძმის ტირილს.

ეს ამბავი მომხდარა 1889 წ. 7 სექტემბერს. ამის შესახებ გაზ. „ივერია“ გადმოგვცემს: „... გურიიდან კიდე გვწერენ ავაზაკების დაჭერის თაობაზე: 7 ენკენისთვეს, დილით, ასე 6 საათზე, შეატყობინეს მაზრის უფროსს, რომ გავარდნილი ავაზაკი: ძმანი დარჩიები და დათუნაიშვილი ამა და ამ სახლში არიანო. მაზრის უფროსმა შეჰყარა ყაზახები, ყარაულის კაცნი, თათრები და შუადლისას შე-

<sup>1</sup> ჩაწერა და გამოაქვეყნა მიხ. ჩიქოვანმა, იხ. „მარქს. ენათმეცნიერებისათვის“ გვ. 117, 1934 წ.



მოერთვა იმ სახლს, საცა ავაზაკნი საუზმეს შეექცეოდნენ. ავაზაკებს თავს ზარი დაეცათ. გამოცვივდნენ ვარეთ, ასტეხეს თოფის სროლა. სამი კაცი მოგვიკლეს და გაიქცნენ. სახლში დასტოვეს ერთი თავისი ამხანაგი, ვასილა დარჩია, რომელიც მძიმედ დაჭრილიყო. ჩვენებმა მოკლეს ეს ავაზაკი და დანარჩენებს გამოეკიდნენ უკან. როცა ავაზაკებმა ჩასაფრებული ალაგი მონახეს, ჩახსდნენ შიგ და დაიწყეს კვლავ თოფის სროლა, ერთი კაცი კვლავ მოგვიკლეს, მაგრამ ჩვენებმაც დასჭრეს დათუნაიშვილი და მერე შეიპყრეს კიდეც. დაჭრილი დაუდეს ურემზედ და ოზურგეთში ჩამოიტანეს. გზაზედ გადაეღობა კიდეც ჩვენებს გადაარჩენილი დარჩია და დაუწყო თოფის სროლა“ („ივერია“ № 192, 1889 წ.).

ამ თავდასხმის ხელმძღვანელი ყოფილა თ. ესე გურიელი თავისი „ზემსკაია სტრაჟით“. ფირალებს მოუკლავთ მოლალატე მიხეილ ნინიძე და ერთი მღევართავანი კაკალოლი, ხოლო დაუჭრიათ ესე გურიელის შვილი, ლევან გურიელი. ვასილა დარჩია თავდასხმელებმა მოკლეს. „მეორე ძმა დარჩია-კი ცოცხალი და უვნებელი გაექცათ, მაგრამ ვგონებ არც იმან იბოგინოს დიდხანს მარტოხელად“-ო. („ივ.“ № 191, 1889 წ.).

სისონამ მაინც დიდხანს „იბოგინა“. მთავრობა შიშმა შეიპყრო. გაძლიერდა რებრესიები. ხალხი განსაცდელში ჩააყენეს—დარჩია მოგვეციტო. სისონა ხალხმა არ გასცა. მთავრობამ ხელწერილი ჩამოართვა მოსახლეობას, რომლის ძალით ვარკვეულ დროში ხალხს დარჩია მთავრობისათვის უნდა ჩაებარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება სასტიკი ღონისძიებებით იმუქრებოდა.

„ჩვენში ზოგიერთს ბრალად ედება—წერდა ერთი კორესპოდენტი—ყაჩაღის დარჩიას მფარველობის გაწევა. ბ-ნმა მაზრის გამგებელმა მიიხზო ამ... საქმეში შეწამებულნი (იმათი რიცხვი ასს აღემატება, ლეჩაქოსნებიც ურევიან) და აუხსნა, თუ რამდენად მავნებელი და დამლუპველია ასეთი საქციელი; ამასთანავე ხელწერილი ჩამოართვა ყველას, რომ ეცდებიან ყაჩაღის დაჭერას, ან მოკვლას ან პოლიციის მართალს გზაზედ დაყენებას ყაჩაღის შესაპყრობლად. ვადად არის დანიშნული რამდენიმე თვე. თუ ამ ვადაზე არ აღმოჩნდა თქვენი მეცადინეობაო, დაემუქრა მაზრის მმართველი, მთავრობა იძულებული იქმნება სასტიკი ღონისძიება იხმაროსო“... („ივ.“. 1890 წ., ოქტომბრის 3, № 209). მუქარა, დაშინება, ციხე, კატორღა, ჩამოხრჩობა—აი, ღონისძიებანი რომელსაც მიმართავდა მთავრობა ხალხის წინააღმდეგ დარჩიას დასაჭერად,

მაგრამ ამაოდ. გავიდა ეს „რამდენიმე თვეც, მაგრამ დარჩია ვერც შეიპყრეს. ის გახდა გურული ფირალების წინამძღოლი და ხელმძღვანელი. რამდენად მეტ ძალას ატანდნენ მეფის მოხელეები მშრომელ ხალხს, იმდენად იზრდებოდა ფირალთა რიცხვი და ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ აპარატს განადგურებით ემუქრებოდა. დარჩიას ხალხმა არ უღალატა, არ გასცა და მთავრობა შეუდგა შემჩნეული პირების დატუსაღებას. კორესპოდენტი წერდა „ივერიაში“, რომ „ამისთანა შესაპყრობნი, როგორც ამბობენ, ას სამოც კაცამდე იქნებაო... ზოგი დამალულა. ამბობენ, რომ ამ ღონისძიების გამო, შესაძლოა ყაჩაღ დარჩიას ოცი და ოცდა-ათი სხვა ამხანაგი კიდევ მიემატოსო“ („ივ.“ 9890 წ., № 231). დარჩია ახალ-ახალ საარაკო ვაჟკაცობას სჩადიოდა, ეს აბრაზებდა მთავრობას, ხოლო ახალისებდა მშრომელ ხალხს. „გამოჩენილი ყაჩაღი დარჩია 29 ივნისს კიდევ ერთხელ გასხლტომია ხელიდან პოლიციას. ბოქაულს შეატყობინეს თურმე, რომ შუალამისას დარჩია სუფსის ხიდზე გაივლისო... 29 ივნისს კიდევ ჩაუსაფრდნენ სუფსის ხიდზე. ერთ მხარეს იყო მაზრის უფროსი, მეორე მხარეზედ ბოქაული. ღამის 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზედ, როცა დარჩიამ ფეხი შემოდგა ხიდზე, აქეთ-იქიდგან ყარაულები წამოიშალნენ და თოფები ისროლეს. დარჩიამ შესჭყივლა, ვინახართო, მაგრამ გაიგონა თუ არა ბოქაულის ხმა, დაგვნებდიო; მაშინვე გაჩუმდა და მიიმალა. ყარაულებმა ძებნა დაუწყეს, აქ სადმე იქნება ჩაკუნჭულიო, რადგანაც არავის ეგონა, თუ 6 საჟენის სიმძლივლიდან გაჰბედავდა გადახტომას, მაგრამ თუმცა ბევრი ეძებეს, ვერსად მოიხელეს“-ო. ხალხმა ამ დახვედრის ამბავი, თავის დამახასიათებელი სისადავითა და დამაჯერებლობით მოგვცა თავის შემოქმედებაში. ხალხური ლექსის მიხედვით (აგრეთვე გადმოცემითაც) სისონას მოლალატე ყოფილა მიხელ ანთაძე:

„მინდა, რომ ლექსი გამოვთქვა  
ყმაწვილი კაცის ნდობაზე;  
ერთათ მიხელა ანთაძე  
ქე ვარგა ღალატობაზე“-ო.

პოლიციელებმა მაშინ ესროლეს, როცა სისონა ხიდზე შედგა, მაგრამ სისონა გადახტა და გაიქცა:

„იმფერ დროზე შემიძახეს  
ფეხიც არ შედგა მიწაზე;  
ყურშუმს სიღამ მუარტყამდი,  
აფარული იყვენ შპალძე.

დამენახა, კი მოვკლიდი  
თავს არ დევიქეთ მაგაზე;  
უკაცრავათ იმაში ვარ  
პრისთავს გადავახტი თავზე“-ო<sup>1</sup>.

ასე სასაცილოდ ჰყავს აგდებული ხალხს მოღალატეები და ჟანდარ-  
მერიის წარმომადგენელი. ერთ-ერთი მთქმელის გადმოცემით სისო-  
ნას ხიდზე ნაბადი დაუყუდებია, შემდეგ ხელი უკრავს და გადაუგდია.  
მდევნელთ გადაგდებული ნაბადი სისონა ჰგონებიათ და თოფები დაუ-  
შენიათ. სისონას დრო უშოვნია და გაქცეულა. მეორე მთქმელის  
გადმოცემით სისონას ამ დროს ჰხლებია ფირალი მექვებიშვილი,  
რომელიც დაჭრილა. სისონას დაჭრილი ამხანაგი სამშვიდობოს გა-  
უყვანია და შემდეგ თოფი გაუსვრია: აგერ გახლავარ სისონა დარ-  
ჩიო.

დარჩიას ბრძოლის თავისებური და ორიგინალური ხერხები ჰქონ-  
და, რომლითაც უეიდურეს გაჭირვებასაც კი თავს აღწევდა. პოლი-  
ციელებს ხშირად ღამით სისონა ელანდებოდათ და თოფის სროლას  
ატეხდნენ.

ეს სასაცილო მდგომარეობა ხალხმა მშვენივრად გამოხატა თავის  
შემოქმედებაში:

„მცველეთს დაათქვეს სტრაჟია,  
ღმერთმა დასწყევლოს იგინი;  
რა უთაებოლო ხარჯია.  
მე სისონა ვარ დაითქვეს,  
დობტურს აართვეს ბაჟია;  
ბერ-მონაზონიც კი მოკლეს,  
ალი-ოსმანა სტრაჟია.  
თქვეს: სტრაჟებმა ბერი მოკლეს,  
მე აღარ დამიჯერია;  
როგორც ამბომენ თუ არის  
გაზეთში ჩასაწერია.  
საღამოს კაცს ჩალა მოაქ  
მოკიდული ადევს ზრუგში;  
მივალ და შინ დევისვენეთ,  
ყველა მუშა ფიქრობს გულში.“

<sup>1</sup> მთქმელი ვლ. ჟღენტი, მახ. რ., სოფ. მელექედური.

სტრაჟებს სისონა გონიათ,  
 დღუმინეს თოფი პირში;  
 სამი თოფი დაახალეს  
 და მოესმათ ფაჩა-ფუჩი.  
 მევორე ლამეს უყურეს  
 რაცხა ბნელში მოზოზინობს;  
 დღუმინეს და ესროლეს  
 ძროხა ბლავა და ბლოჭინობს.  
 ლამე ჯირეკს დეინახვენ  
 აბღავლებენ ყმარწვილებს“-ო<sup>1</sup> და სხვა.


ჟღენტი გადმოგვცემს: „ლანჩხუთში პრისთავმა ჯაფარიძემ დიე-  
 ცა სისონას. სისონად მარტო იყო... მერე სისონამ ასთე მითხრა აი  
 ამბავი: „ბოლჩი ჩაფვერი და გევედი. სტრაჟებისკენ ზრუგი ვქენი  
 არ გეიგონ მეთქინ. სტრაჟები სროლილობდენ ტყვიას სახლზე და  
 ყვიროდენ: სა გაგვექცევა მაი კაძახი, არსა არ შუუშლია გასლავო.  
 გუუარე სტრაჟებს გვერჩი და დღუძახე: არიქა ბიჭებო, სცემეთ და  
 სცემეთ, ვერსა ვერ გეიქცევა, მეთქინ. იგენს აფხანაკი აიმედებდა  
 ეგონენ და მე ამასობაში ქე გევიქეციო“.

სისონა იმდენად დარწმუნებულია თავის ძლიერებაში, რომ ასე-  
 თი კრიტიკული მომენტის დროსაც კი, თავდამსხმელთა მთელ რაზმს  
 სამასხარაოდ იგდებს. მეორეხელ, როცა ერთი გლეხის სახლში და-  
 ჩინეს, იგი გავიდა სახლის უკან ბოსელში, გადააცვა ხბოს ნაბადი  
 და ამოჰკრა ხანჯალი. სისხლიანი ხბო გარედ გამოვარდა. თავდამ-  
 სხმელებს ნაბდიანი ხბო სისონა ეგონათ და ესროლეს. ხბო მოჰკლეს,  
 მიცვივდნენ, მაგრამ სისონას მაგიერ მკვდარი ხბო აღმოჩნდა. თი-  
 თონ სისონამ კი, ამ მომენტით ისარგებლა და გაიქცა. ასეთი მო-  
 ხერხებითა და ვაჟკაცობით მას სულ მალე გაუვარდა სახელი. მოხე-  
 ლეებს სულ დარჩია ეკერათ ენაზე, მშრომელნი კი, მისი მამაცობისა  
 და გამბედაობის ამბებს ლექსებად თხზავდნენ და ამით უკვდავყოფ-  
 დნენ თავის გმირს.

სისონას მოქმედების სარბიელი მხოლოდ გურიით არ იფარგლე-  
 ბოდა. „ივერიაში“ ვკითხულობთ: „გურიისა, სამეგრელოსა და ქვემო  
 იმერეთში, დარჩიას ბრბოს გარდა, რამდენიმე სხვა ავაზაკთა ბრბო  
 დადისო“, („ივერია“, 1891 წ., № 4). დარჩია თავის რაზმით თავს  
 ესხმოდა ვაჭრებს, მემამულეებს და ჯაშუშებს<sup>2</sup>. 1890 წლის „ივე-  
 რიის“ № 186 გვატყობინებს:

<sup>1</sup> მთქმელი ი. ჭანუყვაძე.

<sup>2</sup> სისონას შესახებ იხ. პროფ. ს. ხუნდაძის „გ. ნინოშვილის“ I ტ. გვ.  
 378, 1933 წ.



„30 აგვისტო: წუხელის მეთორმეტე საათზე ყაჩალი დარჩიდა თავის ბრბოთურთ, რომელშიაც ათ კაცამდე იქნება,“ თავს დაეცა სამტრედიის მეაფთიაქეს და 1060 მან. წაართვა“-ო.

სისონა ყოფილა „საშვალო ტანის... შვეგვრიმანი და შვეთვალ-წარბა.

„ლამაზი არ იყო, მარა იერიანი სახე ქონდა. ცოცხალი კაცი იყო... თვალს ვერ გუუჩერებდი, იმისიმაგრე თვალები ქონდა, რომ შეხედავდი ცახცახებდა... ქონდა შავი წვერი“, (ფილიმონ სიხარულიძის მოგონება).

იარაღად ხმარობდა „მაჭახელას, ორპირიან ფიშტონას, კაზიონ ლევერველს, ყამას, ბერდენას“, (მოგონებანი).

სისონას სიკვდილი


საოცარია მისი სიკვდილიც. 1890 წლის თებერვალში ავად ხდება. „ამ... ბევრის ოინის, განსაცდელისა და ვაი-ვაგლახის მნახველსა და გასაჭირის ცეცხლში გამოვლილს, არა ჩვეულებრივი სიკვდილის შვილს, როგორც ამბობენ, ახალ-მოდის ჭირი შეეყარა... იმდენად მოაშინაურა, რომ თავშესაფარი კუნჭული და განსასვენებელი ლოგინი მოაძებნინა სოფელ ლესას ერთი კაცისას, გვარად კუნჭულიასას... ცხრა ამ თვისას... პოლიციის ბოქაულმა გაიგო, რომ კუნჭულიასას იმყოფებოდა ყაჩალი. ღამით შეთოფ-შეიარაღებულ კაცებით გარს შემოერტყა. ყაჩაღს რამდენსამე წუთით წინად გაეგო თავს დამსხმელების მოახლოვება, წამოეგლო თავის თოფისათვის ხელი და გამქრალიყო... ბევრი ეძებეს ე მაგრამ ვერას გახდნენ. შევიდნენ გაქცეულის განსასვენებელ სახლში და ნახეს იმისი წამლები და სხვა ნივთები“, (თეოფანე კალანდარიშვილი, „ივ.“ 1890 წ., № 36, 17 თებერვალი). ხოლო ერთი წლის შემდეგ იმავე გახეთში ერთი კორესპოდენტი წერდა: „სახელგანთქმული ყაჩალი დარჩია, ეგ გურიის ქიარიმი, რომელიც სამი წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა მთელს გურიას და რომელიც ბევრს ხიფათს გადარჩა და ბევრჯელ გაუსხლტა ხელიდამ მთავრობას; ამ თვის ოცდახუთს სოფელს ჯურჯეთში, ლანჩხუთის პოლიციის ბოქაულის ჯაფარაძის მიერ მოკლულ იქმნა. იმედია ამ ამბავს შემდეგ მოუსვენებელი გურია მოისვენებს და იმის ცხოვრებაში „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ დამკვიდრდება“-ო, („ივერია“ № 46, 1891 წ., 28 თებ. № 46).

ასეთ ცნობას იძლეოდა ოფიციალური პრესა ამ შესანიშნავი მეამბოხის სიკვდილის შესახებ. მაგრამ საუბედუროდ, საქმის ფაქტიური მდგომარეობა არ ეთანხმება ამ ცნობას. ნამდვილად კი, დარჩია



თავის დღით მოკვდა, ამ მდგომარეობით ისარგებლა ბოქალის მამასახლისმა: მეკდარს ხანჯალი დაჰკრეს, ჭრილობაში მამლის სისხლი ჩაუსხეს; თავიანთ მოკლულად გამოაცხადეს, ვაჟკაცობაც დაიმკვიდრეს და ჯილდოც მიიღეს. ამის შესახებ არსებობს გადმოცემათა ორი ვერსია. ერთით—ვლადიმერ ჟღენტის მოგონებით „სისონაჲ ქალის ავადმყოფობით გახდა ავათ და იწვა ვახტანგ გურიელისას. იმის მერე მეჯოგესან იწვა ჩიბათში და მისი დღით მოკტა იმ მეჯოგესას. სისონაჲ რომ მოკტა მეჯოგემ შიატყობია ავი ამბავი მიხელა ნინიძეს. ნინიძემ პრისთავს ჯაფარიძეს გააგებია. მევიდა პრისთავი ჯარით და ესროლა მკტარ სისონას, მარა ორი დღის მკეტარს სისხლმა არ გადმუჟარა. სისონას თავი ქონდა გატეხილი (ჩივიან მეჯოგემ განგეფ გუუტეხა თავი, რომ მოკტა მერევე) და პრისთავმა დეიქო: თავზე, რომ ჭრილობა აქ, ჩემი ჭრილობაა, მე შემოვკარიო. მერე ექიმა შეამოწმა, რომ სისონაჲ მისი დღით იყო მკტარი: ნატყვიარში სისხლი არ იყო გადმოსული. პრისთავსაც უნდოდა ჯილდო და მეჯოგესაც, მარა არც ერთს არ მისცეს, იმიზა რომე სისონაჲ ივინის მკტარი არ ამოჩთა“. მხოლოდ ერთი ეშლება მთხრობელს: მიხელა ნინიძე ამ საქმეში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან ის ორი წლით ადრე 1889, 7 სექტემბერს მოკლული იქნა დარჩიებისა და დათუნაიშვილზე თავდასხმის დროს. მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ფაქტიურ მდგომარეობას, რადგან ნინიძე მხოლოდ შუამავლის როლშია აქ გამოყვანილი. გავსინჯოთ გადმოცემის მეორე ვერსია:

„ბოლოს სისონაჲ იყო მეგრელიაში ანაკრიაში, გზაში ფოსტას დახტენ. სისონაჲ დეიჩიხა. იშონა ცხენი და ორ დღენახევარში ანაკრიიდან გირგოლეთში მივიდა ჭენებით. ამაზე გახდა ავათ: ინახვიდა გურიელი დათაე. როცხა მაგრათ დაავათმყოფთა, ვორი კვირის ავათმყოფობის მერე, იხმო ალექსანდრე დარჩია, მისი ბიძაშვილი. ბიძაშვილმა ღამე ჯუმათის სადგურთან სოფ. ხაჯალიაში მიიყვანა. სისონას ავათმყოფობა ემატებოდა. იარალი ქონდა კაზიონი ლევერველი, ყამა და ბერდენა, მარა ხმარება არ შეეძლო, ისე დასუსტდა. როცხა კტებოდა ტაგუე ჩიქოვანმა გააგებია მამასახლისის პართენა ჭანტურიას და მეილაპარიკეს: როცხა სისონა თავის დღით მოკტება, ჩამეიტანებენ სვიანას ბოგასან ბალიერთან, სადაც ჩასაფრებული იქნება ლანჩხუთის პრისთავი; დააკლენ თავზე მამალს, ხმალს შემოკრენ თავზე, სისხლს ჩააქცევენ ჭრილობაში და სროლას ასტეხენ. ასე ქნეს. სისონა დამარხეს კინის გზის პირას. ერ კვირეს მერე წვილეს ჭირისუფალმა მკტარი და დამარხეს დღონაურის ეკლესიაზე. ტაგუიას მისეს მენდალი, მამასახლისი—ჯვარი და აჩუქენ



სისონას იარალი. შემდეგ სისონას თოფი პართენას ცხრაას ხუთმეტი  
ჩამუართვეს და გადაცეს ლაფიერა კვაჭაძეს და სამსონა მიქაბერიძეს,  
ტერორისტებს“-ო.

როგორც პირველი ვერსიით ჩანს, ბოქაშულისა და მამასახლისის თვალთმაქცობა გაუგიათ და ჯილდო აღარ მიუციათ. მეორეთი, თვალთმაქცობა დაფარული დარჩენილა და ამ საქმის ორგანიზატორებს მიუღწევიათ თავიანთი მიზნებისათვის. ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი გადმოცემა უფრო სწორია: ბოროტმოქმედება, რომ გამომჟღავნებულიყო ოფიციალური პრესა ამას უყურადღებოდ ვერ დატოვებდა და მოიქცეოდა ისე, როგორც იგი იქცეოდა ანალოგიურ შემთხვევებში. ორივე ვერსია საბოლოოდ გაზეთის ცნობის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ დარჩია თავის დღით მოკვდა, ხოლო პოლიციის წარმომადგენლებმა ეს თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს. ეს არ არის საკვირველი იმ პერიოდში, რადგან ირკვევა, რომ ამგვარ ამბებს გურიაში მაშინ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა (იხ. ფირალ გ. ჭყონიას და ლომჯარიას შესახებ).


სისონას დაბადების თარიღის გამოსარკვევად იძულებული ვხდებით მოგონებებს დავეყრდნოთ, რადგან მისი „მეტრიკა“ არ აღმოჩნდა. ამ მხრივ საინტერესოა ვლადიმერ ჟღენტის გადმოცემა:

1. „სისონაჲ —ამბობს ის,—ჩემი ხნის იყო, ერთათ ვიყავით გაზდილი და მე ახლა სამოცდა თექვსმეტი წლის ვარ“-ო.

2. იგივე ჟღენტი ფირალ მიქელაიშვილზე მოგონების დროს ამბობს, რომ მიქელაიშვილის ხელის შეწყობისათვის „გადამასახლეს არლოვში... როცხა არლოვში მაგზავნიდენ, ...მაძიებელს ჩვენებაში ვუთხარი ვოდღათერთმეტი წლის ვარ მეთქინ... გადასახლებიდან, რომ მუედი ვოდღათოთხმეტი წლის ვიქნებოდი. ანცანდრე მესამე რომ მოკტა, მეფე, იმ ხანფეში წამუედი არლოვიდან... გადასახლებაში სამ წელიწადზე მეტი არ ვყოფილვარ“-ო. ალექსანდრე III 1893 წ., 20 ოქტომბერს გარდაიცვალა, მიქელაიშვილი კი ამავე წლის 19 დეკემბერს მოჰკლეს<sup>1</sup>. ამრიგად, ჟღენტი ამ დროს სამი წლის გადანასახლები ყოფილა, ე. ი. ის გადაუსახლებიათ 1891 წ. დასაწყისში, როცა 31 წლის ყოფილა. დარჩიას მოკვლის შემდეგ, 47 წელი არის. ჟღენტი სისონას ხნის იყო, ისე რომ დარჩია 31 წლის მოუკლავენ.

რამდენი წლის ფირალი ყოფილა დარჩია?  
გადმოცემების თანახმად გაფირალებისას დარჩია 25 წლის ყოფილა. მისი ფირალობის ხანგრძლივობის შესახებ ორი ცნობა გვაქვს. პირველით: „სისონამ იფირალა ექვსი წელი“, მეორეთ — „სამი-ვოთხი

<sup>1</sup> იხ. მიქელაიშვილზე, ა. ხ.



წელი“. პირველი უფრო სწორად მიგვაჩნია, რადგან გარდა მისი ნილი საბუთებისა არსებობს „ივერიის“ ცნობაც, რომ: „ეს ავანაკი ცნობილია მრავალის ბიროტ-მოქმედებით. ამას წინად იგი ბევრის ძებნის შემდეგ, თითონ დანებდა ლანჩხუთის ბოქაულს“-ო. ეს 1888 წელს იწერება და როგორც ვნახეთ ამ დროს დარჩია ცნობილი ფირალი ყოფილა. ამიტომ მისი გაფირალების თარიღად 1886—7 წლები უნდა მივიჩნიოთ. ამნაირად, დარჩია ყოფილა ხუთი-ექვსი წლის ფირალი. ამ საბუთების ძალით დაბადებული უნდა იყოს (1891—31) 1860 წელს.

ს. დარჩიას ირგვლივ თავს იყრიან მეფის რეჟიმის უკმაყოფილო ელემენტები. მისი ბრძოლის ხერხებითა და გამოცდილებით სწავლობდნენ. ის ფირალთა ცენტრში ექცევა და შეუძლებელია რომელიმე მწერალი, რომელიც ფირალის ცხოვრებიდან რაიმეს დაწერას მოისურვებდა, დარჩიას აცდენოდა. ეგნ. ნინოშვილის მოთხრობა „სიმონა“-სთან დაკავშირებით პროფ. სიმონ ხუნდაძე ვაკვრით ს. დარჩიასაც შეეხო. პროფ. სიმონ ხუნდაძის დებულებები ასეა წარმოდგენილი:

1. „საერთოდ მოთხრობა „სიმონას“ შინაარსი აგებულია 80-იან წლების გურიის ისტორიულ სინამდვილეზე, მასში მრავალია შეტანილი ისეთი ეპიზოდები და მომენტები, რომელთაც ადგილი ჰქონია რეალურ სინამდვილეში“.

2. „სიმონას ცხოვრების პირობები გადაშლილია დრმა სოციალური ბრძოლის ნიადაგზე, აქ უღარიბეს გლეხის მემამულეთა და პოლიციის წინააღმდეგ ბრძოლის თავგადასავალია მოთხრობილი, ამ ორმა ძალამ მიიყვანა ძალაძე ფირალობამდე, ეს არ სჩანს სისონა დარჩიას ცხოვრების პირობებიდან“.

3. „როგორც... შეკრებილი ცნობებიდან ირკვევა, სისონას მამას, სესიკას ოთხი ვაჟი ჰყოლია... ერთ-ერთ ვაჟს, ვასილას შელაპარაკება მოსვლია მეზობელთან, ფიზიკურ შეურაცყოფას მოჰყოლია შემდეგ მამა-სესიკას ლევერველით მოკვლა მეზობლის მიერ და ამის შემდეგ ვასილას და სისონას ყაჩაღად გავარდნა“, („ეგნ. ნინოშვილი“ ტ. I, გვ. 376—79).

პირველი დებულება სავსებით სწორია: მწერალი გვერდს ვერ აუქცევდა 80—90 წლების საფირალო მოძრაობას. ის თავის შემოქმედების საგნად, მხოლოდ ერთ პიროვნებას ვერ გაიხდიდა. მეორე და მესამე დებულება არ არის მართალი. პროფ. ს. ხუნდაძის მოსაზრებანი ეყრდნობიან, მხოლოდ რამდენიმე ცნობას. მას შემდეგ



კი, რაც მოგროვდა სისონა დარჩიას შესახებ თითქმის ამომწურავი მასალები, აღარ არის საკმარისი ამით დაკმაყოფილება.

საერთოდ, ფირალობას ჰქონდა ღრმა სოციალური საფუძველი და ის არ ყოფილა გამოწვეული კერძო ეპიზოდებისაგან. სისონას ფირალობასაც ღრმა სოციალური საფუძველი ჰქონდა. მისი გაფირალბის მიზეზები და ცხოვრების პირობები ისეთი იყო, როგორც სიმონა ძალაძის. არც ერთი მოძრაობა არ წარმოშობილა სოციალური მიზეზების გარეშე და ფირალობაც ამის შედეგი იყო. ხოლო სისონა დარჩია ექვსი წლის განმავლობაში ამ ფირალობის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებოდა.

დავაზუსტოთ ეს დებულება:

1. სიმონა ძალაძე ღარიბი გლეხის შვილი იყო, სისონა დარჩია კი, ესე გურიელის ყმა-გლეხი.
2. სიმონა ძალაძე აიძულა დავით დროიძემ, რომ ფირალად გასულიყო. დავით დროიძეს, როგორც მოწინააღმდეგე ფენის წარმომადგენელს სიმონა ებრძოდა.


სისონაც ბატონყმობის პირობებმა დააყენა ფირალობის გზაზე. მოვიგონოთ ჩვენ მიერ ჩაწერილი მოგონება: „გურიელებთან მოუვიდნენ (დარჩიებს, ა. ხ.) უკმაყოფილება; მაგინი იყვენ სახენწიფო გლეხები და ესე გურიელს არ ემორჩილებოდნენ“-ო. სისონას გამუდმებული მტრობა ჰქონებია ბატონის, ესე გურიელისადმი: „სისონამ ფირალობის დროს მოკლა ესე გურიელის მოურავი ანდრიე ჩიკაშუა. პირველად გურიაში ბატონის მოურავი სისონამ მოკლა“<sup>1</sup>.

კოწია ცისკარიძე გადმოგვცემს: სისონას შიშის გამო ესე გურიელი გადასახლდა, ქ. ოზურგეთში. როცა ესე მოკვდა სისონამ შეუთვალა ჭირისუფალს: არ გაბედოთ და სოფელში არ გამოასვენოთ, თორემ ყველას ამოგზოცთო. ესე მაინც გაუსვენებიათ სოფელში, მაგრამ 200-დე ჯარისკაცის შეიარაღებული რაზმით. თვით, კოწია ცისკარიძე ამის მონაწილე ყოფილა.

როგორც ვხედავთ, სიმონასა და სისონას სოციალური პირობები ზუსტად ემთხვევიან ერთი მეორეს. რა შეუცვლია აქ ეგ. ნინოშვილს?

აი რა: სიმონა ებრძვის სოფლად კაპიტალიზმის წარმომადგენელს (გუშინდელ გლეხს), დროიძეს, ხოლო სისონა ბატონს, ესე გურიელს. ნინოშვილი ასეც უნდა მოქცეულიყო, თუ სურდა მას მისი შემოქმედებით მოეცა კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი გურიის ცხოვ-

<sup>1</sup> იხ. წინა გვერდები.



რების არსება. ამიტომ პროფ. სიმონ ხუნდაძის განცხადებით, რომ: „ერთერთ ვაჟს, ვასილას შელაპარაკება მოსვლია მეზობელთან, ფიზიკურ შეურაცყოფას მოყოლია შემდეგ მამა—ესიკას რევოლვერით მოკვლა მეზობლის მიერ და ამის შემდეგ ვასილას და სისონას ყაჩაღად გავარდნა“—ო, სიმართლეს არ შეეფერება. ამ წიგნში მოთავსებული ცნობები ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ, რომ შელაპარაკება მეზობელთან თვით სესიკას მოუვიდა და არა ვასილა დარჩიას. მაგრამ უფრო საიმედო საბუთი ჩვენ „ივერიის“ სახით მოგვეპოვება. მომხდარი ჩხუბის შესახებ ვაზ. „ივერია“ წერდა: „ახალ წელიწადს დღეს, სოფ. დღონაურის ეკლესიაში შეხვედრიან ერთმანეთს მტრად გადაკიდებული გიგო ჩხარტიშვილი და სესიკა დარჩია... გიგო ჩხარტიშვილსაც... სესიკა დარჩიასათვის მიულოცია ბედნიერი დღე... სესიკას... შიგ ეკლესიაში ხანჯალი დაუცია... დაჭრილს და ეკლესიიდან გამოქცეულს ჩხარტიშვილს გახელებული დარჩია უკან მოსდგომია... ამ უკანასკნელს (ჩხარტიშვილს, ა. ხ.) წინ გადაეღობა შვილი პირველისა (დარჩიას, ა. ხ.) და თავის მამის მუქარის შესასრულებლად რევოლვერი ესროლა, მაგრამ ტყვია ასცდა იმას, ვისთვისაც დანიშნული იყო და მოხვდა მის საკუთარ მშობელს (თვით დარჩიას, ა. ხ.)... ჩხარტიშვილის მხრით სამი კაცი დაიჭრა და დარჩიას მხრით ექვსი“, („ივერია“ 1886 წ., იანვარი, № 11).

ამრიგად:

1. საკუთარი მამა, სესიკა თვით დარჩიას დაუჭრია და არა მეზობელს.
2. შელაპარაკება თვით სესიკა დარჩიას მოსვლია მეზობელთან და არა მის შვილს, ვასილას.

შეიძლება ჩხარტიშვილებთან ჩხუბი ერთ-ერთი ხელის შემწყობ პირობათაგანი იყო სისონა დარჩიას გაფირალების. ნამდვილი მიზეზი კი ემარხა ბატონყმური და თვითმპყრობელური რუსეთის არსებაში. ფირალობა ამ არსების გამოვლენა იყო.

ამნაირად: ნინოშვილს აუღია 80—90 წლების ფირალობა, მოუნახავს მისთვის სოციალ-კლასობრივი საფუძველი და ამ ფირალობის მთავარი წარმომადგენელი ს. დარჩია მოთხრობა „სიმონას“ ტიპად გამოუყვანია. სისონასა და სიმონას გაფირალების მიზეზები ერთიმეორეს ემთხვევიან და არავითარ შემთხვევაში ურთიერთ წინააღმდეგობას არ წარმოადგენენ.




სისონას შესახებ შექმნილი ლექსები თემატიკური მრავალმხრივობით ხასიათდება. ეს ლექსები სისონას ცხოვრების სამ მომენტს ეხება:

1. როცა მას ხიდზე დახვდნენ პოლიციელები.
2. პოლიციელებს სისონა რომ ყველგან ელანდებოდათ და უსაბუთოდ სროლას ატეხდნენ.
3. სისონას მიერ თავის ძმის, ვასილას ტირილი.

ყველა ამ ლექსებში ხალხი დიდი ოსტატობით, მხატვრული სახეებითა და მოხდენილი შედარებებით ასახავს თავისივე შვილის ცხოვრების დამახასიათებელ თვისებებს.

სისონას სიკვდილზე ლექსი არ შენახულა.



## ფიკალი დათა მიქელაიშვილი

„ივერია“ აღნიშნავდა, რომ სისონა დარჩია უმემკვიდროდ არ გადასულა—ძირი, ფესვი, რომელზედაც ავკაცობა იყო აღმოცენებული ისევ დარჩაო. ასეც იყო: ერთს მოჰკლავდნენ—ორი მირბოდა და იქმნებოდა თუმცა უორგანიზაციო, მემბოხური, მაგრამ მაინც გარკვეული რკალი პროტესტანტებისა, არსებული უკულმართობის წინააღმდეგ. სისონას მემკვიდრე მართლაც აღმოუჩნდა. სულ მალე ყურადღების ცენტრში მოექცა მეორე მემბოხე და პროტესტანტი, დათა როსტომის-ძე მიქელაიშვილი. მან ალაპარაკა არა მარტო გურია, სადაც მისი მოქმედების ასპარეზი იყო, არამედ მაშინდელი პრესაც: „კავკაზი“—„ნოვ. ობოზრ.“, „ივერია“.

იგი ოზ. მაზრის, სოფ. მელექედურის მცხოვრები იყო. ღუხჭირმა ცხოვრებამ აიძულა სხვაგან ეძია სამუშაო. გადმოცემების თანახმად, „მამამისს ერთი „ჯარგვალას“ მეტი არაფერი გააჩნდა და დათა ქობულეთში რკინისგზაზე მუშაობს შავ მუშად. მიქელაიშვილი ბათომში დააპატიმრეს, მაგრამ საპატიმროდან გაიქცა და ტყეს მისცა თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ პოლიციამ მიქელაიშვილი შემოირიგა. ხანმოკლე იყო ეს შერიგებაც. ის ზესტაფონში ერთ „სულიერ მამას“ დაესხა, ფირალ კახიძეებთან ერთად და 8000 მან. წაართვა. ისევ ფირალობას იწყებს. გადმოცემათა მიხედვით მიქელაიშვილი „სისონაზე უმფრო მალე გეიქცა ფირალად. იმან ძველ ფირალეფში ყველაზე მეტ ხანს გაძლო“. მას დაახლოვებით 7—8 წელი უფირალია. მის შესახებ ცნობები გვხვდება 1892 წლიდან. მიქელაიშვილს მეფის მთავრობა გაცხარებით დაეძებდა. ოზურგეთში „ნაჩალნიკ“ დადიშქელიანს მოუვიდა ჯაშუში: მიქელაიშვილი და მისი ამხანაგები ამ ადგილზე არიანო. „დადიშქელიანმა გაგზავნა ჯარი პრისთავის ვაშალომიძის და იუნკერი ყიფიანის ხელმძღვანელობით... აქანაჲ არიანო, მისცა ნიშანი ჯაშუშმა... მიადგენ დაყრუებულ სახლს... ფირალებს შეუთვალეს: ან ჩავებარდით, ან უნდა მოკტეთო... ფირალებმა შემუთვალეს: თქვენ ცამეტი ხართ, ჩვენ ცხრაი ვართო. სამი მაკტენი მემატეთ თუ გინდებიან, ჩვენ მთასავით ვართ, არ გვეშინიაყო-

მიაძახეს ვურა. სახლიდან აფერი ხმაი არ ეყურებოდა,  
— ვურა — დეიძახეს კილო. კილო არაფერი ეყურებოდა.  
— ვურა — აფერი.

მერე გააწვიმეს ტყვია ფირალემა... დათავ მიქელაიშვილი სახლის  
ლოჯიდან გადაეარდა. დააყარეს, წეიქცა, ტყვია მოხთენოდა. ამ დროს  
გამუარდა კილო ვორი ფირალი: ამაღლობელი და ღლონტი. მიქე-  
ლაიშვილი რუმ წეიქცა, იმას თავი დაანებეს და ღლონტს გამიეკი-  
დენ. ღლონტს ტყვია გამიელა და ცარიელი თოფით იგერიებდა  
ჯარს. იგი ცოცხალი დეიჭირეს. ქამრის ღვედებით შეკრეს, წეილეს  
და გააგდეს შეკრული მინდორში. ფირალი სალუქვაძე მოკლეს...  
ამაღლობელიც მოკლეს“. (მოგონება გადმოგვცა ქ. მახარაძის სოფ.  
წითელმთის მცხოვრებმა კოწია ცისკარიძემ).

ახლა მოვეუსმინოთ გაზ. „ივერიის“ კორესპოდენტს, იგი წერდა:  
„გწერთ დაწვრილებით ავაზაკების მოკვლის ამბავს... 13 ივნისს, ღა-  
მით პოლიციის ბოქაული ვაშალომიძე და რამდენიმე დარაჯი გაგ-  
ზავნილ იქმნენ ბასილეთს... ორი ავაზაკი ამაღლობელი და სალუქ-  
ვაძე მოკლულ იქმნენ, ერთი მახლობელი იმათი, ღლონტი შეიპყრეს,  
ხოლო ბელადმა მიქელაიშვილმა გაიტაცა სალუქვაძის თოფი და  
თავი დააღწია ხიფათს“, („ივერია“ 1892 წ., № 126).

განსხვავება გადმოცემასა და „ივერიის“ ცნობას შორის ის არის  
მხოლოდ, რომ პირველით მიქელაიშვილის დაჭრა არის მოცემული,  
მეორეში კი ეს (დაჭრა) მოხსენებული არ არის.

მიქელაიშვილის ყოფ. ამხანაგთან და ფირალთან, ამჟამად მეჩონ-  
გურე ხუსეინ ბაჯელიძესთან, წავაწყდით ერთ ლექსს, რომელშიაც  
მიქელაიშვილის გადასახლებიდან გამოქცევა არის აღწერილი. ეს  
ლექსი მრავალმხრივ არის საინტერესო. აი, მისი ერთი ნაწილი:

„პირველი ჩემი შემთხვევა,  
ვიცი თქვენც გაქ მონასმენი,  
კატორღით, რომ დაბოლავდა,  
ჩემზე სულის განაჩენი.

.....  
სახალინში, რომ გამგზავნეს,  
დამდვეს მძიმე ბორკილები,  
ისე მაგრათ დამიჭირეს,  
შიშით ახლაც მტკივა ძვლები.  
მე იქიდან წამუედი,  
სადაც მზეი არ ანათებს

ოფიციალური ცნობები მისი გადასახლებისა და იქედან გამოქცევის შესახებ არ მოგვეპოვება. ეს ლექსი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ფირალის ამ ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს ამჟღავნებს.

მიქელაიშვილი თავდასხმებს ახდენდა ვაჭრებზე, მღვდლებზე და მემამულეებზე. სამაგიეროდ, ყოველთვის თავდაჭერილი და მორიდებული იყო მშრომელ ხალხის მიმართ. ჩვენ ხელთ არის მასალათა მთელი რიგი, რომელნიც ასაბუთებენ ამ აზრს. გავეცნოთ რამდენიმეს.

ერთი მთქმელი გადმოგვცემს: „მახსოვს, ლინეიკით მოვიდოდით ვოზურგეთიდან ნატანეფში. ვოზურგეთის ქვეით ნატანების ბოგასან დაგვხვთა ვორი შეიარაღებული კაცი. ჩვენთან ვორი ვაჭარი იყო: მოსე ურუშაძე და ხოსენა მახარაძე... ვაჭრები გაძარცვა. „არ უნდა ვქნა აი, მარა საჭმელი არ მაქ, დღედაღამე ტყეში მშვიერი უნდა ვიაროვო“ — გვითხრა ხალხს. ჩვენ ყველას შეგვეშინა, როცა ლინეიკა გააჩერა, პრისთავი ვაშალომიძე იკითხა. თვითონ ამევიდა ლინეიკაზე. მეგორეს იარაღი ქონდა მომარჯვებული. სხვა ხალხიზა აფერი გლახა არც უთქვამს და არც აფერი წუულია. თურმე ამ ლინეიკაში მიქელაიშვილს ვაშალომიძე პრისთავი იქნებოდა ეგონა და მასან ქონებოდა ანგარიში გასასტორებელი. მარა პრისთავი ჩვენთან აღარ დარჩა. რავაც მახსოვს მას ახდა ფირალი ცხომელიძე. ხოსანა მახარაძეს უთხრა: „შენისანა გასაწყლებული ვაჭრიდანაც აფერს არ წვეილებდი, მარა შენმა ენამ გიქნაო—“—მერე ხოსანას ვეზდნაჩანიკთან წერილი გაატანა. ვეზდნაჩანიკი მაშენ ვირუბოვი იყო. ჩვენ ბოლოს გვითხრა: „ძმანებო, მეც თქვენი ვარ, მარა გაჭირვებული ვარ“-ო. ურუშაძიდან ფული ას მანეთამდი წვილო, სხვა ფულის გადამალვა მოასრო. მიზგან ნაბადი წვილო კიდო, ტყეში ღამის სათევათ დამჭირდებაო. ხოსანადან სამასი წვილო, კიდო: საათი და ქამარი. ჩვენ ათი ვიყავით ლინეიკაში. ბოლოს ყველას ხელი ჩამოგვართვა და ხოსანას უთხრა: მაგი წერილი მალე გადაეცი ვეზდნაჩანიკსო და წვეიდა. ღარიბ ხალხს არ აწუხებდა“-ო. (იბ. გუჯაბიძის მოგონებიდან).

ამის სისწორეს ადასტურებს ვაზ. „ივერიის“ ცნობა: მიქელაიშვილი „დასცემია ოზურგეთში მიმავალ დილიჯანს და გაუცარცვავს მგზავრნი. მიქელაიშვილს უთქვამს დილიჯანში მსხდომ ვაჭართათვის:



„მე ხომ მიცნობთ, მიქელაიშვილი ვარ, ფული მჭირია და თქვენ ნებით მომეცითო“. 600 მანეთამდე მოუგროვებია და წაუღია. სხვა-ფრივ არავისთვის არა დაუშავებია-რაო“. (გაზ. „ივერია“ 1893 წ., ნომბერი, № 246).

1892 წლის 29 აგვისტოს მიქელაიშვილი თავისი რაზმით თავს დაესხა ჩოხატაურის ვაჭრებს. ამ თავდასხმის ერთი დამსწრეთაგანი ჩოხატაურის რ. მცხოვრები ბარნაბ სიხარულიძე გადმოგვცემს:

„მე პრიკაშიკათ ვიყავი ასამბაძესან. ერ ლამეს პაწა შელამებული რომ იყო, მიქელაიშვილი მისი რაზმით დაგვეცა თავზე... ხუთი-ექვსი კაცი იყო ფირალები. ჩემი ხაზეინი მეფურნე იყო... უცეფ ყვირილი გევიგონეთ დუქნები დაკეტეთო. ყვირილს თოფიც მოყვა. პირველათ ჩვენთან შემოვიდნენ. მიქელაიშვილს ძველი შინელი ეცვა. შინელი, რუმ გეიძრო ტყვიებმა ელვასავით გაანათა. ყარაულს, ელიზბარა გოგოლაძეს მოკიდა ხელი მიქელაიშვილმა და დუქანში შემოიყვანა, ფირალი ბოლქვაძე წინ დადიოდა და თოფს სროლილობდა. ყარაულს თოფი ჩამუართვეს და ყველა ხალხი ჩვენ დუქანში შემორეკეს. მერე შევიდნენ დიდი ვაჭარ მასიკო ცინცაძის დუქანში. ჩვენდან აფერი არ წაუღიათ. ჩვენ დუქანში შემორეკილ ხალხს ერთი ფირალი დუჟყენეს ყარაულათ. ამ დროს ბოლქვაძე მოუკლა მიქელაიშვილს ბაზრის ყარაულმა, ვარდენა ცინცაძემ. აი ბოლქვაძე დატიეს მკვტარი. ერთი საათის მერე ჰრისთავი გედევან ჟღენტი მოვიდა და მკვტარი ბოლქვაძე შემოათრევია ქუხნაში ხალხს“-ო.

ამის შესახებ გაზ. „ივერიის“ ცნობაც არის. ერთი კორესპოდენტი წერდა: „ჩვენ, ჩოხატაურელებს, აგვისტოს 29-ს საღამოს 8 საათზედ, ფირალები გვესტუმრა მიქელაიშვილის თაოსნობით ექვს კაცამდე. ერთი ლამის მოდარაჯე დაექირათ და ებრძანათ: „ბერაძის დუქანში მიგვიყვანე“-ო... ცინცაძის დუქანში მიეყვანა ავაზაკები, რომლებმაც დუქანი გაძარცვეს. ფულად 800-ს მანეთამდე წაეღოთ, აგრეთვე ვექსილები და სხვა ძვირფასი ნივთები, 1000 მან. ღირებული. ერთმა ლამის მედარაჯეთაგანმა ვ. ცინცაძემ ფირალების ერთი მახლობელთაგანი მოჰკლა“— „როცა საქმე მიწყნარდა და მტირალთ თვალთ ნაკადული შესწყდათ, ბოქაულიც მობრძანდა თავის „სტრაჟით“ („ივერია“ 1892 წ., №№ 188, 190 და 232).

„ივერიის“ სამი ნომერი შეეხო ამ თავდასხმას. რამდენი წაიღო მიქელაიშვილმა ვაჭარ ცინცაძესაგან ამის გაგება ძნელია, რადგან ერთი ნომრის ცნობით 1800 მან. წაიღეს, მეორეთ კი—1500 მან.

ამ აქტის შესახებ ხალხს ლექსიც შეუქმნია. ლექსი სიზუსტით აღნიშნავს თავდასხმის თარიღს:

„ათას რევას ვოთხმოცდა თორმეტში,  
მარიობისთვის ვოდდა ცხრაში,  
თავზე დაგვეცა ფირალი,  
ჩვენ ვიჯექით შვა ბაზარში“-ო<sup>1</sup>.

ამ თავდასხმის დროსაც მისთვის დამახასიათებელ შერჩევას ახდენს მიქელაიშვილი: მეფურნეს, რომელიც თავისი შრომით ცხოვრობს, არ სძარცვავს; ჩოხატაურის დიდ ვაჭარს, მასიკო ცინცაძეს კი, თავს ესხმის და ფულს ართმევს, როგორც გადმოცემაში, ისე გაზეთის ცნობაში მკაფიოდ არის მოცემული მაშინდელი მოხელეების სისუსტე და გაუბედაობა: ბოქაული, მხოლოდ მიქელაიშვილის წასვლის შემდეგ ბედავს საჭირო ადგილზე მისვლას. ასეთი შემთხვევები იმ დროს გურიაში ხშირი იყო.


1893 წლის ნოემბერში მიქელაიშვილი იმერეთში გადადის. „ივერია“ წერდა: „აქ გავრცელდა ხმა, რომ ვითომ გურიაში გავარდნილი ყაჩაღი მიქელაიშვილი ქუთაისში იმალება“-ო. („ივერია“ 1893 წ. 4 ნოემბერი, № 237).

მთავრობამ რეპრესიები გააძლიერა მიქელაიშვილის შესაპყრობად. სოფ. მელექედურში გაგზავნეს მამასახლისად ს. წერეთელი, თავისი მკველებით. სოფელი ვალდებული იყო წერეთლისათვის წელიწადში ათასი მანეთი ეძლია. „ივერიის“ კორესპოდენტი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ეს გადასახადი მთელს სოფელს უნდა გადაეხადა—თავად აზნაურებსაც და გლეხებსაც, მაგრამ ამ ბოლოს „მთელი გადასახადი მამასახლისის შესანახავად მარტო გლეხებს დააწვათ“-ო („ივერია“ 1893 წ. 21 სექტემბერი, № 201).

ამ ხერხმა არ გაამართლა პოლიციის მოლოდინი. ხალხი წელში გაწყდა გადასახადის სიმძიმით, მაგრამ ფირალი მიქელაიშვილი არ გასცა. ხელისუფლებამ მეორე გზას მიმართა—სოფელში ჩააყენა ეგზეკუცია. მიქელაიშვილი თავს დაესხა ეგზეკუციას, ერთი ჯარისკაცი მოუკლა და აიძულა სოფელი დაეტოვებიათ. „დათავს გულიზა სოფელჩი ეგზეკუცია ჩამუაყენეს. ხალხი შეგვაწუხეს, მარა დათავ მაინც არ გავეცით. შეწუხთა დათაიე ამით და ერ დღეს წამოიყვანა ილიკო ამალლობელი და სალუქვაძე და სამივე დიეცენ ჯარს თავზე და უუტეხეს სროლა. ერთი ჯარისკაცი მოკლეს და ერთი დაჭრეს. მთავრობამ იფიქრა, სულ ამოგვეყვებენო და ეგზეკუცია მოხსნა სოფლიდან“. (მოგონება გადმოგვცა ვლადიმერ ჟღენტმა).

<sup>1</sup> მთქმელი ბარნაბ სიხარულიძე, ჩოხატაური.






მიქელაიშვილის შიშით რომ ეგზეკუცია მართლაც მოიხსნა, სოფ. მეღეჭედურს ლიდან, ამის იგივე „ივერია“ ადასტურებს: „ოზურგეთი: კვირას, 31 მაისს, ყაჩაღებმა ხელახლა მოგვაგონეს თავი. სოფ. მეღეჭედურს მოჰკლეს ერთი ყაზახი რუსი და ორიც დასჭრეს და ტყესა და ღრეს მისცეს თავი. ყაზახები დიდი ხანია იდგნენ ამ სოფელში ყაჩაღთა წინააღმდეგ სამოქმედოდ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ განკარგულებამ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი“-ო. პოლიციამ ახლა სხვა ხერხს მიმართა: დაიჭირა მიქელაიშვილის მამა როსტომი და გადაასახლა. უკვე დაპატიმრებული ძმა, ნესტორ მიქელაიშვილი. პოლიცია უფრო შორს წავიდა: შეადგინა სოფელში რაზმი, რომელსაც მიქელაიშვილის სიკვდილში ჯილდო დაუნიშნა.

„ოზურგეთი. ივნისის პირველ რიცხვებში გურიანთის ნაწილის საბოქაულოს ორმოც-და-ათამდე საპატიო თავად-აზნაურობამ და საბოქაულოს ყველა სოფლის მამასახლისებმა მოიყარეს თავი ბოქაულს ფიცხელაურთან... შემდეგ გადასწყვიტეს: შევადგინოთ ახალი რაზმი ოც-და-ათიდან ორმოც კაცამდის ავაზაკების შესაპყრობლად ჩვენის ხარჯით სამის თვის განმავლობაში. უკეთუ ამ ვადის განმავლობაში მოახერხებს ვინმე და ან მოჰკლავს, ან დაიჭერს ავაზაკებს: მიქელაიშვილს, ამადლობელს და სალუქვაძეს, თითოეულის დაჭერაში ანუ მოკვლაში მიეცეს საჩუქრად ერთ-ხნობით შვიდასი მანეთი, ხოლო ვინც ავაზაკების მიერ დაიჭრება, ანუ მოკვდება, იმათ მიეცეთ თითოეულს სამასი მანეთიც ერთ-ხნობითვე... საგანგებო რაზმი გამოეწყო და ჩაჰბარდა თავად ჯიბრაილ ყიფიანს<sup>1</sup> („ივერია“ 1892 წ. № 130, ივნისის 23). მაგრამ ვერც ფულმა გასჭრა. თავად-აზნაურობას და მამასახლისებს არ გაუმართლდათ იმედი. მიქელაიშვილმა ამის შემდეგ ორი წელი იფირალა და პოლიციის საფრთხობელას წარმოადგენდა.

1893 წ. დეკემბერში ის შვიდი კაცი თავს ესხმის იმერეთში ერთ მდიდარ ვაჭარს და ართმევს ფულს და აბრეშუმს („იხ. ივერია“ 1893 წ. № 272, დეკემბრის 16). პოლიციამ გააძლიერა რეპრესიები. შეიპყრეს და გადაასახლეს მიქელაიშვილის ახლო ნაცნობებიც.

„ოზურგეთი: დღეს (31 იანვარს), საღამოს შვიდ საათზედ, აქაურ საპატიმროდან გაიქცნენ ტუსალები: ისონ შავიშვილი და ვლადიმერ ჟლენტი, რომელთაც ბრალდებოდათ ავაზაკ მიქელაიშვი-


<sup>1</sup> როგორც მოგონებებიდან ჩანს ეს ყიფიანი თითონ თავდასხმელებმა მოჰკლეს წინასწარი განზრახვით მიქელაიშვილზე თავდასხმის დროს, როცა მიხელა დლონტი იქნა დაჭერილი და სალუქვაძე და ამადლობელი მოკლული.



ლის ამხანაგობა“, (1893 წ., „ივერია № 26). აქ მოხსენიებულია ვლადიმერ ჟღენტი ამჟამად ცოცხალია, ცხოვრობს მეღვინეობაში და არის 76 წლის. ის გვიამბობს, რომ ამ გაქცევის შემდეგ გურიის მარშალ, სიმონ გუგუნავას დახმარებით შეფურიგდი მთავრობასო „მისი (დათას, ა. ხ.) გულიზა დეიჭირეს დათაეს ძმაი და დაჭერილი ვიყავი მეც... მე ვოზრუგეთიდან გევიქეცი და სიმონ გუგუნავას (გურიის მარშალი იყო) ვთხოვე დახმარება... ჩვეედი ვოზურგეთში, მარა მაინც დამიჭირეს და გამაგზავნეს ქუთაისის ციხეში. ქუთაისიდან გადამასახლეს არლოვში ხუთი წლით. გადასახლებაში სამ წელიწადზე მეტი აღარ ვყოფილვარ, იმიზა, რომე სიმონმა დამეხმარა, მერე ხალხმაც შუამდგომლობა აძრა თავრობაში: ფირალი დათაე მიქელაი-შვილი ქე მოკალით და აი კაცი იმის გულიზა იყო დაჭირული. გუუ-შვით აი კაცი, მოგვეცით საზოგადოებასო. მე გამომიშვეს“-ო.

მიქელაიშვილი წუხდა, რომ მისი გულისათვის აწიოკებდნენ სოფელს და პასუხისგებაში აძლევდნენ ხალხს შვილებს. მას სინიღისი სტანჯავდა და ხმარობდა ყოველგვარ ძალღონეს შეემსუბუქებინა სასჯელი ხალხისათვის. მან გაანთავისუფლა სოფელი ეგზეკუციისაგან, მაგრამ ეს არ კმაროდა. მისი მიზეზით გადასახლებულ ხალხს ეკონომიურ დახმარებას უწყევდა. ხმარობდა სხვა ხერხსაც, რომ თავის გამო პასუხისგებაში მიცემული ხალხი გაენთავისუფლებინა.

„ქუთაისში მიქელაიშვილის გულიზა—გადმოგვეცემს ჟღენტი—დეიჭირეს სამი ძმები კეკელიძნები. დათაიამ გეიგო, რომ ამ დღეს ასამართლებენ კეკელიძნებსო. შევიდა ანათორა ვადაცმული სულში. წინდაწინ მოწმები ხავდა გაფრთხილებული, ასთე და ასთე ილაპარაკეთო. ვექილსაც წინდაწინ გუუგზავნა კეკელიძნების დასაცავათ ფული. სულს ღვედელი ეგონა და აფერი არ უთხრეს. მოწმებმა ვერ გაბედეს გლახა რამის თქმაი და ყოლიფერი კაი ილაპარაკეს, დათაე რომ დეინახეს. მიქელაიშვილი ყველას ეხმარებოდა ფულით. ყველას ფულს უგზავნიდა ვინც მისი გულიზა დაჭირული იყო, ან შეწუხებული. მეც მიგზავნიდა ფულს ციმბირში“-ო. ხალხის შევიწროება ისე აწუხებდა მას, რომ ზოგჯერ თითონ იგდებდა თავს მახეში. მაგ. ის მღვდლის ტანისამოსით შედის ქუთაისის გუბერნატორთან, ესაუბრება მთელ საათს, და შემდეგ უკან დაბრუნებული გუბერნატორს წერილს წერს: თითონ მე ვიყავი თქვენთან და ვერ დამიჭირეთ, ხალხი რა დამნაშავეა, რომ აწიოკებთ. თითონ თქვენს კანცელარიას ჩაუყენეთ ეგზეკუცია, ხალხთან რა გინდათო. (იხ. „ეგ. ნინოშვილი“ I ტ. სიმონ ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 376). ხალხმა იცის, რომ მიქელაიშვილი მისი საკუთარი შვილია, მისი საკუთარი ძუძუთი აღზრდილია, ამიტომ



მას განსაკუთრებულ პატივს სცემს. ერთი მოგონება გადმოგვითხრობს: „მამაჩემთან ნენამ სადილი გამატანა ყანაში. როცხა ტყეში შევედი გზაზე ტყიდან გამოვიდა სკელი კაცი, მემის პალტო ეცვა და მორი-დებით მითხრა: ბიძია თუ შეიძლება მშობა და პაწა სატყელო მომეციო. მე შემეშინა ურცხო კაცის და მივეცი... მამამ მითხრა: რამ შეგაშინავო. ვუთხარი, ასთე იყო მეთქინ. მამაჩემს გიეცინა, რა უჭირს მერე, მე რომ მეყოფა იმდენი მაინც ქე დუუტოვებიავო. თურმე მამაჩემი დედაჩემს ყოველთვის ერთი კაცის საგზალს მეტს აგზავნიებდა ყანაში, რადგან დათაიე მიქელაიშვილს ელოდა ყოველ სადილათ“-ო. (მახარაძის რ. სოფ. გომის მცხ. მელიტონ ჟღენტის მოგონება). არა თუ ხალხი, „ივერიაც“ კი, მაშინდელ ცენსურულ პირობებში ახერხებს დაბეჭდოს ისეთი ცნობა, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებს სახელს უტეხდა და მიქელაიშვილს აღიდებდა. „შემოქმედი (გურია). მამასახლისი დაგვეკარგა და ველარ გვიპოვნია. ბეჭედი და ჯაჭვი თან წაიღო. ამბობენ, ფირალ მიქელაიშვილის დასაჭერად არის წასული“-ო. („ივერია“ 1893 წ. № 271).

მიქელაიშვილი არსენას ტიპის ფირალია. თავს ესხმის ვაჭრებს, მემამულეებს, ჯაშუშებს, ჟანდარმერიას. ბოქაულ ვაშალომიძეს რამდენჯერმე უნიშნავს ადგილს შემხვდიო. ერთხელ უცბად ხვდება ღამით მას. ერთი მთქმელი გადმოქცევს: „ერჯელ ღამე პრისთავი ვაშალომიძე შეხთა გზაში დათაიას. ვაშალომიძემ იცნო და ხელი ლეკურზე გეიკრა და დუუძახა—ვინ ხარო. დათაე მივიდა და რომ იცნო პრისთავი, ესროლა და მაჯაში დაჭრა“-ო.

უფრო დაწვრილებით ცნობას ამის შესახებ გვაწვდის იგივე „ივერია“. „ფირალებმა... 18 ამ თვისას, საღამოს ჟამს, სოფ. მელექედურში შეხვდნენ ნაცვალს, რომელსაც მდევრად სთვლიდნენ თურმე... ამოიღეს სამართლებელი და ერთი მხარე თმა, წვერ-ულვაში და წარბი გაპარსეს და აგრე სასაცილოდ გაუშვეს... ოზურგეთში ამოყვეს თავი. აქ პოლიციის ბოქაული ვაშალომიძე უცაბედად შეეჩხნა იმათ. ბელად ფირალ მიქელაიშვილსა და ვაშალომიძეს შორის მოხდა ძიძგილი და, რადგანაც ეს უკანასკნელი უთოფო იყო, მიქელაიშვილმა იდროვა, თოფი ესროლა და მსუბუქად დაჭრა ბ-ნი პოლიციის ბოქაული ორსავე ხელში“-ო („ივერია“ 1892 წ. აპრილის 23, № 84).

ასე; პოლიციის მოხელეებს, პირდაპირ მტრებს იარაღით უსწორდებოდა, ჯაშუშებს სამარცხვინოთ გაუშვებდა, რომ ყველას გაეგო მათი ჯაშუშობა და ამ საზიზლარი ხელობისათვის თავი დაენებებინათ. მშრომელი ხალხის ბედ-იღბალზე კი, ოცნებობდა და სწუხებდა. არსენასებურია მისი მოქმედების პრინციპი. არსენას შესახებ ვკითხულობთ: „არსენას მოკვლის შემდეგაც თურმე, კარგა ხანს



სწევდა მისი ამხანაგები ყაჩაღობას და იგინიც ისე ასრულდნენ ყველაფერს, როგორც არსენა. ივინი არსენასაებრ კარგს კაცებს არავის სცარცვავდენ“-ო. (იხ.) „ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ I წიგნი 1925 წ., გვ. 131 „არსენა ოძელაშვილი“).

მიქელაიშვილიც ასეთი ტიპის ფირალი იყო. ამ დებულების სისწორეს გაზ. „ივერია“ ადასტურებს. იგი წერდა: „თუ საქმის ვითარებას ცოტა ღრმად დაუჭკვირდებით, დავინახავთ ერთს საოცარს მოვლენას—ეს არის საზოგადოების, ხალხის თანაგრძნობა ყაჩაღის მიმართ. დიად, თანაგრძნობას და მერე როგორს. „არსენა“, „ს ი მ ო ნ ა“, „ზ ა ქ რ ო“, „კ ა კ ო“, „მ ი ქ ე ლ ა ი შ ვ ი ლ ი“ და სხ. ხალხის სათაყვანებელ საგნად გამხდარან“-ო. („ივერია“ 1902 წ. № 246. ხაზი ჩემია, ა. ხ.). როგორც დავინახეთ მიქელაიშვილი არსენასთან იხსენიება და გვგონია, რომ ეს სავსებით სწორია.

### ღალატის მოგზაუბრა

ვლადიმერ ჟღენტი გადმოგვცემს, რომ:

„იმას (მიქელაიშვილს, ა. ხ.) უღალატა ჩხაიძემ და ბურძგლას ქალმა. ჩხაიძე ვაჭარი იყო და ბურძგლას ქალს უთხრა: თუ მაშონიფე დათაიას, შეგიერთავო, უწინ ამ ქალს სისონაჲ დარჩია ყვარობდა და ამიზა აი ქალი დეიჭირა თავრობამ. ამ ღროს ციხეში მიქელაიშვილი იჯდა. ბურძგლას ქალმა უთხრა ციხის ყარაულს, თუ დათაეს კამერაში შემეშოფ და დათაიას მანახეფე, თავს დაგანებეფო. ყარაულმა პირობა მისცა და დათაიე ბურძგლას ქალთან ლამე გუუშვა გალაჲანში. დათაიამ ისკუბა და გადმოხტა ციხის ეძოდან... რამდენიმე ხნის მერე ბურძგლას ქალი გამუუშვეს ციხიდან. ახლა მას დაავალეს უნდა გვიშონო დათაიეფო. თან ჩხაიძეც შუუჩითა... წევიდა აი ქალი და მივიდა მგელაძისას, საცხა დათაიე იყო დამალული და უთხრა მასპინძელს — დათაეს ნახვა მინდა და მანახევეო. მას ხომ არ დუუმაღავდენ დათაიეს იქინე ყოფნას და ანახვეს. ამით გეიგო, რომ დათაიე იქინე იყო და შეატყობია ჩხაიძეს. ჩხაიძემ თავრობას გააგებია“.


### თავდასხმა და სიკვდილი

„ლამე ბათომიდან წამევიდა ჯარით ვეზდნაჩანიკი. დათაიასან თედორე ცხომელიძე იყო კიდო ფირალი. დათაიამ პოლი ამოტეხა და გამოვიდა გარეთ. პოლის ამოტეხას კი ვერ გეიგებდა ჯარი, მარა ბურძგლას ქალმა უთხრა: ე, პოლი ამოტეხა, ხომ ხედავთო. დააყარეს ზალბი და მოკლეს“-ო. ეს გადმოცემა სწორია. გაზ. „ივე-

რია“ მიქელაიშვილის მოკვლის შესახებ რამდენიმე ცნობას გვაწვდის იგი წერდა: „ჩვენ გვაცნობებენ დეპეშით ლანჩხუთიდან, რომ 19 დეკემბერს მოუკლავთ აკეთში ყაჩაღად გავარდნილი მიქელაიშვილი“-ო. („ივერია“ 1893 წ. 21 დეკ., № 276). ხოლო შემდეგ ნომერში „ივერიის“ კორესპოდენტი ვ. წულაძე ასე აღწერდა ამ მკვლელობის ამბავს: მიქელაიშვილი მოკლეს აზნაურ ვარდენ მგელაძისას. ამავე დროს მოკლეს მასპინძლის ერთი ძმა. მიქელაიშვილთან ყოფი ფირალი ცხომელიძე კი, თავის ნებით გამოცხადდა პოლიციაშიო. („ივერია“ 1893 წ. 30 დეკემბერი, № 282).

გაზ. „კავკაზ“-ის ცნობით მიქელაიშვილის თავდამსხმელი ყოფილა ბათომის მილიციის უფროსი აბდუშელიშვილი და ოზ. მაზრის უფროსის მოადგილე დადიშქელიანი.

„Убийство разбойника: Из сел. Акеты Озургетского уезда, нам сообщают: „Известно в каком осадном положении держал известный разбойник Микелай-швили целый Озургетский уезд в продолжение многих лет местная полиция несколько раз пыталась его задержать, но он всегда ловко скрывался, находя пристанище у местных жителей. Недавно до администрации дошел слух, что Микелай-швили скрывается в сел. Акеты, где он гостит у крестьянина этого селения Геладзе. Немедленно из Батума телеграммой была истребована земская стража и помощником уездного начальника кн. Джасухом Дадишкелиани и начальником Батумской стражи Абушелашвили, был оцеплен дом Геладзе... вышел Микелай-швили, вооруженный с головы до ног, но он... получив пулевую рану в левый глаз, он... пытался стрелять но один из стражников нанес ему в голову кинжалом рану и повалил на землю. С Микелай-швили находился другой разбойник, который, бросив ружье, убежал и скрылся. Несмотря на сильные поиски, он пока еще не задержан. Убит, вместе с Микелай-швили, хозяин дома, где он скрывался, крестьянин Геладзе“. (газ. „Кавказ“ 21-го декабря, 1893 г. № 338. сб. აგრეთვე გაზ. № 337). როგორც „ივერიის“ ცნობიდან ირკვევა, ცხომელიძე ამ თავდასხმის შემდეგ პოლიციას ჩაბარებია. მიქელაიშვილი, რომ ღალატით არის მკვლარი ამას ადასტურებს „Кавказ“-ის ცნობა: „до администрации дошел слух, что Микелай-швили скрывается в сел. Акеты, где он гостит у крестьянина этого селения Геладзе“.



როცა მოკლეს ის ყოფილა 30—32 წლის. გაფირალების დროს 25 წლის, ხოლო უფირალია 7—8 წელი. ამ ანგარიშით ის დაახლოებით ბული უნდა იყოს 1860—63 წ.

ყოფილა „მაღალი, სკელი, იშვიათი სილამაზის... ატარებდა წვერს“ (გადმოცემანი). ხალხი თავის სადა, მიმზიდველ და ღრმა ლექსებში ქებას ასხამს თავის საყვარელ შვილს. გმირი ყოველთვის იმარჯვებს ხალხის ფანტაზიაში. მას ვერცერთი ძალა ვერ დაამარცხებს. პოლიციის ბრძოლას. მიქელაიშვილის წინააღმდეგ ხალხი ასე გამოხატავს:

„თავრობა მზღვეს და მექადნის,  
 გიჟივით მომდის სიცილი;  
 შემხთენ, სროლაში ვაჯობე,  
 ტერებს ვაჭამე სირცხვილი“-ო<sup>1</sup>.

ხალხი გრძნობს, რომ ფირალი უსამართლობის მსხვერპლია; რომ სხვაგვარი წყობილების დროს, თავისუფალ ქვეყანაში, ის პატიოსანი, სათნოებით სავსე და კეთილი ადამიანი დადგებოდა:

„ტანჯვას ჩემზე დაარსებით  
 გავლენა აქ შესაფერი;  
 ცუდს არაფერს არ ვაშავეფ,  
 მაინც არ მაყენებს ტერი.

. . . . .  
 ვინ მეტყვის და ვინ მიხთება  
 რა ცეცხლია ჩემი მწველი;  
 რადგან გაუტანელია,  
 საწუთრო და ეს სოფელი“-ო<sup>2</sup>.

იშვიათი მხატვრული ძლიერებით ხატავს მშრომელი ხალხი თავის გმირის ტანჯულ ცხოვრებას. მას ეცოდნება გმირი; მის ცხოვრებას ისეთი მძაფრი სახეებით გამოხატავს, რომ ადამიანის ემოციებზე, მის სულიერ სამყაროზე ეს მგრძნობიერი სიტყვები გამანადგურებლად მოქმედებენ. თქვენ გრძნობთ ამ დროს უდიდეს მწუხარებას და სიცოდვეს უსამართლოდ დატანჯული, ცხოვრების უკუღმართობის, მეფის სატრაპების მიერ განადგურებული ადამიანის მიმართ:

<sup>1,2</sup> მთქმელი ხუსეინ ბაჯელიძე.

„ამ შემთხვევით მოგახსენებ  
ჯერეც არ ვარ გუნებაზე;  
ჩოულებრივ მოკლებული  
ლხინში დროის ტარებაზე;  
ღმერთო, ის დღე მომასარი,  
თავისუფლათ ჩემ ნებაზე;  
ეს რომ ამისრულდებოდეს,  
ვგონებ ხელს მოვკიდებ ცაზე“-ო<sup>1</sup>.

ფირალი ხალხის პირმშო იყო, და ამიტომ იგი იტანჯებოდა მშრო-  
მელი ხალხის უბედურებით, თავად-აზნაურობის, სამღვდელოებისა  
და პოლიციის აღვირ-ახსნილობით.

„გული ისე მაქ უშიშრათ,  
როგორც კაქი და ფოლადი,  
მაგრამ ვერ უძლევ ხალხის სჯას,  
ბოღმით სავსე ვარ ყელამდი“-ო<sup>2</sup>.

ამიტომ იყო მიქელაიშვილი, ხალხის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„მიზანზე მიუწვდომელი,  
ვით უკვტავების წყაროზე“.

ის მშრომელთა შვილი იყო და ხალხმა თავის შემოქმედებაში  
იგი ღირსეულად შეაფასა.

მიქელაიშვილის შესახებ მხოლოდ ორი სხვადასხვა ლექსი ჩა-  
წერეთ. მათი ვარიანტები ჯერჯერობით არ მოგვეპოება.

---

<sup>1-2</sup> მთქმელი ხუსეინ ბაჯელიძე.

## ფირალი ხუსეინ ბაჯელიძე

იყო ი. დათუნაიშვილის, დარჩიების და დ. მიქელაიშვილის ამხანაგი. მისივე გადმოცემით ხუთ წელს იფირალა. ბოლოს ყვავილის ავადმყოფობით დაბრმავდა და მთავრობას შეურიგდა. ახლა ცოცხალია. ცხოვრობს ქობულეთის რაიონში, სოფ. ხუცუბანში. მეჩონგურეა. აქვს საკუთარი ლექსები. მანვე გადმომცა დათა მიქელაიშვილის ლექსი და აგრეთვე საკუთარ თავზე შეთხზული ლექსიც. ამჟამად 83 წლის არის. 1937 წ. საქ. რესპ. ოლიმპიადაზე ჯილდო მიიღო, როგორც კარგმა მეჩონგურემ.





სურ. 1

90-ანი წლების ფირალი ზუსეინ ხუშუტის-ძე  
ბაჯელიძე, ახლა ცოცხალია.

## ფიკალი ილარიონ დათუნაიშვილი

ფირალი ილარიონ დათუნაიშვილი ს. დარჩიას თანამებრძოლი და ამხანაგი იყო. 1889 წ. 7 სექტემბერს ს. ბაილეთში მასზე და დარჩიებზე ესე გურიელის „ზემსკაია სტრაჟის“ თავდასხმის დროს, დათუნაიშვილი შეიპყრეს. მოლაღატე ყოფილა მიხეილ ნინიძე და თვით დარჩიების რძალი, აღათია. ვლადიმერ ჟღენტის ამის შესახებ გადმოგვცემს:

„სისონაჲ, ვასილაჲ და ილარიონა დათუნაიშვილი ქე არიან სისონასას. ქალმა სადილი აჭამა ფირალებს, მერე იგენს დიეძინა და მან შეატყობია ნინიძეს. დიდი ჯარი დიეცა ფირალებს. ჯარს ახდა: ნინიძე, ესე გურიელი, იაგოროვი (ვეზდის ნაჩანიკი) და ლევან გურიელი (ესეს შვილი). სულ სამოც კაცამდი იქნებოდა. თავზე დღეი დიეცენ... რამდენ სტრაჟას მოკლავდენ ფირალები, იმდენ ურას იძახოდენ. სულ სამი მოკლეს: სარიშვილი და კვესიოდლები<sup>1</sup> — სტრაჟები. მერე სისონამ მითხრა, რაფერ ყოფილიყო საქმე: „გადავწყვიტეთ გარეთ გამოსლა ყველამ. გადავკოცნეთ ერთქამეტი, დავემშვიდობეთ და გამუარდით გარეთ. პირველათ მე გამუარდი და იმფერ არდგილძე ვიშონე შესაფარი, რომ სტრაჟები ვეფერს დაგვაკლებდა და დუუძახე ვასილას და ილარიონას აქეთ გამეიქეცით მეთქინ. მარა იგენმა ვერ გეიგონეს. ჩემ მერე ვასილა გამოხტა გარეთ, მარა მოკლეს. ამის მერე ილარიონა ლომივით გამუარდა და გევიდოდა, მარა ხრამში ჩავარდა. ხეზე მიეტანა ხელი, მარა ხემაც ველარ შეიმაგრა, მძიმე იყო. გიორგი ღლონტმა (ესეს მოურავმა) დიედევნა, მარა იგიც ილარიონასან ჩავარდა. ისე დეიმტრა ღლონტი, რომ ლოგინით წვილეს. ილარიონა ურმით წვიყვანეს“—ო.

ხალხმა ი. დათუნაიშვილზე თავდასხმისა და შეპყრობის შესახებ შექმნა ლექსი, რომელშიაც ნათლად გვიჩვენა ამ ღალატის მომწყობნი:

<sup>1</sup> აქ მოქმელი ცდება:—ოფიც. ცნობით მოკლეს არა კვესიოდლები, არამედ სტრაჟნიკი კაკალოლი და ერთი მათი მახლობელთაგანი, ა. ხ.

„თურმე ნამუსს ვერ გეიტანს,  
ვერც დიდი და ველარც ცოტა,  
აფხანაყის რძალმა გაგვცა,  
დაგვასია სტრაჟის როტა.

მე მიხელაი ნინიძე  
ხომ ძმასავით მეპყრობოდა,  
წინდლით ვახშამი, რომ ვჭამეთ,  
ნაგახშმობებს გამყობოდა,  
თურმე ჩვენ ღალატს აწყობდა,  
მაგრამ რაში ეტყობოდა“-ო<sup>1</sup>.


ამხანაგის რძალი, რომელზედაც ლაპარაკია ლექსში, არის სისონასა და ვასილა დარჩიების ძმის ცოლი (სისონასა და ვასილას გამო ამ დროს დაპატიმრებული იყო მათი ძმა, რომლის ცოლი, ალათია აიძულა პოლიციამ ღალატი მოეწყო). ამ ღალატის მეორე მთავარი მონაწილე მიხელ ნინიძეც ყოფილა, რომელიც ი. დათუნაიშვილს ჯარის თავდასხმის დროს მოუკლავს. ერთი მთქმელი გადმოგვცემს, რომ: „ილარიონამ ნინიძე მოკლა პირველათ“-ო.

ეს მომენტი ლექსშიაც არის ასახული:

„მე რომ კარში გამუედი,  
მაშენ შეეშინა ყველას,  
ნინიძე გამოვათხოვე,  
მისი ბატონისა მზერას“-ო<sup>2</sup>.

ნინიძე, გადმოცემის თანახმად, ესე გურიელის მოურავი იყო. ხრამში გადავარდნილი ი. დათუნაიშვილის მდგომარეობას წარმტაცი ფეროვნებით და სიძლიერით გვაძლევს მშრომელი ხალხი. იგი თავის შვილს, ვაჟკაცური თვისებებითა და სიძლიერით აღსავსეს, ლომს ადარებს. დათუნაიშვილი ფიზიკურად დიდი ტანის ვაჟკაცი ყოფილა. ხალხი ხოტბას ასხამს მის სივაჟკაცეს და ძლიერებას, სამაგიეროდ გამანადგურებელი ჭუმორით მიწასთან ასწორებს პოლიციის „სტრაჟინკს“, გ. ღლონტს, რომელიც დათუნაიშვილს დაედევ-

<sup>1,2</sup> მთქმელი ი. ჭანუყვადე.



ნა და თითონაც დათუნაიშვილთან ჩავარდა ხრამში. გასაოცარი სადავითა და მხატვრული შედარებით მოგვცა ხალხმა ეს მომენტი<sup>1</sup>

„თოფი შორ გადამივარდა,  
 მე, რომ ხრამში გადვიჭერი;  
 ხელჩი მქონდა და გამიტყტა  
 კაზიონი ლევერველი.  
 წარმოიდგინეთ რას ვიგდი  
 რადგან უცეფ გადვიჭერი:  
 დიდხანს ჩემთან ვერ მობედენ,  
 იქვე იყვენ განაშტერი.  
 გუნებაში გადავწყვიდე  
 ამ საათში მოგვკტე უნდა;  
 მოდით და ამომიყვანეთ,  
 ხედავთ ლომი დაძაბუნდა.  
 გიორგი ღლონტმა გეიგონა,  
 გამეიქცა, არ დაბრუნდა;  
 წეიქცა, იგიც დეიმტრა,  
 მიეწია ძველი ცოდვა.  
 მამა ჭეცხონდა მანამდი  
 ღალატობა მანც იცოდა;  
 რა უდროვოთ ქვრივდებოდა,  
 მისი ცოლი შემეცოდვა“-ო<sup>1</sup>.

დათუნაიშვილს ხალხი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა პატივს სცემდა და მის ვაჟეაცობას შენატროდა. ასე მაგ. „გაზ. „ივერია“ წერდა: ახალგაზრდები „16 ენკენისთვეს... შეკრებილან და... ჩამოვარდნიათ საუბარი ახლად შეპურობილ ყაჩაღების მეთაურ დათუნაიშვილზე... და ერთ იმათ ბელადს ერთბაშად დაუყვირნია: დედა შეერთოს ცოლად, ვინც ამ ფეხზე ყაჩაღად არ გავარდესო“ (იხ. „ივერია“ 1889 წ. 2 ოქტომბერი, № 208).

მეორე ლექსში, ის ვეფხვთან ჰყავს ხალხს შედარებული. დაჭერილ დათუნაიშვილს ჯერ ჩამოხრჩობა მიუსაჯეს და შემდეგ გადასახლებადა შეუცვალეს, მაგრამ გადასახლებიდან გამოიქცა.

ასევე დასცინის ხალხი არა მარტო გ. ღლონტს, როგორც მოღალატეს, არამედ საერთოდ ჯაშუშებს. საკმაოდ ვრცელ ლექსში, რო-

<sup>1</sup> მოქმედი ი. ჭანუყვაძე.



მელიც ქ. მახარაძის, სოფ. წითელმთის მცხ. მაშეკო ცისკარიძემ გვაწერინა, ხალხი ჯაშუშებს ზიზლით იხსენებს: „საზიზლარო ჯაშუშებო, რა გაქ კარგი დანათესიო“.

ამის შესახებ „ივერია“ 1890 წ. წერდა: დათუნაიშვილს უმუხთლა ბედმა, ხელთ იგდეს. წელს ივლისში სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. მთავარ მართებელმა შეიბრალა, სიკვდილით დასაჯელს ააცილა და სამაგიეროდ სამუდამოდ, უვადოდ კატორღაში ყოფნა მიუსაჯა. ამას შემდეგ დათუნაიშვილზე ლაპარაკი გათავებული ეგონა ყველას. ეხლა ელვის სისწრაფით შემოიბრინა ამ ამბავმა, რომ როცა მიამგზავრებდნენ რკინისგზით ყაჩაღებს ციმბირისაკენ ხელფებ შებოროკილებს, რამდენიმე გაიქცა და დათუნაიშვილიც იმ გაქცეულებშია“-ო.

პატ. დოც. დ. მ გ ე ლ ა ძ ი ს ცნობაც ადასტურებს „ივერიის“ ცნობას. მან გადმოგვცა: ილარიონ დათუნაიშვილი გადასახლეს, მაგრამ გზაში გაიქცა, გურიაში კი არ ჩამოსულაო. მართლაც გადასახლების შემდეგ ი. დათუნაიშვილს ჩვენ ვერ ვხედავთ გურიაში. მოსალოდნელია მან რუსეთის რომელიმე კუთხეში დაღია სული. ხუსეინ ბაჯელიძე გადმოგვცემს რომ, ის რუსეთ-იაპონიის ომამდე ცოცხალი იყო, რუსეთში ცხოვრობდა, წერილებს ვწერდით ერთიმეორესო.



## შიგალი მიხეილ ლლონტი


მიხეილ ლლონტი მიქელაიშვილის, მეხუზლას, დათუნაიშვილების და დარჩიების თაობას ეკუთვნოდა. მისი მოკვლის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ვადმოცემასთან ერთად ვაზ. „ივერიის“ ცნობებიც. „მიხელა ლლონტს—ვადმოგვეცემს ერთი მთხრობელი—ღამე თავზე დიეცენ სტრაჟნიკები. დათაე (მიქელაიშვილი, ა. ხ.) და სალუქვაძე მეზობლისას იყვენ თურმე. ჯარს ურადნიკი ვაშალომიძე ახდა და პირდაპირ შევარდა მიხელასან მოსაკლავათ, მარა მიხელამ მუასრო და დაჭრა ბარკალში. კიდო ერთი რუსი დაჭრა. დათაიამ და სალუქვაძემ რომ გეიგონეს თოფის სროლა, ვადმოხტენ მიხელას მისახმარებლათ. ჯარს პრისტავი ირაკლე ღუმბაძე ხელმძღვანელობდა. მიხელა გამუარდა ვარეთ, რომ გუუჭირდა ბელელში შევარდა და დუუძახა დათაის: მაგ ძაღლებს ნუ მუაკლიეფ ჩემ თავს, შენი ხელით მომკალიო. დათაიამ... ესროლა, მარა არ მოხთა მიხელას. მერე მიხელამ მისით მეიკლა თავი. დათაიამ და სალუქვაძემ გეიქცა, მარა თურმე იქით მევორე პრისტავი იყო. დაწვა დათაიამ და ესროლა. რომ დაღამდა მობრუნდა და ვორი სტრაჟა დაკოდა და ნიკოე ხმელიძე, პრისტავი მოკლა“-ო.

ამ ცნობის სისწორეს ამტკიცებს ოდნავი ნიუანსით „ივერიის“ ცნობაც: სოფ. „მელექედურში... 9 ამ თვისას, დილით, ძალიან ადრე, პოლიციის ბოქაული ბ-ნი ღუმბაძე და ბოქაულის თანაშემწე ჯარისკაცებითა და ყაზახ-რუსებით ვაემგზავრენ ოზურგეთიდგან... ბ-ნი ღუმბაძე მიდის პირდაპირ ლლონტის სახლში, სადაც ნახავს ავაზაკის მეუღლესა და წვრილ-შვილებს, რომელთ საცოდავი სანახაობა სიბრალულის გრძნობას აღძრავს იმის გულში და ურჩევს ამ მრულე გზაზე დამდგარ კაცის მეუღლეს, რომ თუ-კი იცი, სადაც არის შენი ქმარი, გამოტყდი, გვითხარი, შეგვარივე და შეიძლება სასჯელი შუუმსუბუქოთო... ავაზაკის მეუღლე, მხოლოდ „არ ვიცი“ უპასუხებს, მაგრამ ამასთანავე ძალიან ეტყობა აღელვება... აღელვებას ბოქაული ამჩნევს და მხლებელთ ეუბნება, რომ სახლი გაჩხრიკონ... სამს ავა-

ზაკს ერთად წასწყდომიან თავს... პირველად ღლონტი გავარდნილს  
გარედ, მაგრამ დაუჭრიათ... ცოტა ხნის შემდეგ კიდევ განუტევებია  
შრავალ ტანჯული სული. დანარჩენი ორნი გაქცეულან და გაქცევის  
დროს მოუსწრიათ ორის მდევრის დაჭრა, ერთის დარაჯისა, გვარად  
ვაშალომიძესი, და ერთისაც ყაზახ-რუსისა“, (იხ. „ივერია“ 1892 წ.  
10 მარტი, №№ 52 და 55).

ღლონტი მოუკლავთ მელექედურში 1892 წ. 9 მარტს. ის ფირა-  
ლად გავარდნილი უნდა იყოს 1890 წ. ეს იქიდან ჩანს, რომ გაზ.  
„ივ.“ აღნიშნავდა: „ი. გ. დუმბაძემ მოკლა ორის წლის გავარდნილი  
ყაჩაღი მიხეილ ღლონტი“-ო. ეს 1892 წ. მარტშია დაწერილი და  
ვეფიქრობთ, რომ 1890 წლამდე ის არ ფირალობდა.

მის შესახებ ლექსი არ შენახულა.



## ფიკალი სალუქვაძე

1892 წ. სალუქვაძე მსახურობდა ჯარში. მისი სამსახურის დროს ქ. ოზურგეთში ვილაცეებმა გაძარცვეს ვაჭარ ვასაძის დუქანი. ქურობობა სალუქვაძეს დააბრალეს და დააპატიმრეს. ამავე წლის 22 თებერვალს ის გაიქცა ოზურგეთის ციხიდან და შეუერთდა დ. მიქელაიშვილის რაზმს. მისი გაქცევის შესახებ „ივერია“ წერდა: ვასაძის დუქნის გაქურდვის გამო „სალუქვაძე, გამომძიებლის განკარგულებით, სამხედრო საპყრობილეში იყო დაპატიმრებული. ბრალდებული 22 ამა თვისას ღამით გაიპარა საპყრობილიდან და სადღაც მიიჩქმალა“-ო.

ამის შემდეგ სალუქვაძეს მიქელაიშვილთან ვხედავთ. 1892 წ. 14 ივნისს მას მიქელაიშვილთან, ამალღობელთან და ღლონტთან ერთად თავს დაესხა ჯარი პრისტავ ვაშალომიძის ხელმძღვანელობით, სადაც ის და ამალღობელი მოკლეს; ღლონტი დაიჭირეს; ხოლო მიქელაიშვილმა გაქცევით უშველა თავს.

„14 ივნისს დილით—წერდა „ივერია“... დაესხნენ თავს და.... ამალღობელი, გამოქცეული ნოგოროსისის საპატიმროდგან და სალუქვაძე ჯარისკაცად ნამყოფი, ისიც გაქცეული საპატიმროდგან, იქვე სახლში დახოცეს“-ო. („ივერია“ 1892 წ. ივნისის 23, № 130).

ამნაირად, სალუქვაძე სულ სამი თვის ფირალობის შემდეგ მოუკლავენ.

მის შესახებ ლექსი არ არის შენახული.



## ზიკალი ღათიკო შეგარდნაძე

ღათიკო ერდიშელის-ძე შეგარდნაძე ღაიბაღა სოფელ ასკანაში 1875 წ. ცხრა იენისს. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, მისი ყოფილი ცოლის—გულიჩკას გადმოცემით—ოზურგეთის „პროგიმნაზია“ დაუმთავრებია; ხოლო შემდეგ „სამ წელიწადს იყო ნავრასიაში პორტში მუშების უფროსათ“. გურიაში, რევოლუციონური მუშაობის გაცხოველებისას მხურვალედ მონაწილეობს ამ რევოლუციაში და ხდება მისი ერთგულ ჯარისკაცად. მას შეგნებული აქვს რევოლუციის მნიშვნელობა; შეგნებული აქვს მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საჭიროება. თავის ავტორობის ქვეშ დაწერილ ლექსში იგი მიმართავს ამხანაგებს, რომ მათ იბრძოლონ „აწმყო დროის შესაცვლელად“. მაგრამ შეგარდნაძე არ კმაყოფილდება მხოლოდ სურვილით. მან იცის, რომ დაქსაქსული, უორგანიზაციო ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არ გამოდგება და ამისათვის საჭიროა: „შეერთება ჯალათების შემმუსვრელად“.

ვის უნდა დაეყრდნოს ხალხი ბორკილების მტვრევის დროს? ვინ იქნება მისი გამანთავისუფლებელი? მის წინაშე, როგორც რევოლუციონერის წინაშე, ისმება ეს კითხვები. ვფიქრობთ, რომ შეგარდნაძე იცნობდა მეცნიერული კომუნიზმის მამამთავრების მარქსისა და ენგელსის ლოზუნგს, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშების საქმეა. თავის ლექსში შეგარდნაძე გარკვევით მოითხოვს, რომ მასა მხოლოდ თავის-თავს უნდა დაეყრდნოს ბორკილების მტვრევის დროს, [რომ მას (მასას) სხვა არავინ ჰყავს მშველელი:

„ხალხს უსურვოთ რომ შეიგნონ,  
რომ არვინ ყავს მას დამცველად;  
გარდა ერთი თავის-თავის  
გამომსვლელი ბრძოლის ველად.

. . . . .

ძირს, ძირს დაცეთ მუქთახორა,  
ჩვენვე დავდგეთ ჩვენდა მცველად“-ო<sup>1</sup>.

ამ პატარა ლექსში შესანიშნავად ჩანს, მისი რევოლუციონური პორტრეტი. მაგრამ აქვე მჭერმეტყველურად არის მოცემული ის მიზეზები, რომლებიც აიძულებდნენ ადამიანს ტყეში ეძია თავ-შესაფარი:

„მტარვალების ტლანქმა ძალამ  
გამომავდო მინდორ ველად“-ო<sup>2</sup>.

როგორი ექსპრესიით, რევოლუციონური ენტუზიაზმითა და სისადავით არის შესრულებული ეს პატარა ლექსი, აქ ისმის მებრძოლის მთელი ბუნება. აქ გამოაშკარავებულია მებრძოლის პოზიცია. ეს ლექსი თითონ ბრძოლის გამოცხადებაა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ არა მუხობური და სტიქიური ბრძოლის, რომელსაც უკვე განხილული, პირველი პერიოდის ფირალები აწარმოებდნენ, არამედ ორგანიზაციული შეგნებით და პრინციპიულობით არის თითოეული მისი ადგილი განათებული. ამ ლექსს გიტარაზე ამღერებდნენ გურიის და ყოველთვის მშრომელთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. შევარდნაძე მთელი თავისი ბუნებით დგას რევოლუციის სადარაჯოზე. ის ნასაკირალის თავდასხმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზატორთაგანია. ამ თავდასხმის დროს ასისტავად იყო დანიშნული. ერთი გადმოცემით ხიდისთავში „ი-ჩეიკის“ არალეგარულ კრებაზე „თავმჯდომარედ ერთხმად დაასახელეს დათიკო“... (გიორგი ლომთათიძის მოგონება). 1900 წ. ის ჩოხატაურში სოფლის მწერლად დგება. თავის თანამდებობას იყენებს რევოლუციისათვის. აძლევს პასპორტებს არალეგარულ ამხანაგებს და ატყობინებს მათ პოლიციის საიდუმლო განკარგულებებს.

მიუხედავად ამისა, გაუგებრობის საფუძველზე, ის კინალამ დაიღუპა: მას ტერორი დაუნიშნეს. ტერორისტებმა მასზე სამხელ მოახდინეს თავდასხმა. 1904 წლის „ივერიაში“, ამის შესახებ ვკითხუ-

<sup>1,2</sup> გადმომცა გულიჩკა შევარდნაძემ, იხ. აგრეთვე აღ. ლონტი „გურული ფოლკლორი“. გვ. 86, 1937 წ.



სურ. 2  
დათიკოა ვრდიშელის-დე შევარდნაძე



ლობთ: „27 დეკემბერს სოფ. ბახეში—ბასილია—ჩასაფრებია, გზაზედ მომავალს სოფლის მწერალს დ. შევარდნაძეს, რომლის მოკლად სდომებია, მაგრამ შევარდნაძეს მოუსწრია თოფის სროლა და ბასილია სასიკვდილოდ დაუჭრია“-ო („ივერია“ 1904 წ. № 232, უსუფ-აღა). ეს პირველი თავდასხმა იყო.

ამის შესახებ მისმა ყოფილმა ცოლმა, გულიჩკა შევარდნაძემ გადამოცა: „ჩონხატურში მუშავობდა მახარაძე, იგი პარტიის დავალებით ტერორისტობდა. დათიკოს ხავდა ნათლიე შალიკაშვილი, იგი შპიონი იყო. მახარაძემ პარტიის დავალებით მოკლა შალიკაშვილი. ამ დროს დათიკოს დავალებული ქონდა მოკლა შპიონი ქამჯარაძე. ერთ უქმე დღეს დათიკო და გოგიტიძე წვეიდა ეკლესიაზე ქამჯარაძის სასიკტილოთ. ქამჯარაძე ვერ ნახენ... იქიდან, რომ გამობრუნდნენ გზაში ვინცხას დიეთრო, მეიმლეროდენ და მევიდოდენ თურმე. დათიკომ სიმღერა არ იცოდა, მარა თვრალი იყო და ქე ახვა გოგიტიძეს. გზაში შეხთენიენ მახარაძე და მას გუჟცინია: რა კაი ხმით გამოდისო. გოგიტიძემ იწყინა აგი დაცინვა და წიეჩხუბა მახარაძეს. ამ ჩხუბში მახარაძე მოკლა გოგიტიძემ. თვითონ მახარაძის ტყვიით დეიჭრა... ეს ამბავი ყველამ დათიკოს დააბრალა იმიზა რომე მახარაძეს, მკტარი ხავდა დათიკოს ნათლიე შალიკაშვილი... და იფიქრეს დათიკოს ნათლიეს სისხლი აუღლიავო... ამის მერე დათიკოს დახთა გზაში ტერორისტი ბასილია და ესროლა, მარა დათიკომ მოასრო და ბასილია დაჭრა“-ო. ამ თავდასხმის დროსაც კი, ის ცდილობს არ გასცეს მისი მკვლელი, ბასილია. ის თითონ იხსნის ბასილიას დაპატიმრებისაგან. ამის შესახებ მოგუჟსმინოთ ამ სცენის ერთ-ერთ დამსწერთაგანს: ქ. მახარაძის რაიონის, სოფ. დვაბზუს მცხ. ი. მყავანაძეს:

„შევარდნაძის დამხთური იყო ვორი კაცი: პროფილე გოგიძე და ბასილია... ტერორისტები იყვენ ჩასაფრებული... ბასილიამ დუჟდახა: დათიკო დაგვჩი, ველარ წახვალო. ამის დაძახება და სროლა ერთი უქნა... დათიკო წიეიქცა და ტყვია აიცდინა, მერე წამოხტა და გეიქცა. მას დიედევნა ბასილია და გოგიძე. რუმ აღარ ჩამოსცილდენ, შევარდნაძემ ხელუკუღმა ესროლა ბასილიას და დაჭრა მკერდთან. ბასილია ეიყვანეს და იქინე მომალლო ადგილზე დადვეს. შემოგეხიეთ ყველა და ვშინჯავდით სა ქონდა ჭრილობა. ამ დროს მოვიდა პრისთავი. თურმე დათიკო არსა არ წასუღიყო, როცა პრისთავი მოვიდა, მაშინ ჩამოვიდა შევარდნაძე. პრისთავმა მიიძახა: რა დაგემართა შევარდნაძევე, რაშია საქმევე. დათიკომ უთხრა: მე არაფერი არ ვიცი, გზაში მოვიდოდი, ვინცხა დამხთა და სროლა



ამიტება, მეც ვესროლე, მარა იგი გეიქცა და უცბათ ამ მარჯველ  
 კაცს მოხთა ტყვია და ვინც მესროლა იმას ასცილდავო“. პრისთავ-  
 მა დეიჯერა დათიკოს სიტყვები“-ო. იმავე საღამოს კი დათიკო თი-  
 თონ მივიდა ბასილიასთან (რადგან მისი ტყვიით იყო ბასილია და-  
 ჭრილი), და უთხრა რატომ მდევნითო. შევარდნაძე ისეთი თავდა-  
 დებული რევოლუციონერია, რომ პირადი „მეც“ ავიწყდება საერთო  
 საქმისათვის ბრძოლის პირობებში. გაცხარებული ბრძოლის პრო-  
 ცესში ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებულ ადამიანებს ავიწყ-  
 ყდებათ, რომ თავიანთი თავი ხალხს გარდა მათაც ეკუთვნით. ამ  
 რჩეულთა რიგს ეკუთვნოდა შევარდნაძე და მშრომელმა ხალხმა ამი-  
 ტომ შეიყვარა ის, ასახა ლექსებში და ატარა ათეული წლების მან-  
 ძილზე საკუთარი გულით.

ხალხმა მისი თავგანწირვა გამოხატა თავის შემოქმედებაში:

„მე დასტური მეგობრობით  
 გვეერიე რაზმში მარდათ;  
 ეკალს მისთვის ძირს უთხრიდი,  
 რომ ხალხს დაფენოდი ვარდათ“-ო<sup>1</sup>.

შევარდნაძის დევნა ისევ გრძელდებოდა. ამავე წლის „ივერიაში“  
 ერთი კორესპოდენტი წერდა: „ამ თვის შუა რიცხვებში ვილაცხეებ-  
 მა დაბ. ჩოხატაურის ბაზარში თოფი ესროლეს დ. შევარდნაძეს და  
 ორ ალაგას დასჭრეს—ხელში და მკლავში... შევარდნაძემ გაქცევით  
 უშველა თავსო“ („ივერია“ 1904 წ. ოქტომბერი). ამის შესახებ გ.  
 შევარდნაძემ გადმომცა: „ცოტა ხნის მერე მას კილო დიეცენ თავზე.  
 დათიკოს ნაბადი ქონდა და ამ ნაბადით გადირჩინა თავი. ნაბადი  
 ფეხზე გააჩერა, თვითონ გაქრა და გეიქცა. დამხთურებს ეგონა ნა-  
 ბადში იქნებავო და დუუშინეს ნაბადს ტყვია... ამ დროს დათიკოს  
 მარჯვენა კლავში მუარტყეს და დასჭრეს“-ო.

შევარდნაძე აქტიური მუშაკი იყო, მან იცოდა რ. ს. დ. მ. პ. გურიის  
 კომიტეტის მრავალი საიდუმლოება, მაგრამ მიუხედავად ასეთი დევ-  
 ნისა, მან არ გასცა ეს საიდუმლოებანი. პირიქით, ჰფარავდა მას და  
 უფრთხილდებოდა. ის თხოვდა ამხანაგებს, რომ გამოერკვიათ საქმე,  
 მაგრამ დევნა ისევ გრძელდებოდა. მთავრობამ გაიგო რომ შევარდ-  
 ნაძეს თვით სოც. დემ. მუშათა პარტია სდევნიდა და მოინდომა ამ

<sup>1</sup> გადმომცა გულიჩკა შევარდნაძემ. იხ. აგრეთვე, ალ. ლლონტის „გურ.  
 ფოლკლორი“, გვ. 82.

მომენტით სარგებლობა. ჩონხატაურში ჩამოვიდა გუბერნატორი და წინადადება მისცა დათიკოს გაცეა მდევნელნი. სამაგიეროდ დადებოდა საუკეთესო სამსახურს და ფულს. მისი ყოფილი ცოლი გ. შევარდნაძე გვიამბობს:

„გუბერნატორმა დეიბარა ჩონხატაურში დათიკო და დაპირდა ფული და დიდი ადგილი და უთხრა მოგვეცი ის კაცები, რომელიც შენ გდევსო... პენციას დაგინიშნაეთო. ამასთან პრისტავემა... ასკანის და ჩონხატაურის სოფლებს გააწერა გადასახადი, იმაზე რომე სოფელს გიეცა დათიკოს დამხთურები. დათიკომ უთხრა: არ ვიცი ვინაა ჩემი მტერი და რაფერ მოგცეთო... გუბერნატორმა ვერ მიიღო დათიკოდან პასუხი და გაბრუნდა ვოზურგეთი. გუბერნატორი რუმ წვივიდა, დათიკომ უთხრა პრისტავეს: ამ ღარიბ ხალხს რეიზა აწვალევ, მე აფერი დახმარება არ მინდა და გადასახადის ქალაღი დახიეთო... ამ ავადმყოფობის დროს უთხარი: რეიზა არ ჩივი შენი მკვლელების სახელს მეთქინ. შენ რა იცი, მე შპიონათ ვერ ავდგები, თოფის მსროლელს ვერ გავცემო. საზოგადოებამ, რომ დარწმუნდა დათიკოს სიმართლეში გამუჟუგზავნა შვიდი კაცი. იგენმა მადლობა უთხრეს დათიკოს და თავისი დანაშაული ახალთავობის სახელით აღიარეს. ამის მერე დათიკო მომჯობინდა, მარა აქეთ გაჩერების ემინოდა... და დროებით წვევიდა სამეგრელოში და იქინეი დეიწყო ფარული მუშავობა. იქინეი იგი იყო პოლიკო კიკალაიშვილის ვოჯახში... მერე დათიკო მოვიდა აქეთ და გააგრძელა ფარული მუშავობა“.

დათიკომ არ გასცა მოწინააღმდეგენი, რადგან დარწმუნდა, რომ მისი დევნა გაუგებრობის შედეგი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ რ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის გურიის კომიტეტი თვით დარწმუნდა დათიკოს სიმართლეში და ის შეირიგა. მისი მეუღლის გადმოცემით, დათიკო დროებით სამეგრელოში გასულა, სხვა ცნობების მიხედვით კი, რაქა-ლეჩხუმში და იქ გაუგრძელებია არალეგალური მუშავობა. დათიკო ლეჩხუმში დაუპატიმრებიათ და ჩაუყვანიათ ქუთაისის ციხეში. ამის შესახებ ერთ-ერთი მომგონებელთაგანი გვიამბობს:

„ციხეში მიეყვანეს დათიკო შევარდნაძე, ლეჩხუმში დიეჰირენ, მასან ვინცხა კიღო იყო დაჰირული. ათ საათზე დიღას ციხის ეზოში გამუჟუგვეს. ამ დროს ზედა სართულიდან გადმეიხედა მახარაძის ნათესავემა და დუჟდახა ხალხში: მოღალატევ, ჯაშუშო, შენ კაცის მკვლელოვო. დათიკოს გული მუჟვიდა და დუჟდახა: პრავაკაციას ნუ ავრცელებო. მაშეინ კომიტეტმა დანიშნა კომისია. შევარდნაძეს რუმ ჯაშუშს უძახოდენ არაა კაი ამბავიო. კომისიის გამოკვლევით დამტკიცდა შევარდნაძის სიმართლე... ამის მერე მას ენდობოდენ და

მისი საქმით ერთგულდებაც დაამტკიცა. 1905 წელში დათიკო  
ში აღარ იყო. ციხიდან გაანთავისუფლეს თუ გეიქა არ ვიცი.  
1904-ში წითელი რაზმი ჩამოყალიბდა. უწინ ტერორისტების ვორ-  
განიზაცია იყო და იგი გადაკეთდა წითელ რაზმით. დათიკო წითე-  
ლი რაზმის მეთაური იყო, ასისტავი“-ო. არსებობს მოკლე ბიოგრა-  
ფია, რომლის მიხედვით ის „რამდენიმე ხანს ცხოვრობდა ხონში,  
შემდეგ წავიდა რაჭა-ლეჩხუმში, სადაც აწყობდა ორგანიზაციებს  
სხვა ამხანაგებთან ერთად“. ყოველ შემთხვევაში შევარდნაძე 1904-5  
წლის გარკვეულ პერიოდში გურიაში არ ყოფილა. ის გაუგებრობის  
საფუძველზე წარმოებული დევნის გამო, დროებით დასავლეთ სა-  
ქართველოს სხვა კუთხეებში ეწევა ფარულ პოლიტიკურ მუშაობას<sup>1</sup>.  
რეაქციის პერიოდში ფორალად გავარდა და ითვლებოდა რ. სოც.-  
დემ. მუშ. პარტიის ერთ-ერთ აქტიურ მუშაკად, ასრულებდა კომიტე-  
ტის დავალებებს. სარგებლობდა განსაკუთრებული პატივისცემითა და  
ყურადღებით. მისი მოხდენილი, მაღალი ტანი, განიერი ბეჭები, მუშ-  
ტის ოდენა თვალები, არაჩვეულებრივი გამბედაობა, ყველაფერი  
ეს ხელს უწყობდა მისი სახელის გადიდებას. გაზ. „მომავალში“  
ვზნებით ასეთ ცნობას: „23 ნოემბერს... ათამდე შეიარაღებულ გადა-  
ვარდნილ კაცს შიგ შუა ბაზარში ჩამოუვლია... ერთ მათგანს... დაუ-  
ძახნია „დახურეთ ღუქნები, მე ვარ შევარდნაძეო“... კაზაკებს... თოფები  
მოუმარჯვნიათ და სროლა დაუპირებიათ, მაგრამ მათ... მწყობრი „ზალ-  
ბი“ მიუციათ... კაზაკებს ძლივს შეუსწრიათ... სადგომებში“ შემალვაო.  
(№ 78, 1909 წ.). მეფის მთავრობა მასში შეუდრეკელ მტერს ხე-  
დავდა და ხმარობდა ყოველგვარ ღონისძიებას მის ხელში ჩასაგდე-  
ბად. ერთი გადმოცემით: „სადაც გაივლიდა შევარდნაძე იმ საზოგა-  
დობას ათასობით ჯარიმას დაარტყამდა მთავრობა. განსაკუთრე-  
ბით გატყდა წელში ასკანა: ჯარიმა ჯარიმაზე მოსდიოდა“. მთავ-  
რობა შოულობდა ჯაშუშებს, სპეციალურად შევარდნაძის მოკვლის  
გულისათვის (რომლითაც ჯილდო იყო მოსალოდნელი), მთავრობის  
მოსყიდული პირები მილიციონრებად დგებოდნენ. მოგონება გადმო-  
გვცემს: „რეაქციის დასაწყისში ხიდისთაველებმა სამმა კალანდაძემ  
სტრაჟნიკებად გვეიდენ შევარდნაძის მოსასპობად. გავკეთდებითო,  
იფიქრეს. ერთი მათგანი პლატონი ამბობდა: რაა ბოლოს და ბო-  
ლოს შევარდნაძე, ერთი ვარ მეც და იგიცო... გეიგო აგი დათიკომ  
და ერთ-ერთან მივიდა მის ოჯახში. სახში დედა დახდა.

„რა ხარ შენ მისიო—იკითხა დათიკომ.  
— დედაო!

<sup>1</sup> ერთი გადმოცემით 1906 წ. ბოლოს ის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქ. წი-  
თელ რაზმთა წარმომადგენლების კრებაზე კახეთში დასწრებია თათბირს.



— ვეფერი კაი დედა ყოფილხარ! სადაა ახლა შენი შევიწროება? იქნებოდა სახში ყოფილიყო. სადაა მისი საწოლიო. მისულა და ვინტოვკით ლები და საბანი დაუხვრეტია და უთქვამს: კაი იყო თან შემხვედროდავო“ (გ. ლომთათიძის მოგონება). მაგრამ მშრომელი ხალხი ასეთ გამცემლობას უპასუხებდა: „ვანო კალანდაძემ წინადადება შეიტანა კომიტეტში: „იმ გურულ ოჯახმა, რომლიდანაც ვინმე სტრაჟნიკათაა გასული, თავისი წევრი უკან დააბრუნოსო, ეს სასირცხო საქმეა“. „ვილაცა სტრაჟნიკმა“ დაიტრაბახა შევარდნაძეს როვა ვერ დევიქერო“.

— მაგას თუ იზამ, შენ იცი, გაგაკეთებთო—უთქვამს მთავრობას. წასულა ეს „სტრაჟნიკი“ ასკანაში და დადის. ერთ დღეს დათიკომ უტეფ თავს წააწყტა ტყეში მძინარეს. მივიდა, აილო მისი თოფი და „სტრაჟნიკს“ ფეხი კრა. „სტრაჟნიკმა“ გამოიღვიძა.

- გამარჯობა შენიო—უთხრა დათიკემ.
- ღმერთმა გაგიმარჯოსო, უპასუხა სტრაჟნიკმა.
- მე მიცნობო?
- ვერაო!
- მე შევარდნაძე ვარო.

სტრაჟნიკს გააცივა და უთხრა: „ჩემი სული შემარჩინე და შენ შენდა და მე ჩემდაო. დათიკოს არაფერი უწყენიაო“ (მოგონება გ. ლომთათიძემ გადმოგვცა). შევარდნაძის სახელი თანდათან იზრდებოდა. ხალხში ხმა ვრცელდებოდა, რომ „შევარდნაძე მონუსხულია“, ტყვია ვერ მოკლავსო. ერთი გადმოცემა ამბობს: „თავრობაში ვინცხას მიეტანა ცნობა შევარდნაძე ბახმაროშიაო. პრისთავს სტრაჟები წიეყვანა ბახმაროსაკენ. დათიკო გზაში დახვედროდა და შეეძახებია. დათიკოს იმხელა ხმაი ქონდა, რუმე თოფის ხმასავით. სტრაჟები შეშინებულეყვენ და უკან გამობრუნებულეყვენ და მერე ლაპარაკი დიეწყენ: იმ გზაში შევარდნაძე ყველას გაგვწყვეტდაო. ვოზურგეთში თავის მართლება დიეწყენ, ჩვენ რუმ მივიდოდით, შევარდნაძე გზაში ქვას ამოფარებოდა და ზარბაზანის ხმით გვიყვიროდა: გაგვწყვეტთო. პირში ზარბაზანი ქონდავო... ხომ არ გადირიე ბატონო, თავს ხომ არ მუაკლიებდით იმ გადარეულსო. ავი მერე თელმა ხალხმა გეიგეს და დათიკოს უჩივოდენ: ბიჭო, ზარბაზანი რუმ ქქონდა პირში რა უყავიო. დათიკომ ამაზე მთელი წელიწადი იცინა“ (გულიჩკას მოგონება). ასკანაში მას ჩაუსაფრდა ერთი „სტრაჟნიკი“ სასიკვდილოდ. დათიკომ შეამჩნია, რომ მას „სტრაჟნიკი“ თოფს უმიზნებდა. მას ამ შემთხვევაშიც უშველა გასაოცარმა სისწრაფემ, სწრაფად გადმოიღო





თოფი და უკვე მომზადებულ „სტრაჟნიკს“ მოასწრო სროლა და  
 იქვე მოკლა. „სტრაჟნიკის“ მოკვლამ მთელი სოფელი შეაწუხა, სოფ.  
 ასკანაში ჩააყენეს ეგზეკუცია და მოსახლეობას გააწერეს დიდძალი  
 გადასახადი. ამ მდგომარეობით შეწუხებულ დათიკოს მიუწერია წე-  
 რილი ბოქაულისათვის, სადაც წინადადებას აძლევდა, რომ ეგზეკუ-  
 ციას დაეტოვებია ასკანა. გულიჩკა შევარდნაძემ ეს ასე გადმოგვ-  
 ცა: „მოთმინებიდან გამოვიდა დათიკო და მისწერა პრისთავს: ავი  
 წერილი მიიღოთ თვარა, მაშინათვე დატიეთ ასკანა, თვარა სულყვე-  
 ლას ამოგზოცავთ. თუ ჩემი შეხვედრა გინდებიან, პარასკევს ჩამუალ  
 ჩოხატაურში და დამხთიო. პრისთავი იმავე დღეს გვიპარა ასკანი-  
 დან“-ო. „სტრაჟნიკის“ მოკვლისა და ეგზეკუციის ჩაყენების შესახებ  
 წავაწყდით საკმაოდ დიდ ლექსს. ეს ლექსი გადმოგვცა გიორგი ლომ-  
 თათიძემ, ჩვენი თხოვნის თანახმად, და წარმოადგენს მეტად საინ-  
 ტერესო დოკუმენტს. დღევანდლამდე ჩვენ შევარდნაძეზე ერთი ლექსი  
 ვიცოდით, ახლა კი გვაქვს სამი ლექსი—ერთი მისი მოკვლის შესა-  
 ხებ (უკვე ცნობილი), ერთი ეგზეკუციის შესახებ (უცნობი) და ერთიც  
 დათიკოს დედის ლექსი შვილის სიკვდილზე (ესეც უცნობი).

„ექვთიმე, არსენ, ყაისარ<sup>1</sup>  
 ალექსი ვანის ქედელი,  
 წყალგალმა—ივან, ვარდენი<sup>2</sup>  
 და არსენ ციხის უბნელი<sup>3</sup>.  
 გვაბრათში შავრაზმელები;  
 რაც ძალია, შავი ბნელი;  
 თათბირობდენ: „სა წვეიდა  
 შავარდნაძე — ამის მქნელი.  
 „როგორ მოგვიკლა ჩვენი ძმა,  
 სტრაჟნიკი ჩვენი დამცველი...  
 ნაფიცნო ხალხნო მონგროვდი  
 გვითხარი ვინ ხარ მნახველი;  
 საწყალი ხალხი გაჩუმდა  
 გაუხმა ყელში ნახველი.

.....

1 შეაენაძეები იყვნენ.  
 2 სიამაშვილებია.  
 3 სოფელია.

გადირია შავი ძაღლი,  
არ დაინდო ბავშვი, ქალი;  
საცოდავებს ჩაუმტრის  
სულ თოფებით გვერდის ძვალი.  
„შავარდნაძე მოგვეციო“  
გაიძახთა ის აბღალი.  
გუბერნატორის ბრძანება  
ყრილობას წაუკითხესა:  
„სცემეთ, დასწვით და მოჰკალით,  
არ დაერიდოთ აფერსა;  
შეაწუხევეთ სულ ხალხი,  
ეგება ამით მოგვეცესა.  
ამის გამგონე სტრაჟებმა  
ხალხში თავზარი დასცესა;  
აწამეს ქალი და კაცი,  
აღარ დაინდევს ბავშვები;  
მხარს უჭერს ხევისთავები,  
ეს უსაგონო სტრაჟები“.

ასეთი დღე დაადგა მთელ სოფელს. შემდეგ ხალხი მიმართავს მთავრობის მოხელეებს თავისი ლექსით:

„ხულიგანო, თქვენი დროი  
ძალიანი მოკლე არის;  
ეხლა თუ სუსხიანია,  
ხშირათ იცის კარგი დარი.  
გამოგივლის ყელჭირვება,  
და მოგაქცევს, როგორც კეტარი;  
მაშინ კი ვეღარ გიშველის  
თვით კოლიე, მისი ჯარი“-ო.

ეს ლექსი მეტად საინტერესოა. ეგზეკუცია და საერთოდ მთავრობის რეპრესიები მხატვრულად არც ერთი ფირალის ლექსში არ არის ასე მკაფიოდ მოცემული. მეორე მხრივ, იგი თავისებურია თავისი ფორმით—სიტყვათა წყობით, რითმით და სხვ.

შევარდნაძემ არაჩვეულებრივი სროლა იცოდა. ერთს შეხედვდა შაგანს, შემდეგ გადმოიღებდა თოფს და ხელუკუღმა ესვრიდა. ხელუკუღმა გასროლით დაჭრა მან ბასილია. გაქცეულმა შევარდნაძემ, რომელსაც ბასილია მისდევდა, ერთი მოიხედა უკან, შემდეგ გადმოიღო თოფი და მდევარი დასჭრა. მისი ყოფილი ცოლი გვიამბობს: „ერჯულ დამთვრალიყო და დამაჩემდა: დადექი ეზოში, კვერცხს დაგადოფ თავზე და ტყვია თუ მუახვედრო კვერცხსო... ვარი არ გამივიდა. დაზომა სამოცი ფეხის ნაბიჯი, დამადვა თავზე კვერცხი; ესროლა ტყვია და კვერცხი თავიდან გადააგდო“.

მას რამდენიმე ტერორისტული აქტი აქვს შესრულებული: „შევარდნაძე იყო წითელი რაზმის მეთაური. თავისვე მეთაურობით თავს დაესხა ჯაშუშ ურიადნიკ ქუცურბეგს... და მოკლა ქუცურბეგი და სტრაჟნიკი. მას ამ დროს ახდა იმერლიშვილი“. შევარდნაძემ მოკლა ხიდისთავი მამასახნისი თავართქილაძეო, გადმოგვცემს მოგონება.

### ლ ა ლ ა ტ ი

„მთავრობას თურმე მოყიდული ხავდა მოსე ჭელიძე, მისი ძმები და ივანე სიამაშვილი<sup>1</sup>. სიამაშვილი მაშვინ ხევისთავი იყო. ეს ვორი ვოჯახი ცდილობდნენ დათიკოს დაჭერას... მოკვლის წინა ღამით დათიკომ სამი ბინა გამეიცვალა. დაწობოდა ერ ადგილძე, მარა ვერ ისვენებდა, ადგებოდა და მიდიოდა სხვა ადგილძე... პატარა, ათი-თორმეტი წლის ბიჭმა, ჩვენმა ნათესავმა წეიყვანა დათიკო ჭელიძისას. როცხა მივიდნენ თურმე მოსე ჭელიძისას, ალექსას ცოლმა დეიწყო საკმლის გამზადება. მოსემ პირველათ დათიკოს დაალეგია ვოტკა. თვითონ მოსემ კი არ დალია. ვოტკას უწყენია დათიკოზა და უთქვამს: ხომ არ მომწამლეთო. საწამლავი თურმე იმ ვოტკაში იყო ჩაყრილი. მერე ვახშამი გამუუტანიენ. დილას როცხა წამოსლა მეინდომა დათიკომ და თოფი ეილო ხელში, ნახა რომ ვინტოვკაში ხუთივე პატრონა უკუღმა იყო ჩაწყობილი. აგი ვინ ქნავო, იკითხა დათიკომ. აგი შე ვქენი, ვიმახბრეგო, უთხრა თურმე მოსეს მევორე ძმამ, ფენია ჭელიძემ. დათიკომ წესიერათ ჩააწყო თოფში პატრონა და გამოვიდა ეძოში. ეხვეწებოდნენ: დარჩი, ნუ მიხვალო და თან ეჯიქავებოდნენ, (თურმე ამას იმიზა შობოდნენ, რომე დიესუსტებიენ დათიკო და საწამლავი მორვეოდა). ჭიშკართან რომ მივიდა თურმე, ყვითლათ წაადებია და მაშვინ ეთქვა: ნამდვილათ მოწამლული ვარო...

<sup>1</sup> სიამაშვილი ჯაშუში იყო და ამიტომ მოჰკლა შევარდნაძემ.



პრისტავს თურმე ჭელიძემ აცნობა: „შევარდნაძეს დაძინებულს ვახვედრეფ ჩემსას—მოით და დეიჭირეთ“-ო. (გულიჩკა შევარდნაძის მოგონება). ამის შესახებ „მომავალიც“ წერდა: „შევარდნაძის შესახებ დადის ხმები, ვითომ ის მოეწამლოთ... შევარდნაძეს.... დაეყვირა მომწამლესო“ (№ 99, 1909 წ.).

ხალხმა ეს მომენტი მშვენივრად გამოსახა თავის ლექსში:

„შენ დეილოცე ჭელიძევ, რომ გამიკეთე ვახშამი;  
ხმელი ხილი ბევრი გქონდა, ძნელი ღვინო და ქათამი;  
საწამლავი შემაპარე, რომ შევიქენი ნასვამი.

.....  
თურმე ჩემი მასპინძელი ეშმაკია და მაცთური;  
ვეილე და გადავკარი, ვითარცა ღვინო კახური“<sup>1</sup>.

ს ი კ ვ დ ი ლ ი

14 დეკემბრის დილა თენდებოდა. „სტრაჟნიკები“ ჭელიძისას მიდიოდნენ შევარდნაძის დასაჭერად, მაგრამ დათიკო ამ დროს გზაში იყო. იგი ისე იყო დასუსტებული საწამლავით, რომ თოფი პატარა ბავშვს გადასცა, რომელიც მას ახლდა თან. „დათიკომ სიარული ველარ შეძლო და მოლაზე აპირობდა დაწოლას, მარა ამ დროს სტრაჟნიკებს მოკრა თვალი.... დათიკომ დუუშახა გადადექით განზევო. სტრაჟნიკები.... შეშინდნენ.... გაბილა ბაჯელიძემ იცნო დათიკო და დეიძახა: დათიკოა შევარდნაძეო. სროლა ატყდა. დათიკოს უკან გაღმოდებული თოფით ხელუკუღმა სამი გაუსროლია სულ და დუუჭრია ერთი სტრაჟა და მოუკლავს ერთი ცხენი. ეს მკვლელობა მოხდა ვანის ქედში“. (გულიჩკას მოგონება). შევარდნაძის მოკვლის შესახებ ცნობებს ვხვდებით გაზ. „დროებაში“, „მომავალში“ და სხვ. „მომავალი“-ს უცნობი კორესპოდენტი წერდა: „14 დეკემბერს, დილით, შევარდნაძე შეიარაღებული მიდიოდა თურმე ს. ასკანაში ერთ ვიწრო გზაზე, ორღობეს შუა. მას მოულოდნელათ წინ შეხვედრია ჩოხატაურის ბოქაულის თანაშემწე ორი სტრაჟნიკით, რომლებიც ამჟამად ასკანაში სხვადასხვა გადასახადებს კრებს. შევარდნაძეს თოფი მოუმარჯვნია და უთქვამს მათთვის: „მე არა-

<sup>1</sup> გადმომცა გულიჩკა შევარდნაძემ, იხ. აგრეთვე ალ. ლლონტის „გურული ფოლკლორი“, გვ. 84.



ფერს გერჩი, ჩაიარეთ, თავს ტყუილაუბრალოთ ნუ შემომაკლავთ...  
 „არც ჩვენ გერჩითო“ — უპასუხნია მათ და მის გვერდით ჩაუვლინა  
 შევარდნაძე ნახევრათ უკან ცქერით ვასდგომია გზას და მოსა-  
 ხვევში პატარა გორაკის თავ-შეფარებით განუგრძია გზა. ამ დროს  
 სტრაჟნიკები იმავე გორაკის მოფარებით შეუმჩნევლათ დასწევინ  
 და ტყვია ზურგში მოურტყამთ. შევარდნაძე უცბათ შემოტრიალე-  
 ბულა — „თავისი მანც არ დაიშალესო“ — დაუყვირია და ორჯელ  
 გაუსროლია თოფი, რომლითაც მოუკლავს ერთი ცხენი და დაუჭრია  
 ერთი სტრაჟნიკი ფეხში მსუბუქათ, რის შემდეგ სული დაუღვია...  
 შევარდნაძეს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი და მოხუცი დედა“. (გაზ.  
 „მომავალი“ 1909 წ. 17 დეკემბერი, № 93, იხ. აგრეთვე „დროება“  
 ამავე წლის № 281). ხალხს ეს მომენტი ასე გაუღუქსია:

„თვალთ აღაფერს ვხედავდი, პრისთავი რომ შემხთა გზაზე;  
 ჩე ხმამალა შეუძახე გადადექით ყველამ გზაზე;  
 ყველა შეკრთა და შეშინდა პირველათ ჩემ დანახვაზე;  
 ბაჯელიძემ დაიძახა დათიკოა შევარდნაძე.  
 ჩვეულებრივ შევეტრიალდი, მტრები რომ შემომესია;  
 თოფის სროლას შეუდექი, როგორც ვაჟაკის წესია.  
 კაცი ძალღონე მიხთილი რომ მოკვტეს უკეთესია.  
 თქვენ იფიქრეთ რას ვიზამდი მწუხარე და ავათმყოფი;  
 სტრაჟნიკს ფეხი მოვამტრიე, გავისროლე ერთი თოფი“—ო<sup>1</sup>.

შევარდნაძის თანამებრძოლებმა ცხარე ცრემლებით დაიტირეს  
 ის. არსებობს მათი ლექსი, რომელიც, გულიჩკას გადმოცემით, დაწე-  
 რილი ყოფილა კიკია მამულაიშვილის მიერ:

„დაუფიწყარო დათიკო!  
 დუხპირ ცხოვრების პირობამ  
 ტალღა ბევრჯელ დაგაჯახა;  
 მაგრამ შენი წმინდა რწმენა,—  
 ერთხელაც ვერ შეაფერხა,  
 ხსოვნა შენი ჩვენს გულშია,

<sup>1</sup> გადმომცა გულიჩკა შევარდნაძემ, იხ. აგრეთვე ალ. დლონტის „გურული ფელკლორი“, გვ. 85.

სახე შენი თვალწინ გვიდგას,  
არ იფიქრო დაგიფიწყოთ,  
სანამ პირში სული გვიდგას<sup>1</sup>.  
„ამხანაგები“.

### შ შ რ ი ს ძ ი ე ბ ა

„დათიკო რომ მოკლეს, სტრაჟებს ღიეცენ თავზე დათიკოს ამხანაგებმა—ისაკია თოიძემ<sup>2</sup>, კიკია მამულაიშვილმა.... კანცელარიაზე ლამით და სტრაჟა მოკლეს“. გ. ლომთათიძე გადმოგვცემს, რომ დათიკოს ამხანაგებმა მოკლეს „სტრაჟნიკი“ კალანდაძეო. ამის გამო დაუჭერიათ შევარდნაძის ცოლი, დედა და წაუყვანიათ ოზურგეთში, მაგრამ ისევ გაუნთავისუფლებიათ. შემდეგ კი, დათიკოს ამხანაგებმა ფენიე ჭელიძეც (მოლაღატეთაგანი) მოჰკლეს. ეს ის პლატონ კალანდაძე იყო, რომელზეც დათიკოს სასიკვდილოდ დადგა „სტრაჟნიკად“. გარდა კალანდაძისა, ამ თავდასხმის დროს მოუკლავთ მეორე „სტრაჟაც“ გვარად ალანია. „მომავალში“ ვკითხულობთ:

„20 დეკემბერს, კვირას, ლამით... მოუკლავთ ჩოხატაურის სტრაჟნიკები პლატონ კალანდაძე და ალანია. მკვლელობა მომხდარა ასკანის სასოფლო სამმართველოში.“

მოხსენებულ შემთხვევას... აქვს კავშირი ამას წინათ დევნილი დათიკო შევარდნაძის მოკვლასთან“-ო. („მომავალი“ 1909 წ. № 99, 24 დეკემბერი“). თავდასხმა კიკია მამულაიშვილის მეთაურობით მომხდარა. ამის შემდეგ რაზმი „მარსელიოზის“ სიმღერით მისულა დათიკოს საფლავზე და „ზალპის“ შემდეგ დაშლილა“.

### ვინ იყო ჭელიძე?

არსებობს გადმოცემა, რომ ჭელიძე თითქოს შევარდნაძის ნათლია იყო. ეს არ არის მართალი. ჩვენ ორი საბუთი გვაქვს ამის დასამტკიცებლად:

<sup>1</sup> გადმოცემა გულიჩკა შევარდნაძემ, იხ. აგრეთვე ალ. ლლონტის „გურული ფოლკლორი“, გვ. 86.

<sup>2</sup> ისაკია თოიძე რეაქციის პერიოდის ცნობილი ფირალი ყოფილა გურიაში. მის შესახებ ჩავიწერეთ ლექსი. ამ კრებულში მას ვერ ვათავსებთ მასზე ჯერჯერობით, ცნობების სიმცირის გამო. ა. ხ.

<sup>3</sup> „სტრაჟნიკების“ მკვლელობის გამო გუბერნატორი სლავოგინსკი თითონ ჩასულა ასკანაში, მოუთხოვნია მკვლელები და სოფელი 6,600 მანეთით დაუჯარიმებია (იხ. „მომავალი“ 1909 წ. დეკემბრის ნომერი).



1. გულიჩკა შევარდნაძის და სხვა მოგონებებითაუც დათიკოს ტომ დააბრალებს მახარაძის სიკვდილი, რომ მახარაძეს მკვდარი ჰყავდა დათიკოს ნათლია, ჯაშუში შალიკაშვილი. აქედან ცხადია, რომ დათიკოს ნათლია შალიკაშვილი ყოფილა და არა ჭელიძე.

2. გულიჩკას კატეგორიული განცხადება, რომ „ზოგან ჭელიძე დათიკოს ნათლიათა გამოყვანილი. ეს არაა მართალი. ჭელიძე აფერი არ ყოფილა ჩვენი“-ო.

როცა მოკლეს ის ყოფილა 34 წლის (1875—1909). იარაღად ხმარობდა ვინტოვკას და მაუზერს (უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ჯერ კიდევ ჯარიც, მთავრობის მოსამსახურენიც და ფიროლებიც ბერდენას ხმარობდნენ, გარდა დათიკოსი). ხანდახან იცვამდა ჩაქურას. შეხედულად იყო იშვიათი ვაჟკაცი. გ. ლომთათიძის გადმოცემით „შევარდნაძე ლომი იყო... ვისაც არ ყავდა ნახული და უცბათ ნახავდა იფიქრებდა, რომ აგი იქნება შევარდნაძე“-ო. მას გასაოცარი სახელი ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ის ისეთივე იყო გურიისათვის, როგორც ზელიმხანი ჩეჩენთათვის. თავისი ვაჟკაცობით ზშირად ემსგავსება ზელიმხანს (მაგ. წერილების გაგზავნა მთავრობის მოხელეების მიმართ და მათი საბრძოლოდ გამოწვევა).

მშრომელმა ხალხმა გაიგო შევარდნაძე, მასზე ლექსები შეჰქმნა და მით უკვდავყო თავისი გმირის სახელი:

„მსურდა ხალხზე შემეწირა  
ჩემი ღონე, ჩემი აჯა..  
მაგრამ ჩემდა უბედურად  
შემომაკვდა ერთი სტრაჟა.

.....  
ზოგიერთის მოხერხებით  
ვწუხვარ ხალხი დაისაჯა“-ო.  
„თავმოყვარობას ვიცავდი,  
ჩვეულებრივ წესებს რიგათ;  
გაჭირვებულს თუ ვნახავდი,  
ვეგებოდი გზათ და ხიდათ“-  
„მსურდა ეკალი და ვარდი  
გარდამექნა ია-ვარდათ“ და სხვ.<sup>1</sup>

შევარდნაძის ლექსები განირჩევა მოხდენილი და დაკვირვებული გამოთქმებით:

<sup>1</sup> გადმომცა გ. შევარდნაძემ, იბ. აგრეთვე ალ. ლლონტიხ „გურული ფოლკლორი“, გვ. 83.

„ჩემთვის მაინც სულერთია  
ვის შერჩება ეს ქვეყანა;  
ყოფილა და აღარ არის  
ბევრი ვინმე ჩემისთანა“.

ან: „კაცი ძალღონე მიხდილი  
მოკვტეს მით უკეთესია“.

ან: „ავისა კარგი ნუ გინდა  
ანდაზა არის ნათქვამი“<sup>1</sup> და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის ლექსი ყველა ფირალის ლექსზე მაღლა დგას თავისი მაღალი ოსტატობითა და მოხდენილი გამოთქმებით. ხალხის შემოქმედებით ლაბორატორიაში ის ჩინებულად დამუშავებულა. თუ პირველი პერიოდის ფირალების ლექსებში გამოირჩევა მეხუზლას ლექსი, მეორე პერიოდში, თვალსაჩინო შევარდნაძის ლექსია. ამ ლექსის ორი ვარიანტი მოგვეპოვება.

აღსანიშნავია დედის ლექსი შვილის სიკვდილზე. ის მეტად მგრძნობიარედ არის შესრულებული. საწყალი დედა ტირის:

„ჩემო დედის ერთო შვილო,  
სიობლეში გამოზრდილო;  
ყოვლი კაცის საყვარელო,  
ერთგულო და ენა ტკბილო“<sup>1</sup>.

ლექსის ამ ნაწყვეტზე უნდა ითქვას, რომ ის სიმ. გუგუნავას „თამარიანის“ გავლენის ქვეშ არის შესრულებული („შალვაგ, ჩემო სიხარულო“, ს. გუგუნავა „თამარიანი“ გვ. 69, 1888 წ.—მწიგნობრული გავლენა). შემდეგი ადგილი:

„ცოლშვილი გყავდა სარჩენი,  
სხვაც ბევრი გადასახადი;  
მაგრამ მტერებმა მოგისპო,  
ყველა კეთილთან სალამი“<sup>2</sup> —

<sup>1</sup> გადმომცა გ. შევარდნაძემ, იხ. აგრეთვე ალ. ლლონტის „გურული ფოლკლორი“, გვ. 84-5.

<sup>2</sup> გადმომცა გ. ლომთათიძემ.





(მეხუზლას ლექსის გავლენაა „ცოლშვილი სარჩენი მყავდნის  
ხალხური გავლენა). საწყალ დედას თავი მოსწონს სასახელო  
შვილით:

„შენი დედა ვარ საწყალი,  
შენზედ ვტირი, შენზედ ვდარდობ;  
ხანდისხანდა ამას ვიტყვი:  
მას ტირილი რაფერ ვკადრო“<sup>1</sup>.

შევარდნაძეს დარჩა: ცოლი, ორი ვაჟი და სამი ქალი. დედას  
ჰქვია მზეხა. ოჯახი პენსიას ღებულობს.

<sup>1</sup> გადმომცა გ. ლომთათიძემ.

## ზირალი სიმონ დოლიძე

ფირალი სიმონ ნიკოს-ძე დოლიძე დაიბადა ჩოხატაურში, მახარაძის რ. (სოფ. ამაღლებაში), ღარიბი გლეხის ოჯახში. მან გაათავა ამავე სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი, რის შემდეგ გადავიდა ბათუმში... მისი მამა ამ დროს მუშაობდა გემზე უფროს მჯღად, რომლის სიკვდილის შემდეგ თითონ იწყებს ამ საქმეზე მუშაობას. 1905 წ. რევოლუციაში იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. მისი ძმა, სამუელ დოლიძე გადმოგვცემს, რომ ამ დროს „სახში მუშაობას თავი დაანება და სხვა საქმეზე მუშაობდა“-ო. რეაქციის გამარჯვების შემდეგ, მან მსგავსად სხვა ამხანაგებისა, ტყვეს მისცა თავი. ის აქტიური მებრძოლია მეფის მოხელეებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ. არის ტერორისტი. მოგონებების თანახმად მან 1908 წ. მოჰკლა ჯაშუში ესე ჯიბლაძე, მოკლა ამაღლების მამასახლისები თეოფილე წეროძე და კეკელიძე. მანვე მიიღო მონაწილეობა დათიკო შევარდნაძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ქუტურბეგის მკვლელობაში. მოკლა ჩოხატაურის „ურადნიკი“ და სხვა. ორგანიზაციის დავალებით თავს დაესხა ცარიცინში მატარებელს. 1910 წ. მონაწილეობას ღებულობს კიკია მამულაიშვილთან ერთად ბახვში, ჯაშუშ სიმონ ქიქოძის მკვლელობაში (იხ. გაზ. „ახალი გზით“ № 22, 1910 წ.). ხალხმა თავის შემოქმედებაში მოხდენილად მოგვცა მისი პორტრეტი.

„ხალხს მეტათ უფროთხილდებოდი  
საქმეს ვაკეთებდი რიგზე;  
ჩემთვის არვინ დეიტანჯოს  
მუდამ ვიყავ ამის ფიქრზე.  
ხშირათ ტყეში ვიმალოდი,  
მიეწვებოდი წიფლის ძირზე;  
ჩემგან ჯვარ-მენდალს ელოდენ  
კეკელიძე და წეროძე;  
ბულთის გატანას ელოდენ,



სურ. 3.

სიმონ ნიკოსძე დოლიძე  
ძველი „წითელი პარტიზანელი“, სტრაჟ-  
ნიკებთან შეტაკების დროს დაღუპული.  
1911 წ. გურიაში.

ველარ გევიდენ ლელოზე.  
წამოვიდოდენ მეძებდენ  
სტრაჟებით შალალ გორებზე;  
დაბრუნებული ხალხს სცემდენ  
კლავებს იცდიდენ ღონეზე.  
გევიგე, გული მომივდა  
უბრალო ხალხის ცემაზე.

. . . . .  
შევხტი ვორივე დავგლიჯე;  
სისხლი გადვირე ენაზე“-ო<sup>1</sup>.

ხალხს ეცოდება თავისი ინტერესებისათვის მებრძოლი გმირი:

„უდროვით ცოლშვილს მოვცილდი  
ხელი აყილე ვოჯახზე;  
მენატრებოდა, რა მექნა  
ვერ მივიდოდი ბინაზე.  
თუ მივიდოდი როდისმე  
ვერ დავჯდებოდი გემოზე  
ამ დროს ძაღლები მომზღვედენ  
კეკელიძე და წეროძე.  
რაც გაჭირვება მე ვნახე  
ყველას ვერ ვამბოფ ენითა;  
ხელში მიჭირავს კალამი  
და ქახალდზე ვწერ მეღნითა.  
მინდოდა გავმძლარიყავი  
ჩემი ცოლშვილის მზერითა;  
დაჯდებიან და ტირიან,  
თვალი ეფსებათ ცრემლითა“-ო<sup>2</sup>.

ს. დოლიძის სახელი საშინელი სისწრაფით მოედო მთელ გუ-  
რიას. მეფის მთავრობა მისი შეპყრობისათვის მიმართავდა ეგზეკუ-

<sup>1-2</sup> მთქმელები მც. წლოვანი კაკო და ზინა ზინთიბიძეები, ქ. მახარაძე.

ციებს და აჯარიმებდა ხალხს. ამის გამო დოლიძემ ბოლოს გადმოსწავილა, გადმოცემის თანახმად, გურიის დატოვება. ის ფირალ ბურჟუაზიასთან ერთად გაემგზავრა ბათომისაკენ. მათ ახლდათ ანდრო დოლიძე. ფირალები დასასვენებლად შევიდნენ ერთ სასიმიინდეში, მაგრამ რადგან მშვიდობა იყვნენ, ანდრო დოლიძე გაგზავნეს პურისათვის, რომელმაც ისინი გასცა. მათ მტერი სრულიად მოულოდნელად დაესხათ. ამ შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაჭრილმა სიმონ დოლიძემ მოჰკლა „პროპორჩიკი“ ჯაფარიძე, სხვები გაიქცნენ. ეს თავდასხმა მომხდარა 1911 წ. 25 სექტემბერს, გაზ. „კოლხიდაში“ ვკითხულობთ:

„კვირას, 25 სექტემბერს, დღით 2 საათზე, სადგურ ნატანების მახლობლათ სასიმიინდეში თავი შეუფარებიათ ორ უცნობს, როგორც უფიქრიათ, ისინი ყაჩაღები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ამბავი გაუგია ადგილობრივ ადმინისტრაციას და დარაჯთა რაზმი გაუგზავნია უცნობების შესაპყრობათ. დარაჯებს ალყა შემოურტყამთ სასიმიინდესათვის და მათ მოთხოვნაზე „დაგვენბდითო“ უცნობებს სროლით უპასუხნიათ. თავის მხრივ, დარაჯებსაც აუტეხიათ სროლა. ერთი უცნობთაგანი გადმომხტარა სასიმიინდიდან და გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ის დარაჯებს მოუკლავთ, ხოლო მეორეს უსარგებლია ამით და გაქცევა მოუსწრია. მოკლული, როგორც ამბობენ უნდა იყოს ამალღების საზოგადოების მცხოვრები ყაჩაღი სიმონ დოლიძე და მეორეს ვინაობა გაურკვეველია. დარაჯების მხრით მოკლულია პროპორჩიკი ჯაფარიძე“ო. („კოლხიდა“ 1911 წ., № 147, იხ. აგრეთვე № 160).

ის მეორე, რომელზედაც გაზეთი წერს, ყოფილა ბურჟუაზიადე, რომელსაც მოუსწრია გაქცევა. ხალხმა ჯაფარიძის მოკვლა დოლიძისაგან მშვენივრად გამოხატა:

„უცეფ აზრი მოვიკრიფე, მასან ძალა შევიძინე;  
ერთი ტყვია გევისროლე, თან გემოზე გევიცინე;  
ჯაფარიძე ურადნიკი ამ ჩემ გვერდში მევიწვინე;  
მგელივით ავადრიალე აფიცრობის მომლოდინე.  
თურმე სისხლის ჯვარს ელოდა, ჯაფარიძე ჩემ სიკტილზე;  
მაგრამ თავზე წავიკალი, მე ვარ სიმონა დოლიძე“-ო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მთქმელები მც. წლ ოვანი კაკო და ზინა ხინთიბიძეები, ქ. მახარაძე.

დოლიძე ექვსი წლის ფირალი იყო, ეს ლექსიდანა (ექვსი წელი შევასრულე არ მიძინია ლოგინზე“-ო) და გადმო-  
ცემითაც.

როცა მოუკლავთ ყოფილა 26—27 წლის ახალგაზრდა.

ვინ იყო ანდრო დოლიძე?

ლექსიდან ისე ჩანს, თითქოს ძმა იყო სიმონ დოლიძის. ეს არ არის მართალი. გადმოცემები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ანდრო დოლიძე მხოლოდ გვარისკაცი იყო სიმონ დოლიძის.

---

## ფირალი კიკია (იასონ) მამულაიშვილი

დაიბადა 1881 წ., 7 ოქტომბერს, სოფ. დვაბზუში (ოზურგეთის ახლოს). პირველი სწავლა ამავე სოფელში მიიღო, რის შემდეგ, შევიდა სამოქალაქო სასწავლებელში. შემდეგ ბელეტრისტ არსენ მამულაიშვილთან (ლალიონთან) მეცადინეობდა სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად. ჯერ დისა, ხოლო შემდეგ მანის (ნიკოს) სიკვდილმა აიძულა კიკია სახლში დარჩენილიყო, სიღარიბის გამო. ეს 1905 წ. რევოლუციის ხანაა. იგი მონაწილეობს რევოლუციურ მუშაობაში. ნასაკირალის თავდასხმაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს, პირველი ბომბი ამ დროს მას გადაუგდია.

1908 წ. მას უკმაყოფილება მოუვიდა სოფ. დვაბზუს მღვდელ იონა ღლონტთან. კიკია ვერ ეთვისებოდა საეკლესიო წესებს. მოგონება გადმოგვცემს: „ერჯულ ეკლესიაში პაპიროზი მოწია. ღვდელმა გააჯავრა და კიკიე მისკენ წეიწია. კიკიას თავი გაუტეხესო“. 1908 წ. მას დასაჭერად დაესხნენ თავს. გაზ. „ეკალში“ ვკითხულობთ: „სოფ. დვაბზუში დასაჭერად დაეცენ კ. მამულაიშვილს, მაგრამ სახლში ვერ ნახესო“. („ეკალი“, 1908 წ., 8 ოქტომბერი, № 31). ამ თავდასხმაზე გვაქვს მისი ძმის, ნესტორ მამულაიშვილის მოგონებაც. ამ გადმოცემის მიხედვით კიკია ამ დროს ფირალი არ იყო, მაგრამ მთავრობას მაინც ემალებოდა, რადგან დაჭერას მოელოდა. 1907 წ. ის თავს დაესხა ოზურგეთის „ურიადნიკ“ დიმიტრი მგელაძეს დღით, შუა ბაზარში. მგელაძე ცნობილი რეაქციონერი იყო. მისი მიზეზით არაერთხელ აწიოკებულან გურიის მშრომელნი. მახარაძის ა. ს. წითელმ. მცხოვრ. სილოვან ცისკარიძე გადმოგვცემს: კიკიამ ესროლა ურადნიკ დიმიტრა მგელაძეს, წითელ პარასკე და შვიდი ტყვია დაახალა“-ო. მგელაძე გადარჩა. იმავე სილოვან ცისკარიძის გადმოცემით: „კიკიას დამცემ ფირალებთან აფერი ქმე არ ქონებია. ფირალები ვორ პარტიათ იყვენ გაყოფილი. დაეკო შევარდნაძე, კიკიე მამულაიშვილი, ისაკი თოიძე ერთათ იაგებოდენ“. ფირალობის დროს მან სასიკვდილოდ დასჭრა იონა ღლონტი. ამის შესახებ 1909 წ. „დროებაში“ ვკითხულობთ: „3 მაისს



ოზურგეთის ახლო სოფელ დვაბზუში ვილაც უცნობს სასიკვდილოდ დაუტრია მღვდელი იონა ლლონტი“ („დროება“ № 101). მოგონებებით გამოირკვა, რომ ეს „ვილაც უცნობი“ ყოფილა კ. მამულაიშვილი. ერთი გადმოცემა კიკიას ასე ახასიათებს: „კაი ვაშკაცი იყო შეხედულათაც, არსენა ვოდელაშვილი რომ გაგიგონია იმფერი იყო. ერჯელ თავზე დიეცენ ლანჩხუთში, გადმოხტა და დენახა, რომ ვორი სტრაჟა ამოფარებოდა საღორეს და სროლილობდენ ტყვიას. კიკიამ ესროლა და მოკლა“-ო. მასვე, გადმოცემის მიხედვით, მოუკლავს სტრაჟნიკი პლატონ კალანდაძე. გაზ. „ახალი გზის“ ცნობით მისი ხელმძღვანელობით მოკლეს ჯაშუში სამსონ ქიქოძე (იხ. „ახალი გზით“, 1910 წ. № 22). ერთადერთი დის სიკვდილმა კიკიაზე გამანადგურებლად იმოქმედა. ნესტორ მამულაიშვილი გადმოგვცემს, რომ ამის შემდეგ ის ერთხანს ავად იყო, ხოლო შემდეგაც ხშირად გაშტერდებოდა და ვერაფერს ვერ გააგონებდო. ამაზე უფრო დაწვრილებით გვიამბობს სილოვან ცისკარიძე: „კიკია ფირალობის დროს ჩემსას ხშირათ დეირებოდა. კიკიას დაი ხავდა მკტარი და იგი რუმ გაახსენდებოდა ყველაფერი ავიწყდებოდა. ერჯელ ჩემსას მოვიდა და ღამე გაათია. დილას ამდგარიყო და დიეწყო ეძოში სიარული. რომ დევინახე მივაშურე, ვუძახე კიკია მეთქინ, მარა ისე გაშტერებული იყო, რომ ვერ გაგაგონე. მერე მივარდი, ხელი მოგკიდე და მაშინ დამინახა, ძვილა შევეყვანე სახში. მერე მითხრა, რომე მკტარი დაი გამახსენდაო... ჩემსას აღარ მეიცადა და მაკვანეთში გავყევი“-ო. მეგობრის და თანამებრძოლის, დათიკო შევარდნაძის მოკვლამ მასზე ძალიან იმოქმედა. ამხანაგების დავალებით ის წერს ლექსს, სადაც მკათიოდ გვაძლევს შევარდნაძის გაფირალების მთავარ მიზეზს. შევარდნაძის მოკვლის მესამე დღეს მისი ხელმძღვანელობით მოკლეს სოფ. ასკანაში ორი „სტრაჟნიკი“. ამის შემდეგ ის გაუძღვა თავის ამხანაგებს „მარსელიოზას“ სიმღერით დათიკოს საფლავზე, რის შემდეგ რაზმი სიმღერითვე დაიშალა.

ს. დვაბზუს არაერთხელ სწვევია ეგზეკუცია კიკიას ხელში ჩაგდების მიზნით. მარუსია კილაძემ (მახარაძის რ. სოფ. დვაბზუს მცხოვრებმა) გადმომცა: „საწყალი კიკიე თელი სოფლის საყვარელი იყო. მისი გოლიზა ეგზეკუციას აყენებდენ, გვბერავდენ, მარა ხალხს მაინც უყვარდა. ერჯელ მამაჩემს თელი წლის ყაჭზე ნამუშიერი ხუთი მანათი წაართვეს და ასთე ყველა მოსახლიდან მოხიკეს ფული, კიკიას ინახავთო. კიკიამ მოვიდა და გვითხრა: ჩემი გულიზა გადაგახთიეს ხომ ფული, თელი წლის ნამუშიერი ხომ ჩემი გულიზა წაგართვესო!





სურ. 4.  
კიკიე ნიკოს-ძე მამულაიშვილი

— ბიჭო არ ვჩივი, შენ იყავი ცოცხალი და მაგისანას ვოცდახუთს გადავიხდიო“.

კიკიას გადმოსვენებას ვაკიჯვრიდან სოფ. დვაბზუში ამხანაგების მიერ დემონსტრაციის ხასიათი მიუღია:

„უბედურსა დედაშენსა  
შენი თავი არ ატირეს;  
გასვენებაც აუკრძალეს;  
ცეცხლი-ცეცხლზე მოუკიდეს.  
ვერ დავთმობდით მათ იცოდენ  
და უცთოდენ ჩვენსა მოსვლას;  
და ფიქრობდენ ჩვენ ცხედარსა,  
ერთოფ ჩვენსა ამოხოცვას.  
დიდებულათ გაგასვენეთ  
გამშვენებდა ჩვენი რაზმი;  
პოლიცია სახში დარჩა,  
თვის ცხენებით შენაკაზმი“-ო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მთქმელი ნარ. კილაძე. მახარაძის რ. სოფ. დვაბზუ.

„ბალკონზე იჯდა საწყალი  
მეტადრე ჩაფიქრებული;  
ხალხის ტანჯვა აწუხებდა  
მეტადრე უძგერდა გული.  
სურდა ხალხზე დახმარება,  
ილუპებოდა გურია:  
ათ მანეთს გლეხი იხთიდა

. . . . .  
„თუ აგი სოფელს გადახთა  
რით ჭამონ ლუკმა პურია;  
შიმშილით დაიხოცება  
ჩვენ თვარ ვათხოვეთ ყურია“-ო<sup>1</sup>.

კიკია თითონ წერდა ლექსებს. მისი სამი ლექსი გვაქვს ჩაწერილი. ერთი დათიკო შევარდნაძის დაღუპვის, ხოლო ორი, მისი სატრფოს, კაკილო ღლონტის შესახებ. ამ ლექსებში ჩანს მისი მებრძოლი ბუნება. ის კაკილო ღლონტს წერს:

„ისიც ნუ შეგაშინებს  
დღეს, რომ მტრები მდევნიან;  
მოვა დრო და ივინი  
სოროში შეძვრებიან;  
ასთე ჩემო კაკილო,  
გული ნუ გაგიტყდება;  
ოღონდ გული გულობდეს  
ყველაფერი იქნება“-ო<sup>2</sup>.

მისი ლექსები მეტად სადა და ლამაზია. მათ არ აკლიათ პოეტური აღმადრენა და სინაზე.  
კიკიამ ხუთი წელი იფირალა. მოუკლავთ 33 წლის.

<sup>1,2</sup> მთქმელი მარ. კილაძე.

## ფირალი ერასტი ჯორბენაძე

დაიბადა ლანჩხუთში, სოფ. გვიმრალაურში 1885 წ. 16 იანვარს. ჯერ ლანჩხუთში, ხოლო შემდეგ ბათომში მიიღო ექვსი კლასის ცოდნა. ხელობით იყო ზეინკალი. მუშაობდა ბათომის ნავთის ქარხანაში. 1905 წ. რევოლუციაში მონაწილეობს. პოლიტიკური ორგანიზაციის დავალებით აწყობდა ტერორისტულ აქტებს. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მას რამდენჯერმე აპატიმრებენ. მისი ძმის, ვასო ჯორბენაძის გადმოცემით მეტეხის ციხეში უკანასკნელი პატიმრობის დროს მან ამხანაგების დახმარებით გარედან მიიღო კალათით ბომბი და იარაღი. მან ბომბით ჩაატვრია მეტეხის ციხის კარები და გაიყვანა 25 პოლიტიკური პატიმარი. მასთან გაქცეულა მისი ამხანაგი იმერლიშვილიც. ეს ამბავი უნდა იყოს აწერილი, გაზ. „ცხოვრების სარკეში“, სადაც ვკითხულობთ: ვიღაცას ციხის კარებზე დაუკაკუნებია, დარაჯს კარი გაუღია. უცნობს, ტუსად მაისურაძისაგან ცარიელი კალათი მოუთხოვნია. მაისურაძე კარებთან მივიდა, ამ დროს სროლაც გაისმა და წაიქცა სამი ჯარისკაცი. ორმა ყუმბარამაც იფეთქა. კალათის მომტანმა უცნობმა დასჭრა მაუზერით ჯარისკაცი და გარედ მდგომი „გოროდოვოი“. გაიწმინდა გზა. ტუსაქმმა კარები გააღეს და მიიმაღნენ. გაქცეულ ქართველიშვილს დააღებოდა უბნის ზედამხედველის დაჭრა, იმერლიშვილს—მატარებელზე თავდასხმა, ბურჟულაძეს „მეკანდიტერე“ ალიხანოვის მოკვლა. (იხ. გაზ. „ცხოვრების სარკე“, № 17, 1908 წ., 13 მაისი). ეს ამბავი 1908 წლის 11 მაისს მომხდარა. მართალია აქ ჯორბენაძე არ არის მოხსენებული, მაგრამ ეს არ უარყოფს იმას, რომ ვასო ჯორბენაძის გადმოცემა ემსგავსება გაზეთის ცნობას. მით უმეტეს, რომ აქაც მოხსენებულია ილიკო იმერლიშვილი, რომელთანაც გაატარა ერასტი ჯორბენაძემ თავისი ფირალობა. (იმერლიშვილის შესახებ არსებობს ვასო ჯორბენაძის მოგონება). ერასტი ჯორბენაძე ყოფილა იშვიათი ძალღონის ვაჟკაცი. მას ამხანაგობა ჰქონდა ცნობილ პოლიტიკურ ფირალებთან—დ. შვეარდნაძესთან, ს. დოლიძესთან, კიკია მამულაიშვილთან და სხვებთან. პოლიცია გაცხარებით



სურ. 5.

რეაქციის წლების ფირალი. ერასტი ანტონის-ს ჯორბენაძე.



სურ. 6.

ფირალი ილიკო იმერლიშვილი.  
ერასტი ჯორბენაძის თანამებრძოლი და მეგობარი.

დაეძებდა. გვიმრალაურის სოფ. საბჭოს ოფიციალური ცნობით (და  
გაზეთების ცნობითაც) ის 1910 წ., 10 ივლისს ლანჩხუთში ლა-  
ლატით მოკლეს.

ვასო ჯორბენაძისა და ნიტიფო ხუხუნაიშვილის გადმოცემით ლა-  
ლატი მოუწყვია ლანჩხუთის ვაჭარ კოლია რეშეტნიკოვს. ამის შესა-  
ხებ გაზ. „ახალ გზაში“, ერთი კორესპოდენტი წერდა: „შაბათი  
დღეა, დღის სწორედ 12 საათი იყო... უცბათ მოისმა თოფის  
ხმა... სულ მცირე ხანში მოისმა თოფების გრიალი... იგეტება დუქნე-  
ბის კარები... ნახევარი საათის განუწყვეტელი სროლის შემდეგ ირ-  
კვევა შემდეგი: დაბის ბოლოს (დაბიდან 100 საჟენზე) ლუკა ჩხარ-  
ტიშვილის სახლში (თვითონ ამერიკაშია)<sup>1</sup> ბოქაულს და 7 დარაჯს  
შეუმწყვდევია სახლში სამი ყაჩაღი, ლამობენ მათ დამორჩილებას.  
სახლს ალყა აქვს შემორტყმული... ხალხს.. ერევა ხელში რევოლვე-  
რით „სტრაჟნიკი“ და მიერეკება შეტაკების ადგილას... ჯარს პა-  
ტრონები შემოაკლდა... აფრენენ შიკრიკს და ძლივს 40 პატრონას  
უყრიან თავს. კვლავ „ხალბი ზალბზე“, მაგრამ ამაოთ! აქ საქმეში  
ერევა მოხუცი დეკანოზი კონსტ. კანდელაკი—ეფიცება სახლში მყოფ  
დეენილებს, რომ ის დეკანოზია, თუ მას დაუჯერებენ არც ერთს  
არაფერი უჭირს. ვერც მისმა რჩევა-დარიგებამ ვერ გასჭრა. თითქმის  
ორი საათის ბრძოლის შემდეგ ყაჩაღები, სახლიდან გადაიპარენ —  
გასვლის დროს მოჰკლეს სტრაჟნიკი შაფათავა... სახლი სახურავია-  
ნებ სულ დაცხრილულია (დახვრეტილია)... ზალაში გაწყობილია ხუ-  
თი კაცისათვის საჭმელ-სასმელი — საჭმელს ეტყობა, რომ თითო-  
ოროლა ლუკმა მოუკლიათ... ოთახში ერთი ახალგაზრდა ქალია  
თავში ტყვიით გაკაწრული<sup>2</sup>. სახლის უკან ერთი მკვდარი და ერთიც  
სულმობრძავი ცხენი გდია. არის სისხლის ნიშნები. ხალხი გარეკეს  
სისხლის კვალზე... მახლობელ მეზობლის ორღობეზე ყოფილა მიყუ-  
დებული აბრეშუმის ჭიის ჩაფარა და ჩაფარას ქვეშ დამალული მეტე-  
ხის ციხიდან განაქცევი ფრასტო ჯორბენაძე. ეს დაუნახავს ადგილო-  
ბრივ ვაჭარ კოლია რეშეტნიკოვს და დაუყვირია, აქ არისო. ჯორ-  
ბენაძეს მოუსწორია და უკრავს მისთვის მაუზერის ტყვია თავში. რე-  
შეტნიკოვი სასიკვტილოთ დაიჭრა, ჯორბენაძე იქვე მოკლეს... მარ-  
ტო „სტრაჟნიკებმა“ გაისროლეს 1000-მდე პატრონა“ (ვანტანგი.  
იხ. გაზ. „ახალი გზა“, № 19, 1910 წ., 13 ივლისი). ხოლო ამავე

<sup>1</sup> ეს ის ჩხარტიშვილია, რომელმაც გურულები გაიყვანა ამერიკაში ცხე-  
ნებით. ა. ხ.  
<sup>2</sup> გადმოცემით ეს ქალი იმნაძე ყოფილა, ა. ხ.


გაზეთის № 21 (1910 წ.) წერდა: 10 ივლისს ყაჩაღებზე თავდასხმის დროს დაჭრილი რეშეტნიკოვი მოკვდა. მკვდარი ჯორბენაძე გაჭრეს და ის სერიოზული ავადმყოფი აღმოჩნდა. ჯორბენაძეს „რეშეტნიკოვის სიკვდილის შემდეგ თვით მოუკლავს მაუზერით თავი“-ო.

ამ თავდასხმის შემდეგ ლანჩხუთის მცხოვრებნი გადასახადებით აიკლეს. „ახალი გზის“ № 32 წერდა: „საზოგადოებას უკვე გადაახდევინეს 500 მანეთი... დაატუსაღეს ზ. პატარაია, დავ. ქურიძე, ვითომდა მათ ყაჩაღი ეტერონ ღამით. ოზურგეთში გაგზავნილები განთავისუფლეს გარდა ცხრა კაცისა. ამათში არიან... ე. გოგიჩაიშვილი, მ. ჩხარტიშვილი, ს. ბოლქვაძე ... ლ. ჯორბენაძე“.

გაზეთის ცნობებით დასტურდება ვასო ჯორბენაძისა და ნ. ხუხუნიშვილის გადმოცემანი. თავდასხმა სწორედ ასეა მათ მოგონებებშიც წარმოდგენილი. ლ. ჯორბენაძე, რომელსაც გაზეთი იხსენიებს, იყო ერასტი ჯორბენაძის ძმა, ლადიკო, რომელიც ციხეში გადაასახლეს. ის ხარკოვის ციხიდან გაიქცა, დაიჭირეს და ციხეში ჩაქუჩით მოიკლა თავი. ერასტი ჯორბენაძე სახელგანთქმული ფირალი ყოფილა.

ის ითვლებოდა საშიშარ მებრძოლად მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

მოკლეს (1885-1910) 25 წლის.



შეჩინული შეცდომების გასწორება

დაბეჭდილია

უნდა იყოს

გვ. სტრ.		დაბეჭდილია	უნდა იყოს
9	2	ქვემოდან	„დროება“
14	3	ზემოდან	„ივერია“
		1891	1892
26	13	ზემ.	პროფილს
27	16	ზემ.	პორტრეტს
33	12	ზემ.	ცისკარიძე
49	4	ზემ.	ცისკარიძე
„	8	ზემ.	ოკუპანტებს
„	11	ზემ.	დამსჯელებს
60	1	ზემ.	ყოფეთენა
68	3	ზემ.	ცოფე თენა
91	2	ზემ.	ოყათამუშა
106	1	ქვემ.	ოყოთამუშა
106		შენიშვნებში:	მითო ზენა
15		სურათზე:	„რამდენიმე თვეც“
			„რამდენიმე თვეც“
			ესიკას
			სესიკას
			იენისს
			ივლისს
			2
			3
			1—2
			2—3
			კიკიე
			კიკია

ფანის 5 მან.



078/874

А. ХИНТИБИДЗЕ

ГУРИЙСКИЕ ПИРАЛЫ